

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო, სამეწარმეო და სხვა კატეგორიის საქმეებზე
2009, # 2

საქმის წარმოების
განახლება

1. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები
2. ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები
3. ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა
4. ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირი
5. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო განცხადების შეტანის ვადა
 - ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო განცხადების შეტანის ვადა
 - გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების შეტანის ვადა

1. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები

განჩინება

#ას-221-482-08

23 აპრილი 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
თ. თოდრია,
რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამეწარმეო რეესტრში ცვლილების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ხ-მემ სარჩელით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს შპს „საირხეს“ წინააღმდეგ და მოითხოვა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის დადგენილების, შპს „საირხეს“ ცვლილებების რეგისტრაციის შესახებ გაუქმება და შპს „საირხეს“ პარტნიორად აღდგენა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დ. ხ-მემ აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ზესტაფონის რაიონული სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება გაუქმდა, შევიდა ცვლილებები შპს „საირხეს“ სამეწარმეო რეესტრის სარეგისტრაციო მონაცემებში და დ. ხ-მე აღირიცხა შპს „საირხეს“ საწესდებო კაპიტალის 25%-ის მესაკუთრე პარტნიორად.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, შპს „საირხემ“ გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2007 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით შპს „საირხეს“ საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 12 დეკემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა შპს „საირხემ“ და შპს „მ.ს.-მა“ და მოითხოვეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, იმ საფუძველით, რომ შპს „მ.ს.“, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხებოდა მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 24 იანვრის განჩინებით განცხადება არ დაკმაყოფილდა.

პალატამ განმარტა, რომ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილებით განისაზღვრა მისი უფლება-მოვალეობანი ერთ-ერთი მხარის მიმართ ან თუ გადაწყვეტილება მისთვის იწვევს უშუალო და პირდაპირ შედეგს.

პალატამ მიიჩნია, რომ დ. ხ-მესა და შპს „საირხეს“ შორის დავის საგანს წარმოადგენდა დ. ხ-მის აღდგენა შპს „საირხეს“ პარტნიორად.

დადგენილია, რომ სარჩელი სასამართლოში აღიძრა 2006 წლის 3 ნოემბერს. ამ დროიდან გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შპს „საირხეს“ წილის 100% ეკუთვნოდა გ. მ-მეს.

პალატამ ჩათვალა რომ, დავის პროცესში შპს „მ.ს.“ საწარმოს პარტნიორი არ იყო და მის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს გადაწყვეტილება არ შეეხებოდა.

პალატამ არ გაიზიარა შპს „მ.ს.-ის“ პოზიცია იმის თაობაზე, რომ იგი მოწვეული უნდა ყოფილიყო საქმის განხილვაზე იმიტომ, რომ დ. ხ-მის საწარმოდან გარიცხვის შემდეგ მიიღო მისი კუთვნილი წილის 16%.

დასახელებული გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში შპს „საირხემ“ და შპს „მ.ს.-მა“.

კერძო საჩივრის ავტორთა განმარტებით საქმის განხილვაში მოწვეული არ იქნა მხარე, კერძოდ შპს „მ.ს.-ი“, რომელიც შპს „საირხემში“ 2001 წლიდან ფლობდა წილის 66%-ს 2006 წლის 14 აპრილამდე, შესაბამისად სწორედ შპს „მ.ს.-ი“ ფლობდა ამ დროის მანძილზე დ. ხ-მის 16%-ს და არა გ. მ-მე და შპს „საირხეს“.

კერძო საჩივრის ავტორების აზრით, მოსამართლეებმა დამალეს 2007 წლის 7 ივნისის ის ფაქტი, რომ დ. ხ-მე 2002 წლის 30 დეკემბრისათვის პარტნიორთა რიგიდან გარიცხული იყო სასამართლოს მიერ და 2002 წლის 30 დეკემბერს მხოლოდ წილების გადაწაწილება მოხდა შპს „საირხემში“ ისევ სასამართლოს წესით.

შპს "საირხეს" დირექტორი ც. მ-მე თვლის, რომ სასამართლო დაინტერესებული იყო საქმის შედეგით და ყველა პროცესზე ახორციელებდა მოწინააღმდეგე მხარის მხარდაჭერას.

კერძო საჩივრის ავტორი, კერძოდ შპს "მ.ს." ის დირექტორი ნ. გ-ური მიიჩნევს, რომ ის მოწვეული უნდა ყოფილიყო საქმის განხილვაში, ვინაიდან 2006 წლის სექტემბერში აღნიშნული ტიპის დავაზე, სადაც დ. ხუკივაძე მოითხოვდა 50%-იანი წილის დაბრუნებას, შპს "მ.ს." მოწვეული იქნა პროცესზე, ვინაიდან მას გარკვეული უფლება-მოვალეობები აკავშირებდა მხარეებთან. მაშინ, როდესაც შპს "საირხეს" 100%-იანი წილის მფლობელი უკვე იყო ც. მ-მე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორებმა მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო შპს "საირხეს" დირექტორ ც. მ-მის და შპს "მ.ს.-ის" დირექტორ ნ. გ-ურის კერძო საჩივრებს და თვლის, რომ კერძოს საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს 2002 წლის 30 დეკემბრის დადგენილების საფუძველზე განხორციელდა სამეწარმეო რეესტრში ცვლილება, რომლის შესაბამისად დ. ხ-მის 25% წილი გადასწილდა შპს "მ.ს.-სა" და ც. მ-მეზე, რომელთა წილები საზოგადოებაში შესაბამისად პირველ შემთხვევაში განისაზღვრა 66%-ით, ხოლო მეორე შემთხვევაში - 34%-ით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ შპს "მ.ს.-მა" თავისი წილი დაუთმო ც. მ-მეს, რომელიც 2006 წლის 5 მაისს აღირიცხა შპს "საირხეს" 100%-იანი წილის მფლობელად, ხოლო რაიონულ სასამართლოში დავა აღიძრა 2006 წლის 3 ნოემბერს. ამ დროიდან მოყოლებული შპს "საირხეს" 100%-იანი წილის მფლობელია ც. მ-მე.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების მოტივებს და თვლის, რომ არ არსებობს მისი გაუქმების საფუძველი, ვინაიდან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის სამართლებრივი საფუძველი შეიძლება გახდეს, იმ პირის მიუწვევლობა საქმის განხილვაზე, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებსაც ეხება მიღებული გადაწყვეტილება.

აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ გადაწყვეტილება უშუალო და პირდაპირ ზემოქმედებას უნდა ახდენდეს მხარის კანონიერ ინტერესებსა და უფლებრივ მდგომარეობაზე, რომ არსებობდეს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, შპს "საირხეს" დირექტორის ც. მ-მის მიერ კერძო საჩივარში მოყვანილი გარემოებები და მითითებული მტკიცებულებები, კერძოდ, ის გარემოება რომ 2002 წლიდან 2006 წლის ნოემბრამდე "მ.ს.-ი" იყო შპს "საირხეს" პარტნიორი და 66% წილის მფლობელი იურიდიულად ვერ ამართლებს მის მოთხოვნას, ვინაიდან სასამართლოში დავის მიმდინარეობის დროს შპს "მ.ს.-ი" აღარ წარმოადგენდა შპს "საირხეს" მეწილეს და შესაბამისად 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება ვერ მოახდენდა გავლენას შპს "მ.ს.-ის" კანონიერ ინტერესებზე, რის გამოც არ არსებობს მისი საქმის განხილვაში ჩაბმის სამართლებრივი საფუძველი.

აღნიშნული განმარტება ვრცელდება შპს "მ.ს.-ის" კერძო საჩივარზეც, ვინაიდან შპს "საირხეს" დირექტორის ც. მ-მის და შპს "მ.ს.-ის" დირექტორის ნ. გ-ურის სამართლებრივი მოთხოვნები და ამ მოთხოვნების საფუძველად მითითებული გარემოებები ერთგვაროვანია.

რაც შეეხება დამატებით კერძო საჩივრის ავტორის, კერძოდ, შპს "მ.ს.-ის" მითითებას, რომ მხარეთა შორის არსებულ სხვა დავაზე, სადაც დ. ხ-მე ითხოვდა 50%-იანი წილის დაბრუნებას, შპს "მ.ს." მიწვეული იქნა პროცესზე. აღნიშნული ფაქტობრივ გარემოებას განსახილველ საქმესთან კავშირი არ აქვს და დასახელებული მოტივი არ წარმოადგენს საქმის განხილვაში მისი ჩაბმის საფუძველს. გამომდინარე იქედან, რომ მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილებით არ განსაზღვრულა შპს "მ.ს.-ის" უფლება-მოვალეობანი ერთ-ერთი მხარის მიმართ და გადაწყვეტილება მას არ შეეხება. შესაბამისად, პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა შპს "საირხეს" და შპს "მ.ს.-ის" განცხადებები 2007 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი უსაფუძვლობის და დაუსაბუთებლობის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს. "საირხეს" დირექტორის ც. მ-ძის და შპს "მ.ს.-ის" დირექტორის ნ. გ-ურის კერძო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 იანვრის განჩინება

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველები
განჩინება**

#ას-567-797-08

19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მოპასუხე ი. ა-შვილის, მესამე პირების, ნოტარიუსების: ნ. ბ-ძისა და ნ. კ-შვილის მიმართ სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი არის აწ გარდაცვლილი შ. ა-შვილის შვილი და ერთადერთი მემკვიდრე. ვინაიდან დედამისი ვ. ა-შვილი 1983 წლიდან განქორწინებული იყო მამამისთან და მოსარჩელე იმ დროისათვის იყო არასრულწლოვანი, იგი არ იყო უფლებამოსილი, მოეთხოვა მამის - შ. ა-შვილისა და ბიძის - ე. ა-შვილის ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. იგი 2000 წელს გახდა სრულწლოვანი და მიეცა უფლება, კანონიერად მოეთხოვა მამის - შ. ა-შვილისა და ბიძის - ე. ა-შვილის სახელზე რიცხული ქონება, მაგრამ დედის ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო ამის განხორციელება. მოგვიანებით მიმართა ისანი-სამგორის რ-ნის ნოტარიუსს, რათა გადაეფორმებინა თავის სახელზე მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული ქონება, აგრეთვე, მიმართა გარდაბნის რ-ნის სოფ. ... ნოტარიუსს, ე. ა-შვილის სიცოცხლის პერიოდში მამისთვის 55000 რუსულ მანეთად მიყიდული წილის სამკვიდრო ქონების თავის სახელზე გადაფორმებისათვის მათ მიერ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. მას ორივე ნოტარიუსმა განუცხადა უარი სამკვიდროს გადაფორმებაზე იმ მოტივით, რომ სამკვიდროს მიღების 6-თვიანი ვადა გაშვებული იყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა სამკვიდროს მიღების კანონით დადგენილი ვადის გაგრძელება.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 22 სექტემბრის განჩინებით საქმე მ. ა-შვილის სარჩელისა გამო, მოპასუხე ი. ა-შვილის, მესამე პირების - ნ. ბ-ძისა და ნ. კ-შვილის მიმართ განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე მ. ა-შვილის სასარჩელო მოთხოვნა და გაუგრძელდა სამკვიდროს მიღების ვადა ექვსი თვით.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ი. ა-შვილმა შეიტანა სააპელაციო საჩივარი.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება შემდეგი პირობებით: გარდაბნის რ-ნში, სოფ. ტაბახმელაში მდებარე ბინა აღირიცხა თანაბარ წილად - 1\2-1\2 საკუთრების უფლებით მ. და ი. ა-შვილების სახელზე; დადგინდა, რომ აღნიშნული ბინა უნდა დაიკეტოს, არც ერთმა მხარემ ისარგებლოს, გაიყიდოს ერთობლივად და თანხა გაიყოს შუაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში აღსრულება მოხდეს ექვსი თვის შემდეგ სადავო ბინის გაყიდვით; გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება; შეწყდა საქმის წარმოება.

2006 წლის 24 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა ნ. ა-შვილმა, რომლითაც მოითხოვა თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 18 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებლის განმარტებით, თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 18 თებერვლის განჩინების შესახებ მისთვის ცნობილი გახდა 2006 წლის 20 ივლისის ბინის ყიდვის მსურველის მისვლის შემდეგ სადავო საცხოვრებელ სახლში. საქმეში წარმოდგენილ გარდაბნის რაიონული სასამართლოს 1988 წლის 4 აგვისტოს გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ ამავე სასამართლოს 1988 წლის 6 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ნ. და ი. ა-შვილებს თანაბარწილად გადმოეცათ სადავო სახლის ნაწილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც სასამართლო სხდომაზე და არც მორიგების აქტის შედგენისას იგი არ იყო მიწვეული კანონით დადგენილი წესით, რითაც დაირღვა მისი უფლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ა-შვილმა მოითხოვა აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინებით ნ. ა-შვილის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ა-შვილმა. მან მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ისე დაამტკიცა მორიგება სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ, რომ არც დაინტერესებულა, თუ ვისი საკუთრება იყო აღნიშნული ქონება და ვის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს შეიძლებოდა შეეხებოდა ეს განჩინება. როგორც სასამართლომ დაასკვნა, განცხადება განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ მოტივით, რომ მისი თანასაკუთრების უფლება საჯარო რეესტრში აღრიცხულია მორიგების დამტკიცების შემდეგ. კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი განხილვის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ნ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შეუძლიათ შეიტანონ მხარეებმა და მესამე პირებმა, აგრეთვე, იმ პირებმა, რომლებიც, მართალია, არ იყვნენ საქმეში ჩაბმული არც მხარედ და არც მესამე პირად, მაგრამ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაში მითითებულია ამ პირზე და განსაზღვრულია მისი უფლება-მოვალეობანი ერთ-ერთ მხარესთან მიმართებით.

მ. ა-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში, რომლითაც მოითხოვა მისი აწ გარდაცვლილი მამის - შ. ა-შვილის სამკვიდრო ქონებაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება. აღნიშნულ დავაში მოპასუხედ მითითებულ იქნა შ. ა-შვილის კანონისმიერი მემკვიდრე ი. ა-შვილი.

დადგენილია, რომ ნ. ა-შვილი გარდაბნის რ-ნის სოფ. ... მდებარე ბინის თანამესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღირიცხა 2006 წლის 18 აგვისტოს, ამ დრომდე საჯარო რეესტრში არ აღრიცხულა საკუთრების უფლებით. განჩინება მორიგების დამტკიცების შესახებ მიღებულია 2005 წლის 18 თებერვალს. ამდენად, სასამართლოს მიერ მორიგების დამტკიცების დროს ნ. ა-შვილი არ იყო აღრიცხული ბინის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში. აქედან გამომდინარე, საქმის განხილველ სასამართლოს არ გააჩნდა არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი, გადაეწყვიტა საქმეში ნ. ა-შვილის მოპასუხედ ან მესამე პირად ჩართვის საკითხი. ის ფაქტი, რომ ნ. ა-შვილი მორიგების დამტკიცების შემდეგ აღირიცხა სადავო ბინის თანამესაკუთრედ, არ წარმოადგენს მორიგების დამტკიცების შესახებ განჩინების ბათილად ცნობის საფუძველს, ამდენად თბილისის სააპელაციო სასამართლომ სწორად განმარტა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლი და არ დააკმაყოფილა ნ. ა-შვილის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ნ. ა-შვილი არ არის უფლებამოსილი პირი ამ დავაში, ვინაიდან, იგი არ არის შ. ა-შვილის მემკვიდრე და სადავო ურთიერთობის სუბიექტი. აქედან გამომდინარე, იგი არ წარმოადგენს არც მოპასუხეს და არც მესამე პირს, რის გამოც მისი მოწვევის ვალდებულება სასამართლოს არ გააჩნდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს ნ. ა-შვილის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი, რის გამოც თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 23 აპრილის განჩინება უცვლელად უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- ნ. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 აპრილის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები
განჩინება**

#ა-693-ბ-25-08 15 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სამეწარმეო რეესტრის ფორმულარში ცვლილებების შეტანა

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სამომხმარებლო კოოპერატივის ეროვნულ ალიანს "ცეკავშირის" სს "ერდოს" გენერალურ დირექტორ ა. გ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 10 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს "ერდო-94-ის" რეგისტრაციის თარიღად 1998 წლის 12 ოქტომბრის დადგენისა და საგადასახადო ორგანოსათვის შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციის თაობაზე შპს "ერდოს-94-ის" დამფუძნებლისა და წარმომადგენლის - რ. ს-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2008 წლის 31 მარტს შპს "ერდო-94-ის" დამფუძნებელმა და წარმომადგენელმა რ. ს-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საკასაციო სასამართლოში მოცემული დავა განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, რითაც დაირღვა მხარის უფლებები, ვინაიდან საქმის ზეპირი განხილვისას შპს "ერდოს" წარმომადგენელ რ. ს-შვილს, როგორც პროცესის მონაწილესა და დაინტერესებულ პირს, შესაძლებლობა ექნებოდა, სასამართლოს წინაშე დაესაბუთებინა მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების უსაფუძვლობა კონკრეტულ მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დაყრდნობით. აღნიშნული კი გამოიწვევდა სასამართლოს მიერ განმცხადებლისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის საფუძველზე საქმის წარმოება უნდა განახლდეს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და წარმოდგენილი განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ იგი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს განმცხადებლის არგუმენტს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე. დასახელებული ნორმის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ბათილია სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მიღებულ იქნა დავის გადაწყვეტის შედეგით უშუალოდ და ობიექტურად დაინტერესებული პირის საქმეში მონაწილეობის გარეშე.

განსახლველ შემთხვევაში განმცხადებელი შპს "ერდო-94-ის" დამფუძნებელი და წარმომადგენელი რ. ს-შვილი საქმეში მონაწილეობდა მოსარჩელის სტატუსით. ამდენად, დაუსაბუთებელია მითითება

მოცემული საქმის მისი მონაწილეობის გარეშე განხილვის შესახებ, ხოლო ფიზიკური პირი რ. ს-შვილი მოცემულ დავაში მხარეს არ წარმოადგენს. საქმეში მხარედ ჩაბმის მოთხოვნით მას შეეძლო მიემართა ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოსათვის სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ნორმათა შესაბამისად. რ. ს-შვილის, როგორც ფიზიკური პირის, მოცემულ საქმეში საკასაციო სასამართლოში მხარედ ჩაუბმელობა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველი ვერ გახდება.

რაც შეეხება განმცხადებლის არგუმენტს საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი დავის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მეხამე ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად გადაწყვიტოს ყოველი კონკრეტული საქმის განხილვის ფორმა. ამასთან, მოცემული საქმის განხილვა დანიშნული იყო სასამართლო სხდომაზე, რა დროსაც მხარეები (მათ შორის განმცხადებელიც) დადგენილ დროს პროცესზე არ გამოცხადდნენ და განხილვა გადაიდო ზეპირი მოსმენის გარეშე.

აქვე აღსანიშნავია, რომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმის განხილვა მხარეებს ხელს ვერ შეუშლიდა სასამართლოსათვის საკუთარი მოსაზრებებისა და არგუმენტების წარდგენაში, ვინაიდან მითითებული შესაძლებელი იყო წერილობითი ფორმით სასამართლოსათვის მიმართვის გზით, რაც განმცხადებელს სადავო გარემოებათა მიმართ არ განუხორციელებია. ასევე, საქმის მასალებში წარმოდგენილი სასამართლო უწყებებით დასტურდება, რომ რ.ს-შვილს საქმის განხილვის დროსა და ფორმის შესახებ პირადად ეცნობა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მეორე ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

შპს "ერდო-94-ის" დამფუძნებლისა და წარმომადგენლის - რ. ს-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველები განჩინება

#ას-1024-279-08

23 მაისი, 2008 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

ა. დ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს სს "თელასის" მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი 1981 წლიდან მუშაობდა სს "თელასის" ენერგოგასაღების განყოფილებაში ინჟინერ-ინსპექტორის თანამდებობაზე. 1999 წლის 2 აგვისტოს #კ-291 ბრძანების საფუძველზე ენერგოგასაღების ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნასთან დაკავშირებით საწარმოს თანამშრომლები დაინიშნენ ახალ თანამდებობაზე. აღნიშნული ბრძანების საფუძველზე ენერგოგასაღების განყოფილებას შეეცვალა სახელი და დაერქვა "საფაბრიკო-საქარხნო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო აბონენტთა აღრიცხვისა და რეალიზაციის განყოფილება".

2000 წლის 15 მაისს საწარმოში ჩატარდა რეორგანიზაცია. საწარმო დაიყო ოთხ რეგიონად, რომლებშიც შედიოდა ბიზნესცენტრები; მოსარჩელე მუშაობდა გლდანის რაიონში, სს "თელასის" გენერალური დირექტორის მიერ გამოცემული მემორანდუმის თანახმად, იგი უნდა გადაეყვანათ

ჩრდილოეთის რეგიონის გლდანის რომელიმე ბიზნესცენტრში, მაგრამ გადაყვანილ იქნა შემოსავლების განყოფილებაში, რომლის გაუქმებაც ახლო მომავალში იგეგმებოდა.

2007 წლის 15 მარტს გამართულ სასამართლო სხდომაზე დაკმაყოფილდა მოსარჩელის შუამდგომლობა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმომებაში არსებული #2/918.07 და 2/12272.06 საქმეები გაერთიანდა ერთ წარმომებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ლ-შვილის სასარჩელო მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა,

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა. მან მოითხოვა სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. 2008 წლის 28 იანვარს კასატორმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, სადაც მიუთითა, რომ ნაწილობრივ შეამცირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ, მოითხოვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და უარი თქვა სამუშაოზე აღდგენაზე. საქართველოს უზენაესი 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი იძულებითი აგანაცდურის ანაზღაურების ნაწილში მიღებულ იქნა წარმომებაში, ხოლო სამუშაოზე აღდგენის ნაწილში საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად.

ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების თაობაზე. მან მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლოს დაუდგენია ხარვეზი სამუშაოზე აღდგენის თაობაზე 300 ლარის ოდენობით. ვინაიდან არ შეეძლო სახელმწიფო ბაჟის გადახდა, უარი თქვა ამ მოთხოვნაზე. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას და სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, სასამართლოს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან. მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა მას შემდეგ, რაც მან შეიტანა საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა განცხადება, საქმის მასალები და თვლის, რომ ა. ლ-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შემტან პირს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, ან საკასაციო საჩივარი არ იქნება შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

ა. ლ-შვილმა საკასაციო სასამართლოში საკასაციო საჩივარი შეიტანა 2007 წლის 26 დეკემბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 21 იანვრის განჩინებით ა. ლ-შვილს დაევალა, რომ წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. 2008 წლის 28 იანვარს კასატორმა განცხადებით მიმართ საკასაციო სასამართლოს, სადაც მიუთითა, რომ ნაწილობრივ შეამცირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნა, კერძოდ მოითხოვა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება და უარი თქვა სამუშაოზე აღდგენაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 6 თებერვლის განჩინებით ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენის თაობაზე დარჩა განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მოქალაქეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუ მოქალაქე დაასაბუთებს სასამართლო ხარჯების გადახდის შეუძლებლობას, სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს, სასამართლოს შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ გაათავისუფლოს იგი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან, რის თაობაზეც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება.

აღნიშნული ნორმა ძალაში სვედა 2007 წლის 28 დეკემბერს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება კი მიღებულია 2008 წლის 21 იანვარს, ანუ აღნიშნულ მუხლში ცნობის შესვლის შემდეგ. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ის გარემოება, რომ მან არ იცოდა კანონში შესული ცვლილების შესახებ, ვერ გახდება განჩინების ბათილობის საფუძველი. გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ კანონში ცვლილების შეტანა, მას შემდეგ, რაც საქმეზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება (განჩინება) გავლენას ვერ იქონიებს უკვე მიღებულ განჩინებაზე და იგი ვერ გახდება განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ზალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამტავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების განცხადების წანამძვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის ზეპირი განხილვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი სწორად იქნა განუხილველად დატოვებული და არ არსებობს აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე, 431-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ლ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველები
განჩინება**

#ა-305-ა-12-08

7 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ა-მემ სარჩელით მიმართა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მ. ხ-იას მიმართ და მოითხოვა მოპასუხის გამოსახლება ქ. თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან იმ საფუძველით, რომ იგი (მოსარჩელე) არის აღნიშნული ბინის მესაკუთრე, ხოლო მ. ხ-ია ცხოვრობს ბინაში ყოველგვარი იურიდიული საფუძვლის გარეშე. ამასთან, ფართი სჭირდება სამხატვრო სახელოსნოს მოსაწყობად. მ. ხ-იამ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მოითხოვა, რომ შესწორდეს თ. ა-ძის სახელზე 1980 წელს გაცემული მემკვიდრეობის მოწმობა და ნაჩუქრობის ხელშეკრულება დადებული 1992 წელს თ. ვ-ის ა-ძესა და თ. თ-ის ა-ძეს შორის და თ. ა-ძის სახელზე 2/3-ის ნაცვლად აღირიცხოს 1/12.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ა-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მ. ხ-იას შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

საქმე არაერთხელ იქნა განხილული სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მიერ და ბოლოს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილება თ. ა-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - დაკმაყოფილდა თ. ა-ძის სარჩელი და მ. ხ-ია გამოსახლდა თბილისში, ... ქ. #10-ში მდებარე თ. ა-ძის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 3/4-დან, კერძოდ, #10, #11, #9, #9-1 ოთახებიდან და გადაეცა თ. ა-ძეს; თ. ა-ძეს დაეკისრა გამონთავისუფლებული ფართის საკომპენსაციოდ მ. ხ-იასათვის 19035 ლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე მ. ხ-იამ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 22 დეკემბრის განჩინებით. მ. ხ-იას დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში მის მიერ სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარის წარდგენა. 2007 წლის 15 იანვრის, 5 თებერვლის, 5 მარტისა და 28 მარტის განჩინებებით კასატორს გაუგრძელდა ხარვეზის შევსების ვადა. მითითებული განჩინებებით მას განემარტა, რომ აღნიშნულ

ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, საკასაციო საჩივარი არ მიიღებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის საფუძველზე დასაშვებობის შესამოწმებლად და განუხილველი დარჩებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განჩინებით მ. ხ-იას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. ხ-იამ და მოითხოვა უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. მან მიუთითა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 17 აპრილის განჩინებით მისი საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო დარჩა განუხილველად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. მისი საკასაციო საჩივარი სწორედ ამ კანონიდან გამომდინარეობდა, მაგრამ მაშინ არ იყო აღნიშნული ცვლილება ძალაში შესული. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის შესახებ განჩინების მიღების დროს რომ ყოფილიყო ცვლილება სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, მისი საკასაციო საჩივარი განუხილველად არ დარჩებოდა, რადგან გადახდილი ჰქონდა სახელმწიფო ბაჟი 100 ლარის ოდენობით.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ განიხილა განცხადება, საქმის მასალები და თვლის, რომ მ. ხ-იას განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ უპასუხებს აქ ჩამოთვლილ მოთხოვნებს ან სახელმწიფო ბაჟი არ არის გადახდილი, სასამართლო ავალებს საჩივრის შეტან პირს შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს მას ვადას, თუ ამ ვადაში ხარვეზი არ იქნება შევსებული, ან საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუხილველი დარჩება.

მ. ხ-იამ საკასაციო პალატას წარმოუდგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 100 ლარის ოდენობით, რაც საკასაციო პალატამ არასაკმარისად მიიჩნია. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 22 დეკემბრის განჩინებით მ. ხ-იას დაევალა, რომ განჩინების ჩაბარებიდან 15 დღის ვადაში წარმოედგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი 1 269 ლარის ოდენობით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 17 აპრილის განჩინებით მ. ხ-იას საკასაციო საჩივარი სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო დარჩა განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. აღნიშნული ნორმა ძალაში შევიდა 2007 წლის 28 დეკემბერს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება კი მიღებულია 2007 წლის 17 აპრილს. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონში ცვლილების შეტანა, მას შემდეგ, რაც საქმეზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება (განჩინება), გავლენას ვერ იქონიებს უკვე მიღებულ განჩინებაზე და იგი ვერ გახდება განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მ. ხ-იას საკასაციო საჩივარი სწორად იქნა განუხილველად დატოვებული და არ არსებობს აღნიშნული განჩინების ბათილად ცნობის საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე, 431-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ხ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 17 აპრილის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები

განჩინება

#ა-451-ა-12-09

7 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით თ. მ-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი 2003 წლის 10 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულება საცხოვრებელ ბინაზე, მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ. #44^ა/1-ში, მოპასუხე მ. წ-ძეს დაეკისრა თ. მ-შვილის სასარგებლოდ 444 ლარისა და 10 თეთრის გადახდა, ასევე მოსარჩელის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 100 ლარის ანაზღაურება.

ზემომოთხრობილი გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. წ-ძემ და თ. მ-ძემ (წარმომადგენელი გ. კ-ძემ), რომელთაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებით მ. წ-ძისა და თ. მ-ძის წარმომადგენელ გ. კ-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა: გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება ქ. ქუთაისში, ... ქ. #44^ა/1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 2003 წლის 10 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - თ. მ-შვილის სარჩელი ქ. ქუთაისში, ... ქ. #44^ა/1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 2003 წლის 10 ნოემბრის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა თ. მ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 ივლისის გადაწყვეტილებაზე დატოვებულ იქნა განუხილველად საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

2009 წლის მარტში თ. მ-შვილმა განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებით დამთავრებულ საქმეზე წარმოების განახლება მოითხოვა.

მოგვიანებით, ხარვეზის შევსების მიზნით წარმოდგენილ განცხადებაში თ. მ-შვილმა მოთხოვნა დააკონკრეტა, კერძოდ, განმარტა, რომ იგი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობას და საქმეზე წარმოების განახლებას.

გასაჩივრებული განჩინების ბათილად ცნობის მოთხოვნას განმცხადებელი მთლიანად აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინება, რომლითაც მას საკასაციო საჩივარზე ხარვეზი დაუდგინდა, პირადად არ ჩაჰბარებია. აქედან გამომდინარე, არასწორია 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინებაში იმის მითითება, რომ საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინებაზე ხელს თავად თ. მ-შვილი აწერს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, თ. მ-შვილის განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ: ა) გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში; ბ) ერთ-ერთი მხარე ან მისი კანონიერი წარმომადგენელი (თუ მას კანონიერი წარმომადგენელი სჭირდება) არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე; გ) პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის აღნიშნული საფუძვლები ამომწურავია და მისი გაფართოება დაუშვებელია. მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი თ. მ-შვილი არ მიუთითებს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის არც ერთ ზემოაღნიშნულ საფუძველზე. განმცხადებელი, ფაქტობრივად, ითხოვს საქმეზე წარმოების განახლებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველით, რაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა და არა გადაწყვეტილების ბათილობის გამო წარმოების განახლების საფუძველია. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი განცხადება სრულიად დაუსაბუთებელია არამართო ბათილობის, არამედ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების განახლების საფუძვლების არსებობის თვალსაზრისითაც.

თ. მ-შვილი თავისი განცხადების დასასაბუთებლად მარტოდენ იმაზე მითითებით შემოიფარგლება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ საკასაციო სასამართლოს 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინება პირადად არ ჩაჰბარებია. საკასაციო სასამართლო განმცხადებლის მითითებულ მსჯელობას ვერ გაიზიარებს. საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 ოქტომბრის განჩინება თ. მ-შვილს ჩაჰბარდა 2008 წლის 18 ოქტომბერს, რასაც ადასტურებს შეტყობინებაზე არსებული ხელმოწერა. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში მოცემული საკითხის სადავოდ გახდა საფუძველს მოკლებულია. თ. მ-შვილი საქმეში არსებული აღნიშნული მტკიცებულების გასაქარწყლებლად მხოლოდ სიტყვიერი მსჯელობით შემოიფარგლება და მის დასადასტურებლად არა აქვს წარმოდგენილი არანაირი მტკიცებულება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს არა აქვს საფუძველი რაიმე ეჭვი შეიტანოს საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ ზემოაღნიშნული შეტყობინების სისწორეში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე, 423-ე, 430-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. თ. მ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 12 ნოემბრის განჩინების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდეს.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძვლები
განჩინება**

#ას-230-555-09 15 მაისი, 2009წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
მ. სულხანიშვილი

დავის საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

1996 წლის 21 მარტს შპს "შოდამ" დიდუბის რაიონის სასამართლოს შპს "გელათის" მიმართ სასარჩელო განცხადებით მიმართა და რეგისტრაციის გაუქმება მოითხოვა, იმ საფუძველზე, რომ შპს "გელათმა" თვითნებურად დაიკავა მისი კუთვნილი ტერიტორიის ნაწილი.

1996 წლის 11 აპრილს იმავე სასამართლოს დიდუბის რაიონის პროკურორმა მიმართა სარჩელით და შპს "გელათის" ქ. თბილისში, ... ქ. #190-ში მდებარე ფართიდან გამოსახლება მოითხოვა.

თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - შპს "გელათს" დაევალა საწესდებო კაპიტალში შესატანი ქონების შეფასება და 3 თვის ვადაში ახალი იურიდიული მისამართის დადგენა, ასევე, შპს "გელათი" გამოსახლებულ იქნა ქ. თბილისში, ... ქ. #190-ში მდებარე შენობა-ნაგებობებიდან და გამოთავისფლებული ფართი გადაეცა შპს "შოდას."

აღნიშნული გადაწყვეტილება შპს "გელათმა" საკასაციო წესით გაასაჩივრა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1996 წლის 4 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა.

1998 წლის 10 აპრილს შპს "გელათის" წარმომადგენლებმა დიდუბის რაიონულ სასამართლოს განცხადებით მიმართეს და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო იმავე სასამართლოს 1996 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვეს.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 2 ივლისის განჩინებით დიდუბის რაიონის სასამართლოს 1996 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1999 7 ივლისის დაუსწრებელი და 1999 წლის 22 ივლისის დამატებითი გადაწყვეტილებებით შპს "გელათის" მოთხოვნა დაკმაყოფილდა, აღდგენილ იქნა შპს "გელათის" რეგისტრაცია და შპს "შოდას" უარი ეთქვა შპს "გელათის" შენობა-ნაგებობებიდან გამოსახლებაზე.

სს "შოდამ" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს საჩივრით მიმართა. აღნიშნული სასამართლოს 1999 წლის 19 სექტემბრის განჩინებით, საქმე გადაგზავნილ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 6 დეკემბრის განჩინებით საქმე დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს დაუბრუნდა ხელახლა განსახილველად.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2000 წლის 15 დეკემბრის განჩინებით სს "შოდას" საჩივარი დაკმაყოფილდა და საქმის წარმოება განახლდა.

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით სს "შოდას" სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სს "შოდამ" დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1999 წლის 2 ივლისის განჩინება და იმავე სასამართლოს 2003 წლის 6 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. აპელანტმა საქმის შპს "გელათის" განცხადების დასაშვებობის შემოწმების სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაბრუნება მოითხოვა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2004 წლის 26 ივლისის განჩინებით სს "შოდას" სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება და გადაწყვეტილება გაუქმდა, საქმე შპს "გელათის" განცხადების ხელახლა განსახილველად რაიონულ სასამართლოს დაუბრუნდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 27 თებერვლის განჩინებით შპს გელათის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება შპს "გელათმა" კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განჩინება უცვლელად დარჩა.

2008 წლის 15 სექტემბერს შპს "გელათის" დირექტორმა ა. გ-შვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა და იმავე პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობა მოითხოვა. განმცხადებლის მტკიცებით, არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინებით შპს "გელათის" განცხადება, იმავე სასამართლოს 2008 წლის 19 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

2009 წლის 5 მარტს შპს "გელათის" დირექტორმა ა. გ-შვილმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას კერძო საჩივრით მიმართა. კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინება ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი, რადგანაც საქმეზე არსებობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "ბ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველები, კერძოდ, საქმის განხილვაში მონაწილეობდა

მოსამართლე თ. ზ-მე, რომელიც ტ. ზ-მის შვილია, ტ. ზ-მე კი უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში იხილავდა შპს "გელათისა" და სს "შოდას" შორის დავას. გარდა ამისა, კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნის მიუხედავად, საქმის განხილვაზე მოწვეული არ ყოფილა თბილისის მერია, რომელიც მოცემულ დავაში დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიაჩნია, რომ შპს "გელათის" დირექტორ ა. გ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის მიხედვით, კერძო საჩივრების განხილვა ზემოდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით.

იმავე კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივარს არ დააკმაყოფილებს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არ აქვს ადგილი.

საკასაციო პალატა არ იზარებს კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებას, რომ მოცემულ საქმეზე არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინების ბათილად ცნობის საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" და "გ" ქვეპუნქტების მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობდა მოსამართლე, რომელსაც კანონის თანახმად, უფლება არ ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო ამ გადაწყვეტილების მიღებაში, აგრეთვე, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

მოსამართლის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში დაუშვებელია, თუ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 29-ე, 30-ე და 31-ე მუხლებით გათვალისწინებული დამაბრკოლებელი გარემოებები, აგრეთვე, თუ მოსამართლე არ იყო დანიშნული კანონის შესაბამისად ან გასული იყო მისი უფლებამოსილების ვადა.

კერძო საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე თ. ზ-მეს საქმის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება არ ჰქონდა, რადგანაც იგი ტ. ზ-მის შვილია, ეს უკანასკნელი კი უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოში იხილავდა შპს "გელათისა" და სს "შოდას" შორის არსებულ დავას.

საკასაციო პალატა ამ მოსაზრებას ვერ გაიზიარებს, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზემომითითებული მუხლების მიხედვით, მოსამართლეს გადაწყვეტილების გამოტანაში მონაწილეობის მიღება ეკრძალება, თუ იგი მანამდე რაიმე სტატუსით მაინც მონაწილეობდა მხარეებს შორის არსებული დავის განხილვაში (საქმეს განხილავდა ქვედგომ ინსტანციაში, თავად იყო მხარე ან მხარის წარმომადგენელი, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი ან სხდომის მდივანი და ა.შ.). ამასთან, აღნიშნული შეზღუდვა ეხება უშუალოდ მოსამართლეს და არა მის ოჯახის წევრებს, შესაბამისად, ის ფაქტი, რომ თ. ზ-მის მამა შპს "გელათისა" და სს "შოდას" შორის მიმდინარე დავას საარბიტრაჟო სასამართლოში განიხილავდა, თ. ზ-მის საქმის განხილვაში მონაწილეობის დამაბრკოლებელ გარემოებას არ ქმნის.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მეორე საფუძვლად კერძო საჩივრის ავტორი იმ გარემოებას მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერია, რომელიც დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენდა, საქმის განხილვაში მესამე პირად ჩაბმული არ ყოფილა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე შეიძლება ჩაბმულ იქნეს საქმეში ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, რისთვისაც იგი მიმართავს სასამართლოს მოტივირებული განცხადებით. საკასაციო პალატის აზრით, ამგვარ განცხადებაში განმარტებული უნდა იყოს რა შეხება აქვს პირს კონკრეტულ დავასთან და იგი რა საფუძვლით უნდა ჩაებას მესამე პირად.

როგორც საქმიდან ირკვევა, შპს "გელათის" წარმომადგენელმა ა. გ-შვილმა 2008 წლის 11 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა და ქ. თბილისის მერიის საქმის განხილვაში მესამე პირად ჩაბმა მოითხოვა, თუმცა აღნიშნულ განცხადებაში არ იყო მითითებული მხარე ქ. თბილისის მერიას დაინტერესებულ პირად რა გარემოებების გამო მიიჩნევა, ამასთან, განმცხადებელმა 2008 წლის 12 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მის მიერ მანამდე დაყენებულ ყველა შუამდგომლობაზე უარი განაცხადა და მოითხოვა, რომ სასამართლოს მხოლოდ საქმის წარმოების განახლების საკითხზე ემსჯელა, შესაბამისად, კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სასამართლომ მისი მოთხოვნა არ გაითვალისწინა და ქ. თბილისის მერია საქმის განხილვაში არ ჩაება, უსაფუძვლოა.

გარდა ამისა, სამოქალაქო სამართალწარმოების ზოგადი პრინციპია, რომ ყოველმა პირმა სასამართლოს მხოლოდ საკუთარი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად უნდა მიმართოს. აღნიშნული პრინციპი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლშია განმტკიცებული.

იმავე კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მხოლოდ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს, შესაბამისად, თუ პირი საქმის განხილვაში ჩაბმული არ იყო, მან ეს გარემოება თავად უნდა გახადოს

სადავოდ, რომელიმე მხარეს მის ნაცვლად ამ საკითხის დაყენების უფლება არ აქვს. განსახილველ შემთხვევაში, თუ ქალაქ თბილისის მერია მიიჩნევდა, რომ დაირღვა მისი უფლებები, მას შესაბამისი განჩინების ბათილად ცნობა თავად უნდა მოეთხოვა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინება კანონიერი და დასაბუთებულია, შესაბამისად, კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სსკ-ის 284-ე, 422-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "გელათის" დირექტორ ა. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
მოცემულ საქმეზე უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 დეკემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ახლად აღმოჩენილ გარემობათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

#ას-728-1056-07 23 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით კახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელი დაკმაყოფილდა - დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი ქურდული სამყაროს წევრის - გ. გ-მის ახალი ნათესავის - ე. ფ-შვილის მფლობელობაში არსებული შემდეგი ქონება: კერძოდ, ქ. თელავში, ... ქ.53-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, თელავის რ-ნის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი და ქ. თელავში ... ქ. #64-ში მდებარე მიწის ნაკვეთი. მითითებული ქონება ჩამოერთვა ქურდული სამყაროს წევრს გ. გ-მის ახლო ნათესავ ე. ფ-შვილს და გადაეცა სახელმწიფოს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ფ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მარტის განჩინებით აპელანტს ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად განესაზღვრა ვადა და განემარტა შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

აღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეგზავნა ე. ფ-შვილსა და მის წარმომადგენელ ვ. თ-ძეს. ვ. თ-ძეს გზავნილი ჩაჰბარდა პირადად 2007 წლის 4 აპრილს, ხოლო ე. ფ-შვილს - 2007 წლის 11 აპრილს. იმ საფუძველით, რომ ვ. თ-ძის მიერ უწყების ჩაბარებიდან გასული იყო განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა, სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 27 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ფ-შვილმა და მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარში მის წარმომადგენლად აღარ იყო მითითებული ვ. თ-ძე, რომელთანაც, მართალია, რწმუნებულება გაფორმებული ჰქონდა სანოტარო წესით, მაგრამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის თანახმად, იგი აღარ იყო უფლებამოსილი პირი, შეეტანა სააპელაციო საჩივარი და აღარც მხარის წარმომადგენელს წარმოადგენდა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სასამართლოს არ ეკისრებოდა ვალდებულება, სასამართლო უწყება მისთვისაც ჩაეზარებინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრით ე. ფ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინებით ე. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ საქმეში წარმოდგენილი "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მიერ 2007 წლის 24 მაისს

გაცემული ცნობის მიხედვით, ვ. თ-ძე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში მას წარმომადგენლის უფლებამოსილება გააჩნდა.

2007 წლის 11 ივლისს ე. ფ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება იმ საფუძველით, რომ ვ. თ-ძე არ იყო უფლებამოსილი პირი, განეხორციელებინა საადვოკატო საქმიანობა სამოქალაქო საქმეებზე სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულის თაობაზე მან შეიტყო მას შემდეგ, რაც ვ. თ-ძეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ წერილობით განუმარტა, რომ პირს, რომელსაც გავლილი აქვს ტესტირება მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, არა აქვს უფლება, განეხორციელოს საადვოკატო საქმიანობა სამოქალაქო წესით სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად, ე. ფ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინებისა და, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინების ბათილად ცნობა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინებით ე. ფ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ფ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 423-ე მუხლების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინებისა და, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინების ბათილად ცნობა და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ე. ფ-შვილის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან გაჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომელთა წარმოება დამთავრდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით. ასეთ განჩინებებს განეკუთვნება განჩინება საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ (სსკ-ის 272-ე მუხლი) და განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ (სსკ-ის 275-ე მუხლი), ანუ განჩინებები, რომლითაც მთავრდება საქმის წარმოება. იგივე უნდა ითქვას სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე და განჩინებებზე, რომლითაც მთავრდება საქმის წარმოება.

ამდენად, ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების (განჩინების) გაუქმების ობიექტი შეიძლება იყოს:

ა) პირველი ინსტანციის სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, აგრეთვე, განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტის თუ სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ;

ბ) სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების გადაწყვეტილებები, აგრეთვე, განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტისა თუ სააპელაციო და საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ.

სასამართლო ინსტანციების ყველა სხვა განჩინება არ შეიძლება იყოს საქმის განახლების მიზნით ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების ობიექტი, რადგან მათი მეშვეობით ხდება არა საქმის წარმოების დამთავრება, არამედ, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულება, საქმის განხილვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების გადაწყვეტა.

განსახილველ შემთხვევაში, ე. ფ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ აღნიშნული განჩინება არ განეკუთვნება იმ განჩინებათა რიგს, რომლის ბათილად ცნობის თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსით შესაძლებელია, ვინაიდან მოცემული განჩინებით დამთავრდა საქმის წარმოება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის გასაჩივრებული განჩინება უნდა

გაუქმდეს და ე. ფ-შვილის განცხადება დასაშვებობის სხვა კრიტერიუმების შესამოწმებლად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ე. ფ-შვილი კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
გაუქმდეს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინება და ე. ფ-შვილის განცხადება დასაშვებობის სტადიიდან დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები
განჩინება**

ას-490-729-08 7 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. გ-შვილმა განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის, ასევე ამავე გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით თ. ზ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და თ. ზ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ბ. გ-შვილს მის სასარგებლოდ დაეკისრა 6360 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა. მითითებული გადაწყვეტილება უცვლელად იქნა დატოვებული საკასაციო სასამართლოს მიერ და იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

ბ. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ ეფუძნება შემდეგ საფუძვლებს: თ. ზ-ძესა და ბ. გ-შვილს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება განპირობებული იყო პირადი საოჯახო საჭიროებით, რაც განხორციელდა შუამავლების - ჯერ ლ. წ-ძის, ხოლო შემდგომში - ჯ. ბ-შვილის მიერ. სადავო ხელშეკრულების გაფორმებაში მონაწილეობდა მ. ა-ძეც იმ ინტერესით, რომ თ. ზ-ძის მიერ გაცემული თანხა პირველად უშუალოდ მას მიეღო და საკუთარი სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოეყენებინა. თავის მხრივ, სესხით გათვალისწინებული თანხის ნაწილის მიღებით დაინტერესებული იყო ვინმე მ. მ-ძე. აღნიშნული წესით თანხის განაწილების მოლაპარაკებაში ბ. გ-შვილი არ მონაწილეობდა. სანოტარო აქტი, მართალია, ბ. გ-შვილის ბინაში გაფორმდა, მაგრამ თანხა ამ უკანასკნელს აღარ მიუღია. თ. ზ-ძემ 5000 აშშ დოლარი ჯ. ბ-შვილის ოფისში გადასცა მ. მ-ძეს, რაც განაწილდა შემდეგნაირად: 1000 აშშ დოლარი დაუყოვნებლივ გადაეცა თ. ზ-ძეს ორი თვის 10%-იანი სარგებლის სახით, 500 აშშ დოლარი საშუამავლო საზღაურად - ჯ. ბ-შვილს, 300 აშშ დოლარი - მ. მ-ძეს, 300 აშშ დოლარი - ლ. წ-ძეს, 50 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადახდილ იქნა სანოტარო მოქმედების საზღაურად. დარჩენილი თანხიდან - 2850 აშშ დოლარიდან მ. მ-ძემ მ. ა-ძეს გადასცა 2800 აშშ დოლარი სესხის სახით ორი კვირის ვადით, ამდენად, ირკვევა, რომ თ. ზ-ძემ სადავო თანხა რეალურად გადასცა არა ბ. გ-შვილს, არამედ მ. ა-ძეს, რის უზრუნველსაყოფადაც მათ შორის იმავე სანოტარო ბიუროში იმავე დღეს და იმავე თანხაზე დაიდო სესხის ხელშეკრულება, ოღონდ ლარის გაანგარიშებით. აღნიშნული გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ თ. ზ-ძეს შუამავლებისაგან სასესხო უზრუნველყოფის სახით შეთავაზებული, ბ. გ-შვილის კუთვნილი ბინა არ მოეწონა და ვინაიდან მის მიერ გაცემულ თანხას უშუალოდ მ. ა-ძე დაეუფლებოდა, მასვე უნდა ეკისრა ძირითადი ვალის გასტუმრების ვალდებულება. აღნიშნულ გარემოებებს ადასტურებენ მ. ა-ძე, ლ. წ-ძე და თ. ტ-ძე, რომლებიც ამჟამად არასრულწლოვანთა და ქალთა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იხდიან სასჯელს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ბ. გ-შვილის განცხადების განხილვა შეჩერდა ამავე განმცხადებლის მიერ შეტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოდგენის განახლების თაობაზე განცხადების განხილვამდე. ამავე სასამართლოს 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ბ. გ-შვილის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ არ დაკმაყოფილდა, 2008 წლის 5 მარტის განჩინებით კი განახლდა საქმის წარმოება ბ. გ-შვილის განცხადებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილის განჩინებით ბ. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელი თავის მოთხოვნას აფუძნებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წინაპირობებს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მითითებულია იმ ფაქტზე, რომ მ. ა-ძესა და თ. ზ-ძეს შორის სანოტარო წესით გაფორმებული სესხის ხელშეკრულება, ისევე, როგორც თ. ზ-ძესა და ბ. გ-შვილს შორის სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება, დადებულია ერთსა და იმავე საგანზე - 6000 აშშ დოლარზე. სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია ახლად აღმოჩენილ გარემოებად მხარის მიერ მითითებული გარემოებანი და ჩათვალა, რომ აღნიშნულ გარემოებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები განმცხადებელმა კანონით დადგენილი წესით არ წარადგინა, ვინაიდან თბილისის #5 ქალთა და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში 2007 წლის 22 აგვისტოს მოპოვებულ გამოკითხვის აქტები შედგენილია დაინტერესებული პირის - ბ. გ-შვილის წარმომადგენელ რ. რ-ძის მიერ და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლისა და 134-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამის მტკიცებულებად ვერ ჩაითვლება. საქმის მასალებში წარმოდგენილ თ. ზ-ძესა და მ. ა-ძეს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ იგი დადებულია 2001 წლის 19 სექტემბერს თ. ზ-ძესა და ბ. გ-შვილს შორის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლოს მიერ მოცემულ განცხადებაში დასახლებული გარემოებების გაზიარების შემთხვევაშიც, აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი ვერ გახდება, ვინაიდან ბ. გურგენიძის შეგებებული სარჩელის აღძვრის ან სხვა გზით მხარეებს შორის 2001 წლის 19 სექტემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდია.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 14 და 15 აპრილის სხდომის ოქმებზე, ასევე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვის ოქმზე შენიშვნებით მიმართა ბ. გ-შვილის წარმომადგენელმა რ. რ-ძემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 აპრილის განჩინებით განცხადება 2008 წლის 14, 15 და 21 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმებში შენიშვნების შეტანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებული შენიშვნები შეტანილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლით დადგენილი ვადის დარღვევით.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 აპრილისა და 16 მაისის განჩინებებზე ბ. გ-შვილის წარმომადგენელმა რ. რ-ძემ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად შემდეგი საფუძველებით: მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ წარმოდგენდა ის გარემოებები, რომ სადავო სესხის ხელშეკრულების საგანი რეა-ლურად მიიღო არა მსესხებელმა, არამედ - გარეშე პირმა მ. ა-ძემ; მ. ა-ძემ მიღებული სასესხო თანხა შემდგომში გადასცა არა ბ. გ-შვილს, არამედ - ვინმე მ. მ-ძეს, რომელმაც თანხა მოიხმარა საკუთარი საჭიროებისათვის; თ. ზ-ძესა და მ. ა-ძეს შორის დაიდო სადავო 6000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარზე ფიქტიური სესხის ხელშეკრულება, რაც შესაბამისი ხელშეკრულებით დასტურდება; თ. ზ-ძემ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის სასამართლო სხდომაზე აღიარა, რომ მ. ა-ძესთან დადო სადავო თანხის ოდენობის სესხის ხელშეკრულება. მითითებული გარემოებანი საქმის წარმოების მიმდინარეობისას ცნობილი არ იყო. სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გაიზიარა ბ. გ-შვილის წარმომადგენლის მიერ შედგენილი გამოკითხვის აქტები იმ მოტივით, რომ ისინი მოიპოვა დაინტერესებულმა პირმა და არ გაითვალისწინა, რომ ადვოკატს ეკისრებოდა როგორც პროფესიული, ისე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქმისათვის საჭირო ცნობების მართლსაწინააღმდეგო გზითა და ფორმით წარმოდგენისათვის, ამდენად, მის მიერ მხარის კანონიერი ინტერესების დაცვა თავისთავად გულისხმობს ამ ინტერესების კანონის შესაბამისი გზითა და მეთოდებით დაცვას. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის შესაბამისად, განმცხადებლის მიერ წარდგენილი გამოკითხვის აქტები წარმოდგენს აქტის ფორმის საქმიან საბუთებს, რომლებიც სარწმუნო ფორმით შეიცავენ ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. არასწორია სასამართლოს არგუმენტი, რომ ბ. გ-შვილს შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა არ წარუდგენია და განმცხადებლის მიერ მითითებული ახლად აღმოჩენილი გარემოებების გათვალისწინების შემთხვევაშიც სასამართლო ვერ შეძლებდა

განმცხადებლისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღებას. სააპელაციო პალატამ უგულებელყო ის გარემოება, რომ ბ. გ-შვილმა თავისი შესაგებლის საფუძვლად მიუთითა, რომ მას სადავო სესხის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა არ გადასცემია, შესაბამისად, სადავო გარიგება უცილოდ ბათილია. ამდენად, როგორც პირვანდელ, ისე შემდეგი განხილვის დროს სასამართლოს სარჩელის საფუძვლების გამოკვლევის ფარგლებში უნდა დაედგინა საქმისათვის აუცილებელი ფაქტები, მათ შორის, სადავო სესხის ხელშეკრულების არარა გარიგებად მიჩნევის ფაქტი. სასამართლომ წინასწარ გამოხატა თავისი აზრი გამოკითხვის აქტების გაუზიარებლობის თაობაზე, როდესაც დაუსაბუთებლად უარი განაცხადა გამოკითხულ პირთა მოწმედ დაკითხვის შესახებ განმცხადებლის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. სააპელაციო სასამართლომ ისე განიხილა მ. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, რომ ჯერ კანონიერ ძალაში არ იყო შესული განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე ბ. გ-შვილის განცხადების დაუკმაყოფილებლობის შესახებ, რითაც დაირღვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მეორე ნაწილი, კერძოდ, განჩინება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ ბ. გ-შვილის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ჩაჰბარდა არაუფლებამოსილ პირს - ვინმე მ. გ-შვილს, რომელიც განსხვავებულ მისამართზე ცხოვრობს და სასამართლო გზავნილი ბ. გ-შვილისათვის არ გადაუცია, ხოლო განმცხადებლის წარმომადგენელს ზემოხსენებული განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 22 მაისს. ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 16 მაისის განჩინება სხდომის ოქმში შენიშვნების შეტანაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული განჩინების შესაბამისად, 2008 წლის 14 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმი მომზადდა და ხელმოწერილ იქნა ამავე წლის 17 აპრილს, 2008 წლის 15 აპრილის სხდომის ოქმი - 18 აპრილს, 21 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმი კი - 2008 წლის 24 აპრილს. აღნიშნული სხდომის ოქმის ასლები მხარეს ჩაჰბარდა ამავე წლის 7 მაისს, რაზეც შენიშვნები შეიტანა 13 მაისს (10-12 მაისი დასვენების უქმე დღეები იყო). აღსანიშნავია, რომ სასამართლომ ვერ დაასაბუთა, შეესაბამებოდა თუ არა ზემოხსენებული სასამართლო სხდომის ოქმების მომზადების თარიღი განჩინებაში დაფიქსირებულ დროს, ვინაიდან დასახელებულ ოქმებზე არსებულ ხელმოწერებს მათი შესრულების თარიღი არ აქვს დასმული, ოქმების თავფურცელზე კი სასამართლო სხდომის ჩატარების დროა ასახული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ბ. გ-შვილის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. მითითებული ნორმა ადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მხარემ შეიტყო ისეთი გარემოება ან მოიპოვა მტკიცებულება, რომელიც მისთვის საქმის განხილვის დროს ობიექტური მიზეზით ხელმიუწვდომელი იყო, თუმცა ასეთ გარემოებასა თუ მტკიცებულებას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე და მხარისათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევდა.

კერძო საჩივრით ბ. გ-შვილი ახლად აღმოჩენილად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს: 1) სესხის ხელშეკრულების საგანი რეალურად მიიღო არა მსესხებელმა, არამედ - გარეშე პირმა - მ. ა-ძემ; 2) მ. ა-ძემ მიღებული სასესხო თანხა შემდგომში გადასცა არა მსესხებელ ბ. გ-შვილს, არამედ გარეშე პირს - მ. მ-ძეს; 3) მ. მ-ძემ ხსენებული თანხა მოიხმარა პირადი საჭიროებისათვის; 4) თ. ზ-ძესა და მ. ა-ძეს შორის სადავო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების დადების დღესვე დაიდო იმავე 6000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარზე ფიქტიური სესხის ხელშეკრულება; 5) თ. ზ-ძემ სააპელაციო სასამართლო სხდომაზე აღიარა, რომ მან, მართლაც იმავე თანხაზე მ. ა-ძესთან დადო სხვა სესხის ხელშეკრულება.

ამასთან, ზემოხსენებულ გარემოებათა დასადასტურებლად განმცხადებელი უთითებს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 15 აპრილის სასამართლო სხდომაზე თ. ზ-ძის აღიარებაზე, რომ მ. ა-ძესთან დადო სადავო თანხის ოდენობის სესხის ხელშეკრულება, ასევე, რ. რ-ძის მიერ თბილისის #5 არასრულწლოვანთა და ქალთა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მ. ა-ძის, ლ. წ-ძისა და თ. ტ-ძის გამოკითხვის აქტებზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებული გარემოებანი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებას საფუძვლად ვერ დაედება, ვინაიდან აღნიშნული ფაქტები ბ. გ-შვილისათვის საქმის არსებითად წარმოების დროსაც იყო ცნობილი და მას დაუბრკოლებლად შეეძლო თავისი მოთხოვნები ამ გარემოებებზე დაემყარებინა. აღნიშნულის მსჯელობის საწინააღმდეგოდ კი მხარეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სამართლებრივად სწორად შეაფასა ზემოხსენებული გამოკითხვის აქტები და მართებულად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. დასახელებული ნორმა განსაზღვრავს, თუ რომელ დოკუმენტს შეიძლება მიენიჭოს წერილობითი მტკიცებულების ძალა და, სხვა მტკიცებულებებთან ერთად, ასეთად მიიჩნევს ოფიციალური ორგანოების მიერ შედგენილ, სათანადო ფორმისა და შინაარსის მქონე აქტებს. დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გამოკითხვის აქტები ასეთი სახის მტკიცებულებად (საქმიან საბუთად) ვერ ჩაითვლება, ვინაიდან ისინი შეადგინა ცალმხრივად დაინტერესებულმა პირმა – განმცხადებლის წარმომადგენელმა რ. რ-ძემ.

დაუსაბუთებელია კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ სააპელაციო სასამართლომ ბ. გ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განიხილა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მეორე ნაწილის დარღვევით, ისე, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება ამავე გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე კანონიერ ძალაში შესული არ იყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოში შემოსულია განცხადებები როგორც ერთი და იმავე, ასევე ორივე მხარის მიერ ერთდროულად გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, სასამართლომ უნდა შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების შესახებ განცხადების განხილვა, ვიდრე არ იქნება განხილული განცხადება გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობის შესახებ. დასახელებული ნორმა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც კანონიერ ძალაში შესულ ერთსა და იმავე გადაწყვეტილებაზე შეტანილი იქნება განცხადებები როგორც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ისე გადაწყვეტილების ბათილად ცნობისას საქმის წარმოების განახლების შესახებ. ასეთ დროს სასამართლო ვალდებულია, შეაჩეროს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე მხარის მოთხოვნის განხილვამდე და მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ იმსჯელოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლებზე.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინების (თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე ბ. გ-შვილის განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) კანონიერ ძალაში შესვლის დროს იმ საფუძვლით, რომ ზემოხსენებული განჩინება ჩაჰბარდა არაუფლებამოსილ პირს – მ. გ-შვილს, რომელიც ყვარლის რაიონში ცხოვრობს და სასამართლო გზავნილი ბ. გ-შვილისათვის არ გადაუცია, ხოლო განმცხადებლის წარმომადგენელს განჩინების ასლი ჩაჰბარდა 2008 წლის 22 მაისს.

საქმეში წარმოდგენილი საფოსტო განყოფილების მიღება-ჩაბარების უწყებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 დეკემბრის განჩინების ასლი ბ. გ-შვილს გაეგზავნა და 2008 წლის 23 იანვარს კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა განმცხადებლის მიერ საქმეში მითითებულ მისამართზე მყოფ პირს – მ. გ-შვილს, ამდენად, განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრების ვადა სააპელაციო პალატამ სწორად აითვალა 2008 წლის 23 იანვრიდან და იგი ამოიწურა ამავე წლის 24 თებერვალს, ბ. გ-შვილის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვა კი განახლდა სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 5 მარტის განჩინებით, შესაბამისად, მითითებული მომენტისათვის 2007 წლის 21 დეკემბრის სადავო განჩინება უკვე კანონიერ ძალაში იყო შესული და სააპელაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა არ დაურღვევია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 16 მაისის განჩინებით არასწორად არ გაიზიარა ბ. გ-შვილის მოთხოვნა ამავე წლის 14, 15 და 21 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმებში შენიშვნების შეტანის თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 291-ე მუხლის მესამე ნაწილის პირველი წინადადების მიხედვით, სხდომის ოქმზე ხელმოწერიდან 3 დღის ვადაში მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ წარადგინონ თავიანთი შენიშვნები ოქმთან დაკავშირებით, მიუთითონ მის უსწორობასა და უსრულობაზე. დასახელებული ნორმა სასამართლო სხდომის ოქმზე შენიშვნების შეტანის ვადის ათვლას უკავშირებს ოქმის ხელმოწერის და არა მისი მხარისათვის გადაცემის მომენტს.

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 14, 15 და 21 აპრილის სასამართლო სხდომის ოქმებში შენიშვნების შეტანის თაობაზე მხარემ სასამართლოს მიმართა 2008 წლის 7 მაისს, ზემოხსენებული ნორმით დადგენილი 3-დღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რის გამოც დასახელებული შენიშვნები მართებულად არ იქნა გაზიარებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბ. გ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აპრილისა და 16 მაისის განჩინებები დარჩეს უცვლელი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი

განჩინება

#ას-665-886-08 6 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: საქმეზე წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 16 აგვისტოს ხაშურის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა ე. ჯ-მემ მოპასუხეების - ე. და ნ. ტ-ძეების მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა დ. სურამში, ... ქ. #14-ში მდებარე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთსა და სათავსზე მოპასუხეთა უკანონო მფლობელობისა და სარგებლობის აღკვეთა, აგრეთვე, მას და მოპასუხეების ეზოებს შორის სასაზღვრო მიჯნის აღდგენისას ხელშეშლის აღკვეთა ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ დ. სურამში, ... ქ. #14-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი მიწის ნაკვეთით წარმოადგენდა მის საკუთრებას, რომელსაც სამხრეთით ესაზღვრებოდა ე. ტ-ძის ნაკვეთი. მხარეთა მიწის ნაკვეთებს შორის არსებობდა ღობე, რომელიც დროთა განმავლობაში დაძველდა და დაიშალა. რამდენადაც მოსარჩელის ოჯახი მუდმივად არ ცხოვრობდა სურამში, მოპასუხე შეეცადა ე. ჯ-ძის მიწის ნაკვეთი და სახლთან მიშენებული სათავსი მიეთვისებინა. ამ მიზნით მოპასუხემ ე. ჯ-ძის ნებართვის გარეშე მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე დააყენა მანქანები, მოაწყო ბოსტანი, სათავსში მოათავსა თავისი ნივთები.

მოსარჩელის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ე. ტ-ძე განაგრძობდა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის ფლობას და არ იძლეოდა ახალი სასაზღვრო მიჯნის აღმართვის შესაძლებლობას. აღნიშნული გარემოება ე. ჯ-ძის, როგორც მესაკუთრის, უფლებებს მნიშვნელოვნად არღვევდა.

2002 წლის 9 ოქტომბერს იმავე სასამართლოში ე. ტ-ძემ შეგებებული სარჩელი წარადგინა, რომელშიც მოპასუხედ ე. ჯ-ძე დაასახელა. შეგებებული სარჩელის ავტორმა მოითხოვა 185კვ.მ მიწის ნაკვეთის ე. ჯ-ძის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა, მას და მოპასუხის მიწის ნაკვეთებს შორის სასაზღვრო მიჯნის აღმართვა.

თავის მოთხოვნას შეგებებული სარჩელის ავტორი აფუძნებდა 1938 წლის 30 აგვისტოს ხელშეკრულებას, რომლითაც მამამისმა ვასილ ტ-ძემ ბ. ბ-ძისაგან შეიძინა 775კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე არსებული ნაგებობებით, აგრეთვე 1931 წლის 7 თებერვლის გაყრილობის განაჩენს, რომელიც შეეხებოდა ბ. ბ-ძის მამის - ვ. ბ-ძის ქონების ოჯახის წევრებზე გაყოფას. აღნიშნული მტკიცებულებები, ე. ტ-ძის მოსაზრებით, ცხადყოფდა, რომ მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის გარკვეულ ნაწილს სწორედ ე. ჯ-ძე ფლობდა, ხოლო სურამის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროში სადავო მიწის ნაკვეთების ოდენობა არასწორად იყო ასახული. ე. ტ-ძის მტკიცებით, მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთიდან 185კვ.მ-ის ე. ჯ-ძემ 1943 წელს მითვისებდა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილებით ე. ჯ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, დადგინდა დ. სურამში, ... ქ. #14-ში მდებარე, ე. ჯ-ძის სახელზე რიცხული სახლის სამხრეთით არსებულ მიწის ნაკვეთში ძველი ღობის აღდგენა; აღნიშნული ღობე მიჩნეულ იქნა მიჯნად; ნ. და ე. ტ-ძეებს დაევალიათ ე. ჯ-ძის კუთვნილი სახლის სამხრეთით მდებარე ეზოს მიწის ნაკვეთისა და სათავსის ფლობის აღკვეთა; ნ. და ე. ტ-ძეების შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

დასახელებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ტ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ე. ტ-მის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 22 ნოემბრის გადაწყვეტილება უსაფუძვლობის მოტივით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ე. ტ-მის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო; გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ სურამის ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობაზე, რომლის თანახმად, ნ. ტ-მის სახელზე ირიცხებოდა 460კვ.მ მიწის ნაკვეთი, ხოლო ე. ჯ-მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი 540კვ.მ-ს შეადგენდა, რისი გათვალისწინებითაც, ე. ჯ-მის სარჩელი საფუძვლიანი იყო. 1943 წელს მითვისებული მიწის ნაკვეთის ე. ჯ-მის მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნა სააპელაციო სასამართლომ ცალსახად ხანდაზმულად მიიჩნია, რაც შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის დამოუკიდებელ წინაპირობას წარმოადგენდა.

2007 წლის 24 ოქტომბერს ე. ტ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა 1931 წლის 7 თებერვლის გაყრილობის განაჩენში აღნიშნულ საზომ ერთეულებს - არშინსა და მეტრს შორის არსებული სხვაობაზე, რისმა გაუთვალისწინებლობამაც ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემების მართებულად მიჩნევა და დავის არასწორად გადაწყვეტა განაპირობა. საოლქო სასამართლოს 2003 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება არ შეიცავდა მითითებას იმის შესახებ, რომ არშინის ნაცვლად ე. ჯ-მეს მიწა მეტრებში მიეზომა. სწორედ ამგვარი მიზომით აღმოჩნდა განმცხადებლის საკუთრებაში 460 კვ.მ მიწის ფართი, ნაცვლად - 775კვ.მ-ისა.

ე. ტ-მემ საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების 2007 წლის 24 ოქტომბერს წარდგენა დაუკავშირა საზომ ერთეულებს - მეტრსა და არშინს შორის სხვაობის თაობაზე კომპეტენტური ორგანოს დასკვნის მიღებას. განმცხადებელმა მიუთითა, რომ ბოლო პერიოდში აღნიშნული საზომი ერთეულების სხვაობაზე საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა და ამ მიზნით შესაბამის ორგანოში განცხადებაც წარადგინა. 2007 წლის 25 სექტემბერს ე. ტ-მემ ადვოკატთან ხელშეკრულება გააფორმა, ხოლო იმავე წლის 27 სექტემბერს ზემომითითებულ განცხადებაზე პასუხი მოიპოვა, რამაც საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების წარდგენა განაპირობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განჩინებით ე. ტ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 13 მარტის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, განმცხადებლის მოთხოვნა საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მისთვის 2007 წლის 7 სექტემბერს გახდა ცნობილი საზომ ერთეულებს - არშინსა და მეტრს შორის სხვაობის თაობაზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებას არ წარმოადგენდა. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო, რომ ამ გადაწყვეტილებით ე. ტ-მის შეგებებული სარჩელი ე. ჯ-მის მიმართ, უკანონოდ მიტაცებული მიწის ნაკვეთის გამოთხოვის თაობაზე, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ტ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის განსახილველად იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნება, შემდეგი მოტივებით:

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არ შეიცავს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის უსაფუძვლობის სათანადო დასაბუთებას, შესაბამისად, გაუგებარია, თუ რატომ არ მიიჩნია სასამართლომ ახლად აღმოჩენილ გარემოებად განმცხადებლის მიერ დასახელებული გარემოებები. ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს ყურადღება უნდა მიექცია 1966 წლიდან ე. ტ-მის მიერ ადმინისტრაციულ ორგანოებში წარდგენილ საჩივრებზე, რაც შეგებებული სარჩელის ხანდაზმულობას გამორიცხავდა.

დავის განხილვისას არც ერთი ინსტანციის სასამართლოს არ გაუთვალისწინებია ის ფაქტი, რომ 1931 წლის 7 თებერვლის გაყრილობის განაჩენში ვ. ბ-მის ქონების ოჯახის წევრებს შორის გაყოფისას საზომ ერთეულად გამოყენებულია არშინი, ე. ჯ-მეს კი მიწა მეტრებში მიეზომა. დღეის მდგომარეობით, როცა საზომ ერთეულებს - მეტრსა და არშინს შორის სხვაობა მის მიერ დადასტურებულია, არსებობს აღნიშნული მოტივით საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტი საქმის წარმოების განახლებას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო უკავშირებს მხარის მიერ მხოლოდ ისეთი ახალი გარემოებების ან მტკიცებულებების გაცნობას, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ახლად აღმოჩენილად მითითებული გარემოება რელევანტური უნდა იყოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში ჩამოყალიბებულ ფაქტობრივ და იურიდიულ დასაბუთებულობასთან, ამიტომ ნებისმიერი გარემოება, რომელსაც აღნიშნულ დასაბუთებულობასთან უშუალო შემხებლობა არა აქვს, ვერ იქნება ახლად აღმოჩენილი.

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაეყრდნო ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემის სისწორის პრეზუმფციას, ხოლო შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა მარტოოდენ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად ასახელებს 2007 წლის 7 სექტემბრის ცნობით საზომ ერთეულებს - არშინსა და მეტრს შორის არსებული სხვაობის შეტყობას, რის საფუძველზეც სადავოდ ხდის მხარეთა საკუთრებად აღრიცხული მიწის ნაკვეთების ოდენობას, რაც თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმეზე ახლად აღმოჩენილ გარემოებას არ წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, მხარეთა კუთვნილი მიწის ნაკვეთების ოდენობის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს მონაცემებით, რაზეც განმცხადებლის მიერ მითითებული ცნობა ვერ ახდენს გავლენას. გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი ასევე ვერ გახდება ე. ტ-ძის მითითება იმის შესახებ, რომ სადავო საკითხთან დაკავშირებით 1966 წლიდან მის მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილების სხვა საშუალებების გამოყენება (ადმინისტრაციული ორგანოებისათვის მიმართვა) გამორიცხავდა შეგებებული სარჩელის ხანდაზმულობას და რომ სასამართლომ არასწორად გამოთვალა ხანდაზმულობის ვადის დენა. თავის დროზე შეგებებული სარჩელის ხანდაზმულობასთან მიმართებაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მართლზომიერება ე. ტ-ძეს სადავოდ არ გაუხდია, კერძოდ, დასახელებული გადაწყვეტილება მას საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია. საქმის წარმოების განახლების საფუძვლად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების მოტივების მცდარობაზე მითითება ვერ ჩაითვლება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებულ ახლად აღმოჩენილ გარემოებად და ამ მოტივით საქმის წარმოების განახლებას ვერ განაპირობებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- ე. ტ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 მაისის განჩინება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ას-886-1098-08 5 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილებით კახეთის საოლქო პროკურატურის სარჩელი დაკმაყოფილდა - დაუსაბუთებლად იქნა ცნობილი ქურდული სამყაროს წევრის, გ. გ-ძის ახალი ნათესავის ე. ფ-შვილის მფლობელობაში არსებული შემდეგი ქონება: კერძოდ, ქ. თელავში, ... ქ. #53-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, თელავის რაიონის სოფ. ... მდებარე საცხოვრებელი სახლი და ქ. თელავში, ... ქ. #64-ში მდებარე მიწის ნაკვეთი. მითითებული ქონება ჩამოერთვა ქურდული სამყაროს წევრ გ. გ-ძის ახლო ნათესავ ე. ფ-შვილს და გადაეცა სახელმწიფოს.

თელავის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ე. ფ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მარტის განჩინებით აპელანტს ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, სახელმწიფო ბაჟის გადასახდელად, განესაზღვრა ვადა და განემარტა მისი შეუვსებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ.

აღნიშნული განჩინების ასლი კანონით დადგენილი წესით გაეზავნა ე. ფ-შვილსა და მის წარმომადგენელ ვ. თ-ძეს. ვ. თ-ძეს გზავნილი ჩაჰბარდა პირადად 2007 წლის 4 აპრილს, ხოლო ე. ფ-შვილს 2007 წლის 11 აპრილს. იმ საფუძველით, რომ ვ. თ-ძის მიერ უწყების ჩაბარებიდან გასული იყო განჩინებით დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა, სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 27 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ფ-შვილმა და მიუთითა, რომ სააპელაციო საჩივარში მის წარმომადგენლად აღარ იყო მითითებული ვ. თ-ძე, რომელთანაც, მართალია, რწმუნებულება გაფორმებული ჰქონდა სანოტარო წესით, მაგრამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლის თანახმად, იგი აღარ იყო უფლებამოსილი პირი, შეეტანა სააპელაციო საჩივარი და აღარც მხარის წარმომადგენელს წარმოადგენდა. ამასთან, კერძო საჩივრის ავტორის აზრით, სასამართლოს არ ეკისრებოდა ვალდებულება სასამართლო უწყება მისთვისაც ჩაებარებინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, კერძო საჩივრით ე. ფ-შვილმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღება განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინებით ე. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ საქმეში წარმოდგენილი, "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" მიერ 2007 წლის 24 მაისს გაცემული ცნობის მიხედვით, ვ. თ-ძე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრია და, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოში მას წარმომადგენლის უფლებამოსილება გააჩნდა.

2007 წლის 11 ივლისს ე. ფ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ ვ. თ-ძე არ იყო უფლებამოსილი პირი, განეხორციელებინა საადვოკატო საქმიანობა სამოქალაქო წესით სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში. განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულის თაობაზე მან შეიტყო მას შემდეგ, რაც ვ. თ-ძეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ წერილობით განუმარტა, რომ პირს, რომელსაც გავლილი აქვს ტესტირება მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, არა აქვს უფლება, განახორციელოს საადვოკატო საქმიანობა სამოქალაქო წესით სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში. შესაბამისად, ე. ფ-შვილმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინებისა და, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 29 მაისის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინებით ე. ფ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის განჩინებით ე. ფ-შვილის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 31 ივლისის განჩინება და ე. ფ-შვილის განცხადება დასაშვებობის სტადიიდან დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინებით ე. ფ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 27.04.07 წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ე. ფ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 423-ე მუხლების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 27 აპრილის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ე. ფ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან გაჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამავე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მიეთითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და მხარემ არ იცოდა აღნიშნული ფაქტის თაობაზე. ამასთან, მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ე. ფ-შვილის მიერ წარმოდგენილი, სსიპ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" 2007 წლის 29 იანვრით დათარიღებული წერილი ვერ ჩაითვლება ისეთ მტკიცებულებად, რომელიც არსებობდა განჩინების გამოტანის მომენტში და რომლის წარმოდგენაც თავისი ბრალის გარეშე არშეეძლო განმცხადებელს. განმცხადებელი ვერ ასახელებს ახლად აღმოჩენილ გარემოებას, რომელიც შეიძლება ასეთ გარემოებად უთითებს, რომ ვ. თ-ძეს არ იყო უფლებამოსილი პირი, განეხორციელებინა საადვოკატო საქმიანობა სამოქალაქო წესით სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში. ე. ფ-შვილი 27.04.07 წ. განჩინებაზე წარდგენილ კერძო საჩივარშიც აღნიშნავდა, რომ ვ. თ-ძე არ იყო სსსკ-ის 440-ე მუხლის საფუძველზე უფლებამოსილი პირი, განეხორციელებინა საადვოკატო საქმიანობა სააპელაციო სასამართლოში, ამდენად, კერძო საჩივრის ავტორი მსჯელობდა წარმომადგენლის უფლებამოსილებაზე. შესაბამისად გარემოება ვერ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილად. ამასთან საქმეში არ არსებობდა რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ ვ. თ-ძეს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის მიხედვით გაუქმებული ჰქონდა წარმომადგენლის უფლებამოსილება, ხოლო ის გარემოება, რომ არ ჰქონდა გავლილი ადვოკატთა ტესტირება სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით, მას არ ათავისუფლებდა იმ ვალდებულებისაგან, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განჩინების ჩაბარების თაობაზე ეცნობებინა მარწმუნებლისათვის - ე. ფ-შვილისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა ისეთი გარემოებები და ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულებები, რომელთა შესახებაც თავისი ბრალის გარეშე არ შეეძლო განჩინების მიღების დროს მიეთითებინა და რომლებიც ადრე რომ წარედგინა სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი სამართლებრივად უსაფუძველო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

ე. ფ-შვილი კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივლისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ას-716-936-08

19 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით ზ. ხ-ურის სარჩელი მ. ტ-შვილის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მ. ტ-შვილს ზ. ხ-ურის სასარგებლოდ დაეკისრა 4800 აშშ დოლარის გადახდა; უარი ეთქვა ზ. ხ-ურს იპოთეკით დატვირთული, გ. კ-ვას სახელზე რიცხული ბინის საჯარო ვაჭრობის წესით რეალიზაციაზე; მ. ტ-შვილის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: ბათილად იქნა ცნობილი 2000 წლის 20 ოქტომბრის იპოთეკის ხელშეკრულება; 4800 აშშ დოლარზე დადებული 2000 წლის 20 ოქტომბრის სესხის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ტ-შვილმა მხოლოდ ზ. ხ-ურის მიერ იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციაზე უარის თქმისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში; აღწერილი გადაწყვეტილება მ. ტ-შვილისათვის ზ. ხ-ურის სასარგებლოდ სესხის სახით 4800 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების ნაწილში არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, გადაწყვეტილების ეს ნაწილი არ ყოფილა სააპელაციო პალატის მსჯელობის საგანი და ამ ნაწილში ის შევიდა კანონიერ ძალაში.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით და 2003 წლის 3 აპრილის განჩინებით გაუქმდა გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უარის თქმისა და იპოთეკით დატვირთული ბინის აუქციონზე რეალიზაციის შესახებ.

2008 წლის 27 მაისს სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა მ. ტ-შვილის წარმომადგენელმა ზ. ჟ-ქემ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება; განმცხადებელმა მოითხოვა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების, ასევე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების და ამავე სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის განჩინების გაუქმება.

განმცხადებელის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო დამყარებული იყო იმ საფუძველზე, რომ გ. კ-ვას ზ. ხ-ურთან სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები გააფორმებინეს მოტყუებით რაც დადასტურდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 27 მარტის დადგენილებით.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მ. ტ-შვილის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებაზე და ამავე სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის განჩინებაზე დასაშვები იყო და მიიღო სააპელაციო სასამართლოს წარმოებაში; ხოლო სააპელაციო პალატის განმარტებით ისანი-სამგორის

რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ მ. ტ-შვილს უნდა მიემართა პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის.

აღნიშნული გადაწყვეტილება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ტ-შვილმა განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

კერძო საჩივრის ავტორი აზრით, საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. ტ-შვილის განცხადება განსჯადობის მიხედვით თბილისის სააპელაციო სასამართლოში შეტანილია კანონის სრული დაცვით და თბილისის სააპელაციო სასამართლო ვალდებული იყო აღნიშნული განცხადება წარმოებაში მიეღო მთლიანად, ვინაიდან, განცხადება ეხებოდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას და განჩინებას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად იგი შეტანილი იქნა ზემდგომ სასამართლოში, ამ შემთხვევაში - თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

აღნიშნულიდან გამომდინარე კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 ივნისის განჩინების გაუქმება საქმის წარმოების განახლების შესახებ მ. ტ-შვილის განცხადების ნაწილობრივ განუხილველად დატოვების ნაწილში და საქმის დაბრუნება თბილისის სააპელაციო სასამართლოსთვის თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილებაზე მ. ტ-შვილის განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე ახალი განჩინების მისაღებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ კერძო საჩივარს, თანდართულ მტკიცებულებას და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მ. ტ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო მოითხოვა, როგორც თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილების, ასევე, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების და ამავე სასამართლოს 2003 წლის 3 აპრილის განჩინების გაუქმება და წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინებით მ. ტ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის ისანი-სამგორის სასამართლოს 31 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველი.

დამთავრებული საქმის წარმოების განახლების საფუძველს განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, კერძოდ, 421-ე მუხლის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამდღვრები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი განსაზღვრავს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილი განცხადების განსჯადობის წესებს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლოს გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილი უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მხარის მიერ გასაჩივრებულ ნაწილში არ არსებობდა ზემდგომი სასამართლოს მიერ კანონის ზემოთ მითითებული ნორმით გათვალისწინებული მ. ტ-შვილის განცხადების განხილვის სამართლებრივი საფუძველი, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 31 დეკემბრის გადაწყვეტილება მ. ტ-შვილმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა, მხოლოდ ზ. ხ-ურის მიერ იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციაზე უარის თქმისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაწილში; აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ტ-შვილისათვის ზ. ხ-ურის სასარგებლოდ სესხის სახით 4800 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების ნაწილში არ გასაჩივრებულა, შესაბამისად, გადაწყვეტილების ეს ნაწილი არ ყოფილა სააპელაციო პალატის მსჯელობის საგანი და ამ ნაწილში პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ტ-შვილმა განცხადება შეიტანა არაგანსჯად სასამართლოში. შესაბამისად საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მ. ტ-შვილმა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 31 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით უნდა მიმართოს პირველი ინსტანციის სასამართლოს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ, თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა მ. ტ-შვილის განცხადება განუხილველად, ვინაიდან არ არსებობდა განცხადების დაშვების წინაპირობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატა თვლის არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 419-ე, 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ტ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

ნა-943-1147-08

8 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სარჩელი, შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო, ზიანის ანაზღაურების შესახებ დარჩა განუხილველი.

ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ზემოხსენებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, რაც საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს განჩინება ა. ლ-შვილმა გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, რაზეც მხარემ შეიტანა კერძო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 24 აპრილის განჩინებით კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინებაზე ა. ლ-შვილმა შეიტანა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. ამავე სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებით ზემოხსენებული განცხადება მიღებულ იქნა წარმოებაში.

ა. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების შესახებ იმ საფუძველით, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დასაშვებობის საკითხის განხილვის ნაცვლად, განჩინებაში მითითებული უნდა ყოფილიყო სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების საკითხი, ვინაიდან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადება შეტანილია სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინებაზე, რომლითაც განუხილველად დარჩა ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება უსწორობის გასწორების შესახებ არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებით სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე-429-ე მუხლების შესაბამისად, სავსებით სწორად შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ლ-შვილის განცხადების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც ამავე კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უსწორობანი არ დაუშვა. ამდენად, არ არსებობს განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებულ განჩინებაში უსწორობის გასწორების სამართლებრივი საფუძველი. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობაზე

სასამართლომ 2008 წლის 22 იანვრის კანონიერ ძალაში შესული განჩინებით უკვე იმსჯელა და განუხილველად დატოვა იგი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2008 წლის 22 იანვრის განჩინების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით და ჩათვალა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებანი, დასახელებული ნორმის შესაბამისად, საქმის წარმოების განახლების საფუძველი ვერ გახდება, ვინაიდან 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩა სააპელაციო საჩივრის შეტანის კანონით დადგენილი წესის დარღვევის გამო, ამდენად, სასამართლოს განმცხადებლის მოთხოვნის მატერიალურ საფუძველზე არ უმსჯელია. სააპელაციო პალატამ ახლად აღმოჩენილად არ ჩათვალა არც ის გარემოება, რომ 2007 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ დაუშვებელი იყო ამავე სააპელაციო საჩივრის 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით განუხილველად დატოვება. აღნიშნული მოსაზრების დასაბუთებლად სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ 2008 წლის 22 იანვრის განჩინების უკანონობაზე განმცხადებელმა 2008 წლის 31 იანვრის განცხადებასა და 2008 წლის 2 თებერვლის საკასაციო (კერძო) საჩივარშიც მიუთითა. ამასთან, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოების ახლად აღმოჩენილად ჩათვლის შემთხვევაშიც, იგი საქმის წარმოების განახლებას ვერ გამოიწვევდა, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლი ითვალისწინებს საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ მისი დაუშვებლობის პირობების გამოვლენისას განუხილველად დატოვების შესაძლებლობას.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრისა და 7 ოქტომბრის განჩინებები ა. ლ-შვილმა გასაჩივრა კერძო საჩივრით შემდეგი საფუძველებით: საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინებაში სწორად იქნა მითითებული, რომ აღნიშნული განჩინება უნდა გასაჩივრებულიყო სააპელაციო წესით. ამდენად, სააპელაციო პალატამ 2007 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით დასაბუთებულად დაავალა ა. ლ-შვილს კერძო საჩივრის ნაცვლად ზემოხსენებულ განჩინებაზე წარედგინა კანონის მოთხოვნათა დაცვით შედგენილი სააპელაციო საჩივარი, რაც ამ უკანასკნელმა შეასრულა და სააპელაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში. 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით სააპელაციო პალატამ უკანონოდ დატოვა ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი განუხილველი იმ საფუძველით, რომ აპელანტმა უარი განუცხადა სასამართლოს გასაჩივრებული რამდენიმე გადაწყვეტილებისა და განჩინების ნაცვლად სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა შეემცირებინა და მოეთხოვა მხოლოდ საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 26 სექტემბრის განჩინების გაუქმება. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების კომენტარის შესაბამისად, წარმოებაში მიღებული სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვება დაუშვებელია. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის კომენტარების მიხედვით, ახლად აღმოჩენილია ისეთი გარემოებები, რომელთა არსებობაც მხარისათვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, თუმცა შესაძლოა ასეთი გარემოებები არსებობდა საქმის არსებითად განხილვის სტადიაზეც. მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებებს წარმოადგენდა მოპასუხის მიერ შრომის კანონთა კოდექსის 41-ე მუხლის მეხუთე ნაწილის დარღვევა და ამავე კოდექსის 98-ე მუხლით გათვალისწინებული მოპასუხის ბრალეული ქმედება შრომის წიგნაკის გაცემის დაყოვნებასთან დაკავშირებით. მოპასუხეს წერილობითი მტკიცებულების წარდგენის გზით არ გაუქარწყლებია ა. ლ-შვილის სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტი. აღნიშნული გარემოებანი არსებობდა 2008 წლის 22 იანვრის განჩინების გამოტანამდეც. დასახელებული გასაჩივრებული განჩინებით სასამართლო თავად უთითებს, რომ არ უმსჯელია განმცხადებლის მოთხოვნის მატერიალურ საფუძველზე. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ ახლად აღმოჩენილად ვერ ჩაითვლება განმცხადებლის მოსაზრება ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ამავე სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების დაუშვებლობის შესახებ იმ საფუძველით, რომ დასახელებულ გარემოებაზე ა. ლ-შვილი უთითებდა 2008 წლის 31 იანვრის განცხადებასა და 2 თებერვლის საკასაციო საჩივარშიც. ფაქტობრივად, ა. ლ-შვილს ზემოხსენებულ განცხადებასა და საკასაციო საჩივარში სადავო ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე არ მიუთითებია, არამედ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს უკანონო ქმედებებს გასაჩივრებდა საკასაციო წესით. ამასთან, 2008 წლის 31 იანვრის განცხადება და 2 თებერვლის საკასაციო საჩივარი შეტანილ იქნა 2008 წლის 22 იანვრის განჩინების მიღების შემდეგ. ასევე დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებული გარემოებანი ახლად აღმოჩენილად რომც მიჩნეულიყო, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, აღნიშნული საქმის წარმოების საფუძველი ვერ გახდებოდა. სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არასწორად დაეყრდნო ამავე კოდექსის 187-ე მუხლს, რაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველია. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ რატომ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლი. მოცემულ შემთხვევაში ასევე არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობაც.

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მოთხოვნები, როდესაც არ დაკმაყოფილა ა. ლ-შვილის მოთხოვნა 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების თაობაზე, რაც საბოლოოდ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ლ-შვილის განცხადებაზე არასწორი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობა გახდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, შემოწმა გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელი დარჩეს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 10 სექტემბრისა და 7 ოქტომბრის განჩინებები შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორის მიერ გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ და უცვლელად დარჩა ამავე სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინება ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინების გაუქმების საფუძველად მხარემ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტსა და მესამე ნაწილზე და ახლად აღმოჩენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ მოცემული დავის არსებითად განხილვის დროს მოპასუხეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნის დარღვევით არ წარმოდგენია რაიმე წერილობითი მტკიცებულება სასამართლოსათვის სარჩელში მითითებული გარემოების - ა. ლ-შვილის სამუშაოდან დათხოვნის დღეს შრომის წიგნაკის გაუცემლობის ფაქტის გასაქარწყლებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღურები. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ შესაძლებლობას არ წარმოადგენს, არამედ ზემოაღნიშნული საფუძველით საქმის წარმოების განახლებას კანონმდებელი უკავშირებს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით კონკრეტულად დადგენილი წინაპირობების არსებობას. ამდენად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გასაჩივრება მისი იურიდიულად დაუსაბუთებლობის ან სამართლებრივად არასწორად გადაწყვეტის მოტივით დაუშვებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე"-ს "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. მითითებული ნორმები ადგენს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დასრულებული საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ მხარემ შეიტყო ისეთი გარემოება ან მოიპოვა მტკიცებულება, რომელიც მისთვის საქმის განხილვის დროს ობიექტური მიზეზით ხელმიუწვდომელი იყო, თუმცა ასეთ გარემოებასა თუ მტკიცებულებას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა საქმის განხილვის შედეგზე და მხარისათვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებას გამოიწვევდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ ა. ლ-შვილის განცხადებაში დასახელებული გარემოება - მოპასუხის მიერ შესაგებლის წარუდგენლობა მართებულად არ ჩათვალა ახლად აღმოჩენილად. განსახილველ შემთხვევაში თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 6 ოქტომბრის განჩინებით საქმის მოსამზადებელ სხდომაზევე განუხილველად დარჩა ა. ლ-შვილის სარჩელი სს "თელასის" მიმართ, დათხოვნის დღეს სს "თელასის" ადმინისტრაციის ბრალით შრომის წიგნაკის გაუცემლობის გამო, იძულებით გაცდენილი მთელი დროისათვის საშუალო ხელფასის ანაზღაურების შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 275-ე მუხლის "ე" ქვეპუნქტის შესაბამისად, ანუ იმის გამო, რომ სხვა სასამართლოს წარმოებაში იყო საქმე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე იმავე საფუძველით. მითითებულ მოსამზადებელ სხდომაზე საქალაქო სასამართლომ საქმის წარმოების განუხილველად დატოვების საფუძველი სწორედ მოპასუხის პროცესუალურ-სამართლებრივი შესაგებლის შესაბამისად დაადგინა. ამდენად, მხარეს საქმეზე შესაგებელი ჰქონდა.

რაც შეეხება ა. ლ-შვილის მიერ მითითებულ მატერიალურ-სამართლებრივ შესაგებელს, თუკი არსებობს საქმის წარმოების განუხილველად დატოვების პროცესუალური საფუძველი, მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელის წარდგენის საჭიროება ისპობა. ამასთან, მოპასუხეს კიდევაც რომ წარმოედგინა მატერიალურ-სამართლებრივი შესაგებელი, იგი ვერანაირ გავლენას მოახდენდა საქმის განხილვის შედეგზე, ვერც ა. ლ-შვილის სარჩელის და ვერც მისი სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების სამართლებრივ საფუძველებზე.

დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება, რომ 2008 წლის 9 ნოემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შემდეგ სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით ზემოხსენებული სააპელაციო საჩივარი არასწორად დატოვა განუხილველი, რითაც დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 374-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის შემოსვლიდან 10 დღის განმავლობაში სააპელაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა სააპელაციო საჩივარი. თუ შემოწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ სააპელაციო საჩივარი დასაშვებია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განსახილველად მიღების შესახებ. თუ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ესა თუ ის პირობა არ არსებობს, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, რომელზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. დასახელებული კანონის დანაწესის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ სააპელაციო სასამართლო 10-დღიან ვადაში გადაწყვეტს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს. ამასთან, კერძო საჩივრის შეტანა დასაშვებია სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მხოლოდ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ხოლო სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას კანონმდებელი არ ითვალისწინებს. მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრება ეფუძნება სწორედ იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ნოემბრის განჩინება ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ არ საჩივრდებოდა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, 2008 წლის 22 იანვრის განჩინებით სადავო სააპელაციო საჩივარი ეცნო დაუშვებლად.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადებით, რომლის თანახმად, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს (ამ კოდექსის 272-ე და 275-ე მუხლები). ამავე კოდექსის 372-ე მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით. აღნიშნული ნორმები უფლებას ანიჭებს სააპელაციო სასამართლოს, განუხილველად დატოვოს წარმოებაში მიღებული სააპელაციო საჩივარი იმ შემთხვევაშიც, თუ მისი წარმოებაში მიღების შემდეგ სასამართლო შეიტყობს სააპელაციო საჩივრის დაუშვებლად მიჩნევის საფუძველების არსებობის თაობაზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზემოთ მითითებული საფუძველით კანონიერ ძალაში შესული 2008 წლის 22 იანვრის სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმების მოთხოვნით კერძო საჩივრის ავტორი ფაქტობრივად ცდილობს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესის გვერდის ავლით, გაასაჩივროს აღნიშნული განჩინება მისი დაუსაბუთებლობის მოტივით, რაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, დაუშვებელია.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო პალატის 2008 წლის 10 სექტემბრის განჩინების გაუქმების თაობაზე, რომლითაც არ დაკმაყოფილდა ა. ლ-შვილის განცხადება ამავე სასამართლოს 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებაში უსწორობის გასწორების თაობაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლოს შეუძლია მხარეთა თხოვნით ან თავისი ინიციატივით გაასწოროს გადაწყვეტილებაში დაშვებული უსწორობანი ან აშკარა არითმეტიკული შეცდომები. მითითებული ნორმის ძალით სასამართლო უფლებამოსილია, განჩინების მიღების გზით შესწორება შეიტანოს მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაში არსებულ ფაქტობრივ უსწორობებში ან გაასწოროს დაშვებული არითმეტიკული ცდომილებები. განსახილველ შემთხვევაში განმცხადებელი უსწორობის გასწორებას ითხოვდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ თავისი განცხადების დასაშვებობის შემოწმების თაობაზე მიღებულ სააპელაციო პალატის 2008 წლის 2 სექტემბრის განჩინებაში, რომელშიც, მხარის მოსაზრებით, ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის შემოწმების ნაცვლად, შეცდომით მიეთითა, რომ სასამართლომ იმსჯელა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ა. ლ-შვილის განცხადების დასაშვებობაზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო პალატამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე-429-ე მუხლების შესაბამისად, მართებულად შეამოწმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ა. ლ-შვილის განცხადების დასაშვებობის საკითხი, ამდენად, ამავე კოდექსის 260-ე მუხლის პირველი

ნაწილთ გათვალისწინებული რაიმე უსწორობა არ დაუშვია და სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 22 იანვრის კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაზე ა. ლ-შვილმა შეიტანა რა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, სასამართლო ვალდებული იყო, ემსჯელა სწორედ ამ განცხადების დასაშვებობაზე.

სარეზოლუციო ნაწილი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 10 სექტემბრისა და 7 ოქტომბრის განჩინებები დარჩეს უცვლელი.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები
განჩინება**

#ა-558-ა-17-08 21 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. სულხანიშვილი,
რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი :

2003 წლის 7 აპრილს "ბოიმელ გმპკ-ს" ფილიალმა, ფეხბურთის კლუბმა "მრეტები თბილისი", თბილისის საოლქო სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ და ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის საკომპენსაციოდ 9 600 000 აშშ დოლარისა და 2 812 500 ინგლისური ფუნტი სტერლინგის დაკისრება მოითხოვა. მოსარჩელის განმარტებით, ფკ "დინამო თბილისმა" არამოყვარული ფეხბურთელის ტრანსფერის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, ხოლო სფგ-მ არ უზრუნველყო ფკ "მრეტების" ინტერესების დაცვა. მოსარჩელემ პირველი ინსტანციის სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით 5 000 ლარი გადაიხადა.

სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია არ გამოცხადდა. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა კოლეგიის 2003 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით საფეხბურთო საზოგადოება "ბოიმელის" ფილიალ ფკ "მრეტების" სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები სასარჩელო მოთხოვნას იურიდიულად არ ამართლებდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ფკ "მრეტების" პრეზიდენტმა ვ. ჩ-ძემ, მისი გაუქმება და საქმეზე მიღებული ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგებოდა როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ნორმებს. მოსარჩელემ სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ იშუამდგომლა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები და მათ შორის - ზიანის დადგომის ფაქტიც დამტკიცებულად უნდა მიეჩნია. კასატორმა ასევე აღნიშნა, რომ ფკ "მრეტები" სათანადო მოსარჩელეს წარმოადგენდა, ხოლო სფგ - სათანადო მოპასუხეს. მოსარჩელეს მოპასუხის ბრალეული ქმედებით ზიანი მიადგა, სასამართლომ კი არასწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ამასთან, სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლები, მიიჩნია რა, რომ არ არსებობდა ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.

2004 წლის 5 იანვარს კასატორმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მიმართა და მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო, სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლება ან მისი გადახდის გადავადება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 30 იანვრის განჩინებით კასატორს დაუდგინდა ხარვეზი და განჩინების ასლის ჩაბარებიდან 14 დღის ვადაში სახელმწიფო ბაჟის - 5000 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა დაევალა.

ამავე პალატის 2004 წლის 15 მარტის განჩინებით, გერმანული საფეხბურთო საზოგადოება ბოიმელის ფილიალ ფკ "მრეტების" საკასაციო საჩივარი, დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის გამო, განუხილველად დარჩა.

2005 წლის 25 ოქტომბერს ფეხბურთის კლუბმა "მრეტები" ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიმართა. განმცხადებლის მოსაზრებით, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მას უსაფუძვლოდ უთხრა უარი სახელმწიფო ბაჟისაგან განთავისუფლებაზე, რითაც დაირღვა სასამართლოსადმი თავისუფლად მიმართვის უფლება. გარდა ამისა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას მაღალი თანამდებობის პირები მფარველობდნენ, რის გამოც ქვეყნის შიდა სასამართლოებმა აღნიშნული დავა მიკერძოებულად განიხილეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით "ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის" მე-6 მუხლის პირველი პუნქტის - სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა დაადგინა, თუმცა განმცხადებელს უარი უთხრა სამართლიანი კომპენსაციის მინიჭებაზე.

2008 წლის 14 მარტს ფკ "მრეტების" პრეზიდენტმა ვ. ჩ-მემ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების, "ადამიანის უფლებათა" ევროპული კონვენციის 46-ე მუხლისა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის 19 იანვრის რეზოლუციის საფუძველზე, ფკ "მრეტების" 2004 წლის 5 იანვრის საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღება მოითხოვა.

ვინაიდან განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლებას მოითხოვდა, საკასაციო სასამართლომ განცხადება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 183-ე, 429-ე და 427-ე მუხლების შესაბამისად მიიღო წარმოებაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა ფკ "მრეტების" პრეზიდენტ ვ. ჩ-მის განცხადება და თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე "ფკ "მრეტები" საქართველოს წინააღმდეგ" ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, 61-ე პუნქტში აღნიშნულია: "მოცემულ საქმეზე გაკეთებული დასკვნების გათვალისწინებითა და სხვა შესაძლო ღონისძიებების აღიარებით, რომლებმაც შესაძლოა გამოასწოროს განმცხადებლისათვის საკასაციო სასამართლოს ხელმისაწვდომობის უსაფუძვლო შეზღუდვა, სასამართლო თვლის, რომ ყველაზე შესაფერისი ზომა დარღვევის გამოსასწორებლად იქნება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განმცხადებლის 2004 წლის 5 იანვრის საკასაციო საჩივრის განხილვა, თუ ასეთ სურვილს თავად განმცხადებელი გამოთქვამს."

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის მიხედვით, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც ისინი არიან. სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება გადაეცემა მინისტრთა კომიტეტს, რომელიც ზედამხედველობს მის აღსრულებას.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით აისახება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, რომელიც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის 46-ე მუხლის თანახმად სახელმწიფოსათვის სავალდებულო ხასიათს იღებს.

განსახილველ შემთხვევაში, განმარტება იმის შესახებ, რომ ფკ "მრეტების" საკასაციო საჩივრის განხილვა შესაძლოა იყოს დარღვევის გამოსწორების საუკეთესო საშუალება, მოცემულია გადაწყვეტილების სამოტივაციო და არა სარეზოლუციო ნაწილში, ამდენად, არასავალდებულო მითითებაა. აღნიშნული სასამართლოს მსჯელობაა და არ ავალდებულებს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ფკ "მრეტების" საკასაციო საჩივართან დაკავშირებით საქმის წარმოება განაახლოს. ამ მსჯელობის ადრესატი საქართველოს სახელმწიფო და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტია და იგი სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, ხოლო ის, თუ რამდენად შესაძლებელია გადაწყვეტილების ამ გზით აღსრულება, მინისტრთა კომიტეტის შეფასების საკითხია. თუ სახელმწიფოში მოქმედი სამართალი არ ითვალისწინებს საქმის ხელახალ განხილვას, რისი ვალდებულება სახელმწიფოს კონვენციით არც გააჩნია, მაშინ, მითითების მიუხედავად, განაჩენი ან გადაწყვეტილება კანონიერ ძალას ინარჩუნებს და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ შეუძლია დააკისროს სახელმწიფოს, რომ მან ხელახლა განიხილოს საქმე. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპული კონვენციის შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება შეცვალოს კანონი, ბათილად ცნოს ადმინისტრაციული აქტი ან გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც კონვენციის მოთხოვნებთან შეუსაბამოდ მიიჩნია, ამდენად, ფკ "მრეტების" საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების 61-ე პუნქტი არ ავალდებულებს საქართველოს (შესაბამისად, უზენაეს სასამართლოს), განახორციელოს რაიმე ისეთი მოქმედება, რაც მისი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასიჯვის მხოლოდ ორ შემთხვევას იცნობს, კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 421-ე მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამძღვრები. ფკ "მრეტების" განცხადებაში მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს ისეთ გარემოებებს, რომლებიც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-423-ე მუხლების თანახმად, საქმის წარმოების განახლების საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ არ არსებობს ნორმა, საერთაშორისო ხელშეკრულება ან სხვა საკანონმდებლო აქტი, რომლის საფუძველზეც განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ფკ "მრეტების" პრეზიდენტ ვ. ჩ-ძის განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 430-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ფკ "მრეტების" პრეზიდენტ ვ. ჩ-ძის 2008 წლის 14 მარტის განცხადება, საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

#ა-341-ა-6-08

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ნ. მ-შვილის სარჩელი ც. და ნ. გ-ძეების მიმართ ხაშურში, ... ქ. #81-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2005 წლის 29 ივლისის განჩინებით ც. და ნ. გ-ძეების სააპელაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული დაუშვებლობის გამო, რომელზეც კერძო საჩივარი შეიტანა ც. გ-ძემ, რაც იმავე სასამართლოს 2005 წლის 12 დეკემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა და განსახილველად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 20 იანვრის განჩინებით ც. გ-ძის კერძო საჩივარი, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 29 ივლისის განჩინებაზე გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის დარღვევის გამო დარჩა განუხილველად.

2008 წლის 19 თებერვალს ც. გ-ძემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 20 იანვრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა ხაშურის რაიონული პროკურატურის მიერ

გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ პასუხისმგებლობაში მისაცემი პირის - ნ. ყ-ანის გარდაცვალების გამო. აღნიშნული დადგენილებით დადგინდა, რომ ნანა ყიფიანი მოტყუებით დაეუფლა ც. გ-ძის ფულს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 20 იანვრის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადების საფუძვლები და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

მოცემულ შემთხვევაში ც. გ-ძემ საქმის წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინებას, რომლითაც განუხილველად დარჩა ც. გ-ძის კერძო საჩივარი, საფუძვლად უდევს არა განმცხადებლის მიერ მითითებული პროკურატურის დადგენილება, არამედ - ხარვეზის შეუვსებლობა, რის გამოც საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, აღნიშნული დადგენილება ვერ გახდება განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ც. გ-ძის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#35-499-99

8 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმება, პარტნიორად აღდგენა, წილის ნატურით გამოყოფა, საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმება, სესხის დაბრუნება

აღწერილობითი ნაწილი:

ბ. ლ-იამ სარჩელი აღძრა სასამართლოში კს "გ-შვილისა და კომპანიის" მიმართ საზოგადოების პარტნიორობიდან გარიცხვის შესახებ საერთო კრების გადაწყვეტილების გაუქმების, პარტნიორად აღდგენის, წილის ნატურით გამოყოფის, საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმებისა და სესხის დაბრუნების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: 1994 წლის 31 დეკემბრის ხელშეკრულებით დროებითმა ამხანაგობამ შეისყიდა ქ. რუსთავში, ... ქ.#28-ში მდებარე საპრივატიზაციო ობიექტი - #46 მაღაზია. 1995 წლის 29 აგვისტოს ამხანაგობის წევრებმა დაარეგისტრირეს კს "გ-შვილი და კომპანია", რომლის

სახელზეც გაიცა საკუთრების მოწმობა. საზოგადოების წილთა 50% ეკუთვნოდა მის თავმჯდომარე კარლო გ-შვილს, 49% - ბ. ლ-იას, ხოლო 1% - ორ დანარჩენ პარტნიორს. საზოგადოება დარეგისტრირდა კანონდარღვევით, კერძოდ, კომანდიტური საზოგადოების წილების პროცენტული თანაფარდობა უნდა დამთხვევოდ ამხანაგობაში არსებულ თანაფარდობას, რაც არ მომხდარა, "მეწარმეთა შესახებ" კანონის 5.4.2. მუხლის დარღვევით კომანდიტებს სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ რაიმე საბუთი კომანდიტის შესატანის შესახებ, რაც საზოგადოების რეგისტრაციის გაუქმების საფუძველია. 1996 წლის 8 მარტის საზოგადოების საერთო კრების გადაწყვეტილებით, ბ. ლ-ია უკანონოდ გაირიცხა პარტნიორობიდან მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის მოტივით, ვინაიდან, ფაქტობრივად, მოსარჩელეს საზოგადოებაში არანაირი მოვალეობა არ ეკისრებოდა და "მეწარმეთა შესახებ" 37.1 მუხლის შესაბამისად, როგორც კომანდიტს, ვერც დაეკისრებოდა. ამისათვის მხარეთა შორის უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულება, რაც არ მომხდარა. ბ. ლ-იას პარტნიორობიდან გარიცხვისას ასევე დაირღვა ამავე კანონის 31.2 მუხლის მოთხოვნა, ვინაიდან საზოგადოებიდან პარტნიორის გარიცხვა სასამართლოს კომპეტენციაა. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 117-ე მუხლის შესაბამისად, მოსარჩელის გარიცხვისას არასწორად არ დაკმაყოფილდა მისი მოთხოვნა საერთო ქონებიდან კუთვნილი წილის გამოყოფის შესახებ. საზოგადოების კომპლემენტარმა კ. გ-შვილმა ობიექტის შესყიდვისას შესატანის დასაფარად მოსარჩელისაგან ისესხა 750 აშშ დოლარი, რაც ბ. ლ-იას მოთხოვნის მიუხედავად, არ დაუბრუნებია.

მოპასუხემ სარჩელი ცნო მხოლოდ 750 აშშ დოლარის სესხების ნაწილში, დანარჩენ ნაწილში კი მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, რადგან საზოგადოება დარეგისტრირდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, რაც შეეხება მოსარჩელის პარტნიორობიდან გარიცხვას, ბ. ლ-იამ ვერ გაამართლა საზოგადოების ნდობა, იგი ორჯერ უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, რის შედეგადაც მართებულად გაირიცხა საზოგადოებიდან.

საქმე განხილულ იქნა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ბ. ლ-ია აღდგენილ იქნა კს "გ-შვილი და კომპანიაში" კომპანდიტის იმ უფლებებით, რაც მას გააჩნდა 1996 წლის 8 მარტამდე.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება კს "გ-შვილი და კომპანიაში" გაასაჩივრა საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1997 წლის 9 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

კს "გ-შვილი და კომპანიაში" კომპლემენტარმა კარლო გ-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1997 წლის 15 აგვისტოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ იმ საფუძველით, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 17 ოქტომბრის კერძო განჩინების საფუძველზე სამხარეო პროკურატურის გამომძიებელმა მიიღო დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ რ. კ-ვას მიმართ სამსახურებრივი მდგომარეობის ზოროტად გამოყენების ფაქტზე. სისხლის სამართლის საქმე არ აღიძრა 1995 წლის 2 ივნისს გამოცემული ამნისტიის გამო, თუმცა გამოძიების მასალებით დადგინდა, რომ რ. კ-ვამ აიძულა კ. გ-შვილი საზოგადოების 49% ბ. ლ-იასათვის გაეფორმებინა შესაბამისი თანხის შეტანის გარეშე და ბ. ლ-ია იყო კომანდიტური საზოგადოების ფიქტიური წევრი. ამდენად, ბ. ლ-ია მართებულად გაირიცხა საზოგადოების წევრობიდან კომანდიტის მოვალეობის შეუსრულებლობის - შესატანის გადაუხდელობის გამო.

გარდაბნის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 5 მარტის განჩინებით კ.გ-მის განცხადება დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა.

1999 წლის 13 მაისს რაიონის სასამართლოს განჩინებაზე ბ. ლ-იამ შეიტანა სახედამხედველო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ მოცემული საქმის განხილვისას არასწორად არ დააკმაყოფილა ბ. ლ-იას შუამდგომლობა სხდომის გადადების შესახებ, რითაც მხარეს ადვოკატის აყვანისა და თავისი კანონიერი უფლებების დაცვის შესაძლებლობა არ მისცა. გასაჩივრებული განჩინება ძირითადად ეყრდნობა ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მიერ გამოტანილ დადგენილებას რ. კ-ვას მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულზე რ. კ-ვას მიმართ საქმე არ აღიძრა 1995 წლის 2 ივნისის "ამნისტიის შესახებ" კანონის საფუძველზე, თუმცა გამოძიებამ დაადგინა, რომ 1994 წლის ბოლოს ქ. რუსთავის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოს უფროსმა რ. კ-ვამ კარლო გ-შვილს სასურსათო მაღაზიის პრივატიზაციისათვის მოსთხოვა ზედმეტად თანხის გადახდა, რაზეც კ. გ-შვილმა უარი განაცხადა. სანაცვლოდ, რ. კ-ვამ მას წილში ჩაუსვა თავისი მამიდაშვილი ბ. ლ-ია, თუმცა მაღაზიის მთლიანი ღირებულება გადაიხადა კ. გ-შვილმა. დადგენილებაში მითითებული გარემოებანი სინამდვილეს არ შეესაბამება, ამხანაგობის შექმნის შესახებ ხელშეკრულებით დასტურდება, რომ ბ. ლ-იამ საპრივატიზაციო თანხის 49% გადაიხადა. ამასთან, სასამართლო არასწორად დაეყრდნო დასახელებულ დადგენილებას, რადგან იგი ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა და საქართველოს კონსტიტუციის 408-ე მუხლით გათვალისწინებული პირის უდანაშაულობის

პრეზუმფციიდან გამომდინარე, რ. კ-ვა დასახელებულ ქმედებაში დამნაშავედ ვერ ჩაითვლება. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება გააუქმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 346-ე მუხლის შესაბამისად, რასაც სრულიად უკანონოდ საფუძვლად დაუდო არა კანონიერი ძალაში შესული განაჩენი, არამედ - დადგენილება სისხლის სამართლის საქმის არაღმკვრივ შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ბ. ლ-ის საზედამხედველო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამოქალაქო საქმეები, რომლებიც მიღებულია სასამართლოებში 1999 წლის 15 მაისამდე, მაგრამ მათი განხილვაც არ არის დამთავრებული ამ დროისათვის, უნდა განიხილონ სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად იმ სასამართლოებში, რომელთა წარმოებაშიც იყო ეს საქმეები, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, საქართველოს საერთო სასამართლოების კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებზე 1999 წლის 15 მაისამდე წარდგენილ საზედამხედველო საჩივრებს, რომლებზედაც საზედამხედველო წარმოება დამთავრებული არ არის, განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა.

მოცემულ შემთხვევაში ბ. ლ-ია საზედამხედველო წესით წარდგენილი საჩივრით ითხოვს გარდაბნის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 5 მარტის განჩინების გაუქმებას. მითითებული განჩინებით დაკმაყოფილდა კ. გ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე და გაუქმდა ქ. რუსთავის სასამართლოს 1997 წლის 15 აგვისტოს გადაწყვეტილება - ბ. ლ-ის სარჩელისა გამო კს "გ-შვილი და კომპანიას" მიმართ დარღვეული უფლების აღდგენის შესახებ.

ბ. ლ-ია საჩივრით ითხოვს რა გარდაბნის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 5 მარტის განჩინების გაუქმებას, თავის მოთხოვნას აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ სასამართლო გასაჩივრებული განჩინებით არასწორად დაეყრდნო ქვემო ქართლის სამხარეო პროკურატურის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მიერ გამოტანილ დადგენილებას რ. კ-ვას მიმართ სისხლის სამართლის საქმის არაღმკვრივ შესახებ, რომლითაც დადგინდა ფაქტი, რომ რ. კ-ვამ კ. გ-შვილს სასურსათო მაღაზიის პრივატიზაციისას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით წილში ჩაუსვა თავისი მამი-დაშვილი ბ. ლ-ია.

მოცემულ შემთხვევაში ბ. ლ-ის მიერ 1999 წლის 13 მაისს საზედამხედველო წესით შემოტანილ საჩივარზე საქმის წარმოება შეჩერებული იყო სწორედ ზემოხსენებული სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 12 იანვრის კანონიერ ძალაში შესული განაჩენით რ. კ-ვას მსჯავრი დაედო მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლება-მოსილების ბოროტად გამოყენებისათვის საჯარო სამსახურის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის რაიმე გამორჩენის ან უპირატესობის მისაღებად, რამაც ფიზიკური პირისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. ამავე განაჩენით დადგენილია, რომ რ. კ-ვას განზრახული ჰქონდა რა ქონებრივი გამორჩენის მიღება, ისარგებლა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობითა და კ. გ-შვილთან მეუღლის ნათესაური ურთიერთობით, ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა, ასევე სამსახურებრივი მდგომარეობით მინიჭებული უფლებამოსილება და კ. გ-შვილს შეჰპირდა დოკუმენტების მომზადებას და მოატყუა, რომ მაღაზიის ღირებულების დადგენა მასზე იყო დამოკიდებული, მაშინ, როცა დადგენილების - „საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის დროს საპრივატიზებო კომისიების შექმნისა და საქმიანობის წესის“ - თანახმად, ქონება უნდა შეეფასებინა ობიექტის მუშაკთა საერთო კრების გადაწყვეტილებით შექმნილ საპრივატიზებო კომისიას. კოლექტივის წევრებთან მოთათბირების შემდეგ კ. გ-შვილი იძულებით დაეთანხმა რ. კ-ვას მაღაზიის ნახევარი წილის დათმობაზე, რის შემდეგაც ეს უკანასკნელი თავისი დანაშაულებრივი განზრახვის შენდებული ფორმით განხორციელებისათვის, შეუთანხმდა კ. გ-შვილს, რომ მაღაზიის წილი ფორმალურად გაეფორმებინა თავის ნათესავ ბ. ლ-ის სახელზე.

ზემოაღნიშნული განაჩენიდან გამომდინარე, ბ. ლ-ის მოთხოვნა გარდაბნის რაიონის სასამართლოს განჩინების უკანონობის თაობაზე უსაფუძვლოა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს ბ. ლ-ის მოსაზრებას, რომ გასაჩივრებული განჩინება უკანონოა, ვინაიდან იგი განიხილა არაუფლებამოსილმა გარდაბნის რაიონის სასამართლომ. საქმეში არსებული მასალებით დადასტურებულია ის გარემოება, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1999 წლის 16 თებერვლის #3/17 მიმართვის საფუძველზე სამოქალაქო საქმე კს "გ-შვილი და კომპანიას" სარჩელის გამო გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ აცილების წესით განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონის სასამართლოს. ამდენად, გარდაბნის რაიონის სასამართლო უფლებამოსილი იყო, განეხილა მოცემული საქმე.

სარეზოლუციო ნაწილი:
საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 436-ე მუხლის მეორე ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ბ. ლ-იას საზედამხედველო საჩივარი გარდაბნის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 5 მარტის განჩინებაზე არ დაკმაყოფილდეს.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები
განჩინება**

#ას-1220-ა-50-07 19 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
რ. ნადირიანი,
თ. თოდრია

დავის საგანი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 30 ოქტომბერს შპს "უნივერსამმა" სარჩელით მიმართა სასამართლოს მოპასუხე ს.ს. "საირმეს" მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის გადაწყვეტილების აღუსრულებლობით მიყენებული ზიანის - 20 299 ლარის დაკისრება.

ვანის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით შპს "უნივერსამის" დირექტორის ი. გ-იას სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრა შპს "უნივერსამის" დირექტორმა ი. გ-იამ და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის განჩინებით ი. გ-იას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

დასახელებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრა შ.პ.ს. "უნივერსამის" დირექტორმა ი. გ-იამ. მოთხოვნის საგანს წარმოადგენდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 4 აპრილის განჩინების გაუქმება, ასევე - სს "საირმესთვის" 17000 ლარის და 30000 ბოთლი საირმეს მინერალური წყლის, თავისი ტარა-მასალით - 1500 პლასტმასის ყუთით დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის განჩინებით კასატორს საკასაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზის შევსების ვადა.

2007 წლის 10 ივლისს შ.პ.ს. "უნივერსამის" დირექტორმა ი. გ-იამ, განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა ბაჟის შემცირება და მისი ნაწილ-ნაწილ გადახდის უფლების მიცემა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 18 ივლისის განჩინებით ი. გ-იას გაუგრძელდა ხარვეზის ვადა და დაევალა განჩინებაში მითითებულ ვადაში სასამართლოსთვის ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული განჩინება ჩაჰბარდა კასატორის შვილს მისთვის გადასაცემად 2007 წლის 24 ივლისს.

მხარეს განსაზღვრულ ვადაში სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად ხარვეზის შევსების ვადის უშედეგოდ გასვლის გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ი. გ-იას საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

2007 წლის 25 სექტემბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს საჩივრით მომართა შპს "უნივერსამის" დირექტორმა ი. გ-იამ და მოითხოვა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღება, ამასთან საჩივარს თან დაურთო ბაჟის გადახდის დაადასტურებელი ქვითრის ასლი და მიუთითა, რომ ხარვეზი მის მიერ დროულად იქნა შევსებული.

საჩივრის პასუხად მხარეს განემარტა, რომ კანონიერ ძალაში შესულ განჩინებაზე მას შეეძლო სასამართლოსთვის მიემართა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ან გადაწყვეტილების ბათილად ცნობის გამო.

2007 წლის 2 დეკემბერს ი. გ-იამ საქართველოს უზენაეს სასამართლოს მომართა განცხადებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა გაეცნო წარმოდგენილ განცხადებას, თანდართულ მტკიცებულებას და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, 2007 წლის 2 ივლისის განჩინებით მხარეს დაუდგინდა ხარვეზი და განესაზღვრა ვადა ბაჟის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარმოსადგენად. მხარეს დადგენილ ვადაში სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია ბაჟის გადახდის ქვითარი, საქმეში არ მოიპოვება აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი, რის გამოც 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინებით ი. გ-იას საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თუ რა შეიძლება გახდეს დამთავრებული საქმის წარმოების განახლების საფუძველი, განსაზღვრავს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

აღნიშნული კოდექსის 421-ე მუხლის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების წანამდღვრები.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა სასამართლოს მომართა 423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე ახლად აღმოჩენილ გარემოებაზე მითითებით.

423-ე მუხლის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

განცხადების ავტორი განმარტავს და შესაბამისად 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინების გაუქმების საფუძველად უთითებს იმ გარემოებას, რომ მან ხარვეზი შეავსო დადგენილი ვადის ფარგლებში, შესაბამის საბანკო ანგარიშზე გადაიხადა განსაზღვრული ბაჟის ოდენობა და აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითარი ფოსტით გამოუგზავნა სასამართლოს. მტკიცებულებების სახით კი სასამართლოს წარმოუდგინა ბაჟის გადახდის ქვითრის ასლი.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს განმცხადებლის მოტივაციას აღნიშნულთან დაკავშირებით, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საქმის გარემოებები რომელიც შეიძლება დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო პალატა თვლის, რომ წარმოდგენილი ბაჟის გადახდის ქვითარი ვერ ადასტურებს მხარის მიერ მითითებულ ფაქტობრივ გარემოებას იმის თაობაზე, რომ მან ეს ქვითარი ჩააბარა საფოსტო განყოფილებას სასამართლოში გასაგზავნად. პალატა ვერ დაეყრდნობა მხარის მხოლოდ ზეპისიტყვიერ განმარტებას იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ქვითარი დაიკარგა გზაში და მისი ბრალის გარეშე ვერ მიაღწია დანიშნულების ადგილამდე, რადგან რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა ი. გ-იას მიერ ბაჟის გადახდის ქვითრის სასამართლოსთვის გამოგზავნის ფაქტს მას საკასაციო პალატისთვის არ წარმოუდგენია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის მის დაკმაყოფილებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

შპს "უნივერსამის" დირექტორის ი. გ-იას განცხადება საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 20 სექტემბრის განჩინების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

№ა-2287-ა-51-07

19 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ე. კ-ანისა და სხვათა ქონების უკანონოდ ანდა დაუსაბუთებლად ცნობა, ამ ქონების ჩამორთმევა და სახელმწიფოსათვის გადაცემა.

გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურის სარჩელი დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოპასუხეებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ივნისის განჩინებით, თ. ბ-შვილის, მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელ მ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელმა მ. გ-ძემ, მოითხოვა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღება, ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით საქართველოს გენერალური პროკურატურისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო სასამართლომ კანონით დადგენილ ვადაში შეამოწმა საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი და ჩათვალა, რომ დარღვეული იყო გასაჩივრების კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადა (სსკ-ის 397-ე მუხლის პირველი ნაწილი), რის გამოც 2007 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით აღნიშნული საკასაციო საჩივარი განუხილველად დატოვა, კერძოდ, საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დადგენილად ცნო, რომ მ. ა-ანს, ე. ჩ-ან-ა-ანს, ს. კ-ანს, ი. ა-ანს, ნ. კ-ანს, მ. დ-ძესა და მათ წარმომადგენელ მ. გ-ძეს სააპელაციო სასამართლოს განჩინების ასლი გაეგზავნათ და ჩაჰბარდათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად, კერძოდ, მ. ა-ანს, ე. ჩ-ან-ა-ანს, ს. კ-ანს, ი. ა-ანსა და ნ. კ-ანსა და ნ. კ-ანს განჩინების ასლი ჩაჰბარდათ 2007 წლის 5 ივლისს, მ. დ-ძეს - 2007 წლის 6 ივლისს, მათ წარმომადგენელ მ. გ-ძეს კი 2007 წლის 9 ივლისს. სსსკ-ის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განჩინების გასაჩივრების ვადის ათვლა უნდა დაწყებულიყო მხარეთათვის განჩინების ასლის ჩაბარების დღიდან 2007 წლის 5-6 ივლისიდან.

ხოლო მ. გ-ძემ საკასაციო საჩივარი ფოსტის მეშვეობით გამოაგზავნა 2007 წლის 7 აგვისტოს, ერთთვიანი საპროცესო ვადის დარღვევით, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების ბოლო ვადა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების თანახმად, იყო 2007 წლის 6 აგვისტო.

2007 წლის 19 ოქტომბერს მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელმა მ. გ-ძემ განცხადებით მომართა უაზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ მას საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან აღნიშნული საჩივარი მან არა 2007 წლის 7 აგვისტოს, არამედ 2007 წლის 6 აგვისტოს ფოსტის მეშვეობით გააგზავნა სასამართლოში, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა შპს "საქართველოს ფოსტის" ქვითარი. შესაბამისად, მ. გ-ძემ აღნიშნული განცხადებით მოითხოვა საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღების საკითხის ხელახლა შემოწმება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინებით მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელ მ. გ-ძის განცხადება დარჩა განუხილველი.

2007 წლის 28 დეკემბერს მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელმა - მ. გ-ძემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით იმ საფუძვლით, რომ მას საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვიანი ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან აღნიშნული საჩივარი მან არა 2007 წლის 7 აგვისტოს, არამედ 2007 წლის 6 აგვისტოს ფოსტის მეშვეობით გააგზავნა სასამართლოში, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა შპს "საგარეჯოს ფოსტის" მიერ 19 დეკემბერს გაცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ მათ მიერ

საკასაციო საჩივარი გაგზავნილ იქნა 2007 წლის 6 აგვისტოს, ხოლო კონვერტზე დასმული კალენდარული დამლა - 7.08.07 რიცხვით არის ოპერატორის მექანიკური შეცდომა.

აღნიშნულის გამო მ. გ-მემ მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელ მ. გ-ძის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და თვლის, რომ განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდგრები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს იმ გარემოებათა ჩამონათვალს, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის წარმოების განახლებას. ამ გარემოებათა დამტკიცების ტვირთი ეკისრება განმცხადებელს. მან უნდა წარუდგინოს განცხადების განმხილველ სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც მითითებულია ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებში.

განმცხადებელ მ. გ-ძის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მას საკასაციო საჩივრის შეტანის ერთთვის ვადა არ დაურღვევია, ვინაიდან აღნიშნული საჩივარი არა 2007 წლის 7 აგვისტოს, არამედ 2007 წლის 6 აგვისტოს გააგზავნა ფოსტის მეშვეობით, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა შპს "საგარეჯოს ფოსტის" მიერ 19 დეკემბერს გაცემული ცნობა იმის თაობაზე, რომ მის მიერ საკასაციო საჩივარი გაგზავნილი იქნა 2007 წლის 6 აგვისტოს, ხოლო კონვერტზე დასმული კალენდარული დამლა - 7.08.07 - არის ოპერატორის მექანიკური შეცდომა. აღნიშნულს საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან შპს "საგარეჯოს ფოსტის" ოპერატორის მიერ 2007 წლის 19 დეკემბერს წარმოდგენილი ცნობა არ აბათილებს კონვერტზე დასმულ კალენდარულ დამლას იმის თაობაზე, რომ მ. გ-ძემ საკასაციო საჩივარი არა 2007 წლის 7 აგვისტოს, არამედ 2007 წლის 6 აგვისტოს ჩააბარა. თუ კასატორი ეჭვქვეშ აყენებს ზემოაღნიშნულ საფოსტო დამლას, ამის თაობაზე შეუძლია მიმართოს კანონით დადგენილი წესით შესაბამის ორგანოებს, რადგან სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის აღნიშნული ფაქტის გამოკვლევა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქმის ზეპირი განხილვის შედეგად აღმოჩნდება, რომ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო თავისი განჩინებით უარს იტყვის განცხადების დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელმა - მ. გ-ძემ ვერ დაადასტურა, რომ მან საკასაციო საჩივარი კანონით დადგენილ ერთთვის ვადაში შეიტანა, ხოლო განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოებები არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველს და იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ა-ანის, ე. ჩ-ან-ა-ანის, ს. კ-ანის, ი. ა-ანის, ნ. კ-ანისა და მ. დ-ძის წარმომადგენელმა - მ. გ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

№-1430-ა-24-08

1 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინებით სს "ბჟუჟჰესის" წარმომადგენელ დ. ბ-მის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

2008 წლის 23 ივლისს სს "ბჟუჟჰესის" წარმომადგენელმა დ. ბ-მემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება შემდეგ გარემოებათა გამო:

განმცხადებლის განმარტებით, 2008 წლის 25 აპრილს (უქმე დღეს - წითელი პარასკევი), საერთაშორისო ექსპრეს ფოსტის "ტ.ნ.ტ.-ს" კურიერმა სს "ბჟუჟჰესის" თანამშრომელ - კონსულტანტ რ. უ-მეს, ოზურგეთში, გმირთა მოედანზე, გააჩერებინა ავტომანქანა და ჩააბარა სააპელაციო სასამართლოს განჩინების ასლი, რაც რ. უ-მემ დაადასტურა პირადი ხელმოწერით.

ვინაიდან, უქმე დღეებთან დაკავშირებით, დაკეტილი იყო სს "ბჟუჟჰესის" ოფისი, რ. უ-მემ კანცელარიას აღნიშნული გზავნილი ჩააბარა 2008 წლის 29 აპრილს, რაც იმავე დღეს გაატარა საწარმოს კანცელარიაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო ექსპრეს ფოსტის "ტ.ნ.ტ.-ს" კურიერის მიერ სს "ბჟუჟჰესისათვის" გადაცემული გზავნილი ჩაბარებულად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ 2008 წლის 29 აპრილს, როცა გზავნილი წარდგენილ იქნა ორგანიზაციის კანცელარიაში.

ვინაიდან აღნიშნული გარემოება საკასაციო საჩივრის წარდგენის დროს უცნობი იყო როგორც კასატორისათვის (აღნიშნულის თაობაზე მან შეიტყო 2008 წლის 26 ივნისს) ასევე სასამართლოსათვის და, შესაბამისად, ეს გარემოებები და მტკიცებულებები ადრე რომ წარედგინათ საკასაციო სასამართლოში საქმის დასაშვებობის განხილვის დროს, გამოიწვევდა კასატორისათვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, განმცხადებელმა მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადების საფუძვლები და თვლის, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სასამართლო უწყება ადრესატს ბარდება მხარის მიერ მითითებული მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის), ალტერნატიული მისამართის, სამუშაო ადგილის ან სასამართლოსათვის ცნობილი სხვა მისამართის მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩაჰბარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე, ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩაჰბარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის

შემთხვევაში - ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება უწყების მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

აღნიშნული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, უწყება ეგზავნება ორგანიზაციას მითითებული მისამართის (ფაქტობრივი ადგილსამყოფელის) მიხედვით და იგი უნდა ჩააბარდეს ამ ორგანიზაციის კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტურულ ერთეულს, ან კიდევ შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. უწყების მიმღები ვალდებულია, უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი და გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება, დაკავებული თანამდებობა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა კურიერს სააპელაციო სასამართლოს გზავნილი მხარის მიერ მითითებულ მისამართზე არ მიუტანია. კურიერმა 2008 წლის 25 აპრილს, უქმე დღეს (წითელ პარასკევს) რ. უ-მეს განჩინების ასლი გადასცა ქუჩაში. უწყების მეორე ეგზემპლარზე ხელმოწერით არ ირკვევა რ. უ-მის თანამდებობა და მისი უფლებამოსილება უწყების ჩაბარებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ, ვინაიდან საქმის მასალებით არ ირკვევა, რ. უ-მე იყო თუ არა აღჭურვილი უფლებამოსილებით, მიეღო კორესპონდენციები, შესაბამისად, სასამართლო უწყება ჩაბარებულად უნდა ჩაითვალოს 2008 წლის 29 აპრილს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სს "ბჟუჟჰესის" წარმომადგენელ დ. ბ-მის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

1. სს "ბჟუჟჰესის" წარმომადგენელ დ. ბ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამოსაქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 16 ივნისის განჩინება და საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნეს წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად;

3. მოწინააღმდეგე მხარეს გაეგზავნოს საკასაციო საჩივრის ასლი;

4. მოწინააღმდეგე მხარეს უფლება აქვს მოცემული განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში წარმოადგინოს საკასაციო საჩივარზე წერილობითი პასუხი;

5. საკასაციო საჩივრის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის საკითხს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა განიხილავს ზეპირი მოსმენის გარეშე.

6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ა-1265-ა-21-08

10 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 ნოემბრის განჩინება და ახალი გადაწყვეტილებით კ. ვ-მისა და სს „ბანკი ქართუს“ სარჩელები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: კ. ვ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა 399 775 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში, ხოლო სს „ბანკი ქართუს“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა

133 190 აშშ დოლარის ნაწილში; ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით სს „ბანკ ქართუს“ კ. ვ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 266 585 აშშ დოლარის გადახდა.

2008 წლის 30 ივნისს სს „ბანკ ქართუმ“ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა მოსარჩელე კ. ვ-ის დანაშაულებრივ ქმედებაზე, რის დასადასტურებლადც წარმოადგინა შემოსავლების სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს გამომძიებლის 2008 წლის 16 ივნისის დადგენილება კ. ვ-ის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ და მოსამართლის ბრძანება კ. ვ-ის მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შესახებ. 2008 წლის 30 ივნისის განმცხადებელმა წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 25 ივნისის განაჩენი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები და თვლის, რომ სს „ბანკ ქართუს“ განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების მოთხოვნით, თუ დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოება განახლდება ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით, თუ არსებობს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი.

მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი განაჩენით განსასჯელი კ. ვ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), რაც გამოიხატა იმაში, რომ კ. ვ-მემ ჯგუფთან ერთად მიითვისა ბანკში სესხის უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძვირფასეულობის ნაწილი.

საკასაციო პალატა თვლის, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია და მოცემულ საქმეზე უნდა განახლდეს საქმის წარმოება, ვინაიდან წარმოდგენილი განაჩენით ამ საქმეზე დადგენილია მოსარჩელე მხარის - კ. ვ-ის დანაშაულებრივი ქმედება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

სს „ბანკ ქართუს“ განცხადება დაკმაყოფილდეს;

გაუქმდეს ამ საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილება და ამ საქმეზე განახლდეს საკასაციო წარმოება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ა-603-ა-13-08

14 მაისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რ. ქ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინების გაუმებისა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 5 მარტის განჩინებით რ. ქ-ის საკასაციო საჩივარი, ხარვეზის შეუფასებლობის გამო, დარჩა განუხილველად.

2008 წლის 20 მარტს რ. ქ-მემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის საფუძველზე აღნიშნული განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ საფუძველზე, რომ მან საკასაციო საჩივარზე ხარვეზის შევსების შესახებ სასამართლო განჩინებაში მითითებული ბაჟი დროულად გადაიხადა, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დადგენილ ვადაში გამოგზავნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადებაზე თანდართული მტკიცებულებანი და თვლის, რომ განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამძღვრები.

მოცემულ შემთხვევაში რ. ქ-მე საქმის წარმოების განახლებას მოითხოვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე"-ს "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

განსახილველ შემთხვევაში, რ. ქ-მეს არ წარმოუდგენია რაიმე დოკუმენტი იმის შესახებ, რომ თავისი ბრალის გარეშე მას არ ჰქონდა შესაძლებლობა, დადგენილ ვადაში ან წარმოედგინა გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითარი სასამართლოში ან მოეთხოვა სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შევსების ვადის გაგრძელება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

რ. ქ-მის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

ას-701-1031-07 25 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უკანონო მიჯნის მოშლა, აუცილებელი გზის აღდგენა

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ი-შვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოპასუხე ა. ი-შვილის მიმართ უკანონო მიჯნის მოშლისა და აუცილებელი გზის აღდგენის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით გ. ი-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - მოპასუხე ა. ი-შვილს დაეკისრა დუშეთის რაიონის სოფ. ... მდინარე არყალას მხრიდან უკანონო მიჯნის მოშლა და მოსარჩელის სახლიდან მისასვლელი სამანქანო გზის აღდგენა.

მოცემული საქმე არაერთხელ იქნა განხილული ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ და ბოლოს თბილისის საპეალაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 18 მაისის განჩინებით ა.

ი-შვილის საპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა დუშეთის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. ი-შვილმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ა. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

ა. ი-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ი-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინებით ა. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო.

ა. ი-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, რასაც დაურთო სახალხო ფოსტის დუშეთის ფილიალის თანამშრომელ ნ. გ-შვილის მოხსენებითი ბარათი, სადაც მითითებულია, რომ საფოსტო შეტყობინებაში დაშვებულია მექანიკური შეცდომა და ადრესატს გზავნილი ჩაჰბარდა არა 2007 წლის 8 ოქტომბერს, არამედ, 2007 წლის 18 ოქტომბერს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოცემული მუხლის თანახმად, მოსამართლე მტკიცებულებებს აფასებს ორი თვალზასრისით მათი სარწმუნოებისა და არასარწმუნოების მიხედვით.

საქმის მასალებში წარმოდგენილია საფოსტო შეტყობინება რომლის თანახმადაც ადრესატს გზავნილი ჩაჰბარდა 2007 წლის 8 ოქტომბერს და რის საფუძველზეც ა. ი-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. მოცემულ გზავნილზე გარდა იმისა, რომ ხელით არის მითითებული გზავნილის ჩაბარების თარიღი, ასევე, დასმულია ბეჭედი, იმის შესახებ, თუ როდის დაბრუნდა საფოსტო შეტყობინება თბილისში, რომლის თანახმადაც, მოცემული გზავნილი თბილისში, ადრესატის ჩაბარების დამადასტურებელი ხელმოწერით დაბრუნდა 2007 წლის 11 ოქტომბერს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ა. ი-შვილს გზავნილი ვერ ჩაბარდებოდა 2007 წლის 18 ოქტომბერს, ვინაიდან აღნიშნული საფოსტო შეტყობინება ჩაბარების ხელწერილით ქ. თბილისში დაბრუნდა 2007 წლის 11 ოქტომბერს. აღნიშნული ა. ი-შვილის საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე და 401-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ი-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 5 ნოემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

განჩინების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

#ა-1537-ა-26-08

16 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი სარჩელში: ბინიდან გამოსახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ლ. თ-იამ 1998 წლის აპრილში სარჩელი აღძრა სასამართლოში ბ., ფ., ზ. ტ-ძეების, ნ. ფ-ძის მიმართ და აღნიშნა, რომ თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა წარმოადგენს მის საკუთრებას. მოპასუხეებს ამ ბინის ორი ოთახი წლების განმავლობაში უკავიათ დამქირავებლის სტატუსით, თუმცა არ იხდიან ქირას და, მოსარჩელის მრავალჯერ მოთხოვნის მიუხედავად, უარს აცხადებენ ბინის დაცლაზე. მოსარჩელის განმარტებით, თავისი ოჯახის წევრებთან ერთად იგი იძულებულია, ცხოვრობდეს მხოლოდ ერთ ოთახში, რითაც ირღვევა მისი უფლებები. მოსარჩელემ მოითხოვა მისი კუთვნილი ბინიდან მოპასუხეების გამოსახლება.

მოპასუხე მხარემ არ ცნო სარჩელი და 1999 წლის ივლისში შეგებებული სასარჩელო განცხადებით მიმართა სასამართლოს სადავო ბინის ორი ოთახის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. მოპასუხეთა განმარტებით, ზ. ტ-ძე ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე სახლში ცხოვრობდა 1959 წლიდან, იგი ჩაეწერა ამავე ბინაში. 1969 წლის ივნისში სადავო სახლის ორი ოთახი იყიდა მოსარჩელის დედის - თ. გ-ვასაგან 7000 მანეთად. ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების შეუძლებლობის გამო აღნიშნული გარიგება გაფორმდა თ. გ-ვას 1979 წლის ანდერძით, რომლის თანახმად სადავო ფართი უნდა გადასცემოდა ზ. ტ-ძეს.

ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ლ. თ-იას სასარჩელო მოთხოვნა მის სახელზე რიცხული ბინიდან მოპასუხეების გამოსახლების შესახებ, ხოლო შეგებებული სარჩელის ნაწილში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, საქმის წარმოება შეწყდა იმ საფუძველით, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ზ. ტ-ძის მოთხოვნა სადავო ფართის მესაკუთრედ ცნობაზე არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ბ., ზ. ტ-ძეებმა და ნ. ფ-ძემ და მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო ძირითადი სარჩელისათვის უარის თქმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2001 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება საქმის წარმოების შეწყვეტის ნაწილში დარჩა უცვლელი, ხოლო დანარჩენ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. თ-იას სარჩელი ბ., ზ. ტ-ძეებისა და ნ. ფ-ძის ბინიდან გამოსახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ლ. თ-იამ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს 1998 წლის 25 ივნისის კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი, მე-5 მუხლი და მე-7 მუხლის მეორე პუნქტი. ამრიგად, გაუქმდა სპეციალური კანონის ის ნორმები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

საკასაციო პალატის აზრით, საოლქო სასამართლომ, ერთი მხრივ, დადგინილად მიიჩნია, რომ მოპასუხეები არ წარმოადგენდნენ, ლ. თ-იას ბინის დამქირავებლებს, მაგრამ, მეორე მხრივ, მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას არ მისცა შესაბამისი კვალიფიკაცია, არ იმსჯელა, სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე შეუძლია თუ არა ლ. თ-იას, როგორც სადავო ფართის მესაკუთრეს, მოითხოვოს მოპასუხეთა ბინიდან გამოსახლება.

სააპელაციო პალატის მოსამზადებელ სხდომაზე შეგებებული სარჩელის ავტორმა შეცვალა დავის საგანი და ლ. თ-იასაგან მოითხოვა მის მიერ თ. გ-ვასათვის სადავო ფართის გამოსყიდვის მიზნით გადახდილი 7 000 მანეთის შესაბამისი თანხის - 7 700 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ლ. თ-იას სარჩელი ბ., ფ., ზ. და ზ. ტ-ძეების, ნ. ფ-ძისა და მათთან მყოფი პირების სადავო ფართიდან გამოსახლების შესახებ, ხოლო ზ. ტ-ძის შეგებებულ სარჩელს თანხის დაკისრების ნაწილში უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ბ. და ზ. ტ-ძეებმა, ნ. ფ-ძემ და მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 25 დეკემბრის განჩინებით ბ. და ზ. ტ-ძეებისა და ნ. ფ-ძე-ტ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას ხელახლა განსახილველად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით ბ. და ბ. ტ-ძეების, ნ. ფ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ამ საქმეზე ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2000 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. თ-იას სარჩელი ბ., ბ. ტ-ძეების, ნ. ფ-ძის მიმართ ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე ბინის ორი ოთახის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და ამ ბინიდან მათი გამოსახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა; დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელი და ბ., ბ. ტ-ძეები, ნ. ფ-ძე ცნობილ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე ლ. თ-იას სახელზე რიცხული საცხოვრებელი ოთახის მესკუთრედ, ლ. თ-იასთვის მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების - 28 000 ლარის 25%-ის - 7 000 ლარის გადახდის სანაცვლოდ.

სააპელაციო პალატამ დადასტურებულად ცნო, რომ ქ.თბილისში, ... ქ.#17-ში მდებარე სამოთახიანი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეა ლ. თ-ია; მოპასუხეები 1959 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნული საცხოვრებელი სახლის ორ #1 და #2 საცხოვრებელ ოთახებში და რეგისტრირებული არიან ამავე მისამართზე, ასევე დადგენილია, რომ მოპასუხეები წლების მანძილზე იხდიდნენ კომუნალურ გადასახადებს.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის 1.1 მუხლის "ა" პუნქტის შესაბამისად, მოპასუხეები წარმოადგენენ მოსარგებლებს და მათ ქ. თბილისში, ... ქ.#17-ში მდებარე, მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის უფლება მოპოვებული აქვთ საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის დათმობის შესახებ გარიგებით.

სააპელაციო პალატამ ასევე მიუთითა, რომ მოცემულ დავაში საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე ლ. თ-იას მხოლოდ იმ პირობით შეუძლია მოითხოვოს მოსარგებლების, ბ. და ბ. ტ-ძეების, ნ. ფ-ძის მხრიდან მის კუთვნილ ბინაზე მფლობელობის შეწყვეტა, თუ იგი სანაცვლოდ გადაუხდის მათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის ღირებულების 75%-ს.

სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, თუ მესაკუთრე უარს აცხადებს მოსარგებლისათვის ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდაზე, მოსარგებლეს უფლება აქვს, მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებული საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, აპელანტებმა, რომლებიც წარმოადგენდნენ მოსარგებლებს და აღძრული აქვთ შეგებებული სარჩელი, დააზუსტეს და, რაკი მესაკუთრე უარს აცხადებს კომპენსაციის გადახდაზე, მოითხოვეს ცნობილ იქნენ მესაკუთრეებად შესაბამისი კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ლ. თ-იამ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორტების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. თ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება და გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ლ. თ-იას დაეკისრა ბ. ტ-ძის, ბ. ტ-ძისა და ნ. ფ-ძის სასარგებლოდ 19 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომლის სანაცვლოდ მოპასუხეები ბ. ტ-ძე, ბ. ტ-ძე, ნ. ფ-ძე გამოსახლებულ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან.

საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ" კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესის გამოყენების პროცესუალური შესაძლებლობა მხარეებს ეძლევათ სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში, კერძოდ, განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმების თანახმად, მოსარგებლეს უფლება აქვს, მესაკუთრეს მოსთხოვოს შესაბამისი ანაზღაურების (დაკავებული საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 25%) სანაცვლოდ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომზე საკუთრების უფლების გადაცემა (მე-2 მუხლის მე-6 პუნქტი) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე უარს განაცხადებს მოსარგებლისათვის საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 75%-ის გადახდაზე (მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი).

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის 2005 წლის 20 ოქტომბრის დასკვნის შესაბამისად, თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე საცხოვრებელი ფართის საბაზრო ღირებულება შეადგენს 28 000 ლარს, ხოლო ამ თანხის 25% შეადგენს 7.000 ლარს, რომლის გადახდის შემთხვევაში ფართის ფაქტობრივი მფლობელი გახდება მისი მესაკუთრე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარგებლეს უნდა დაეკისროს მოპასუხის სასარგებლოდ 19 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომლის სანაცვლოდაც მოპასუხეები უნდა გამოსახლდნენ სადავო სახლიდან.

ბ. და ბ. ტ-ძებმა, ნ. ფ-ძემ განცხადებით მიმართეს საკასაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ შემდეგი საფუძვლებით: საკასაციო პალატამ ისე მიიღო ახალი გადაწყვეტილება, რომ არ დაადგინა მოსარგებლების მიერ დაკავებული ფართის საბაზრო ღირებულება. საკასაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მესაკუთრეს დაეკისრა მოსარგებლებისათვის იმაზე ნაკლები თანხის გადახდა, რაც უნდა დაკისრებოდა სადავო ფართის საბაზრო ღირებულების შეფასების შემთხვევაში, რითაც დაარღვია "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ" კანონი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლისა და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად თვლის, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავითრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. თ-იას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება და გამოტანილ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. თ-იას დაეკისრა ბ. ტ-ძის, ბ. ტ-ძისა და ნ. ფ-ძის სასარგებლოდ 19 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, რომლის სანაცვლოდ მოპასუხეები ბ. ტ-ძე, ბ. ტ-ძე, ნ. ფ-ძე გამოსახლებულ იქნენ ქ. თბილისში, ... ქ. #17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან.

ბ. ტ-ძემ და ბ. ტ-ძემ და ნ. ფ-ძემ განცხადებით მიმართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და მოითხოვეს საქმის წარმოების განახლება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო. განმცხადებლების განმარტებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს უნდა დაედგინა საქმეზე გადაწყვეტილების მიღების დროს განსახილველ საქმეზე მოსარგებლების მიერ დაკავებული სადავო ფართისა და მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული საფუძვლით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

აღნიშნული ნორმის თანახმად, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ორი ძირითადი პირობის არსებობისას, კერძოდ, ახლად აღმოჩენილი გარემოება არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ აღნიშნულის თაობაზე ცნობილი არ იყო და მეორე, განმცხადებლისათვის ამ ფაქტის თაობაზე მოგვიანებით გახდა ცნობილი და მას, ბრალის გარეშე, საქმის სასამართლოში განხილვის დროს არ შეეძლო, მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო პალატა არ იზიარებს განმცხადებლების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საკასაციო პალატაში საქმის განხილვის დროს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს რომ დაედგინა მოცემულ საქმეზე მოსარგებლების მიერ დაკავებული სადავო ფართისა და მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება, გამოიწვევდა მათთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. პალატას მიაჩნია, რომ განმცხადებლების მიერ მითითებული გარემოების არსებობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ საკასაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, საკასაციო პალატამ სასამართლო სხდომაზე იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე. მხარეებს არაერთხელ მიეცათ შესაძლებლობა კვლავ განესაზღვრათ სადავო ფართის საბაზრო ღირებულება, საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად, მაგრამ აღნიშნული შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული საქმის მირიგებით დამთავრების მიზნით. ამრიგად, განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ საფუძველს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ბ. და ბ. ტ-ძების, ნ. ფ-ძის განცხადება უსაფუძვლოა და მათ მიერ მითითებული გარემოება არ შეიძლება გახდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი, რის გამოც განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე, 423-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ბ. ტ-ძის, ბ. ტ-ძისა და ნ. ფ-ძის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

#ას-962-1164-08

22 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი : ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში ჯ. გ-მემ სარჩელი აღძრა ზესტაფონის #... საჯარო სკოლის დირექტორის - ლ. კ-ძის მიმართ #33 და #53 ბრძანებების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელემ მიუთითა, რომ 2006 წლის ოქტომბრიდან ზესტაფონის #... საჯარო სკოლაში ეკავა რადიო-ტექნიკური კაბინეტის მენეჯერის თანამდებობა და შეთავსებით 0,5 განაკვეთზე იყო რადიო-ტექნიკური წრის ხელმძღვანელი. 2007 წლის 29 ნოემბერს მენეჯერის შტატის გაუქმების საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, ასევე, გათავისუფლდა რადიო-ტექნიკური წრის ხელმძღვანელობიდანაც. მან მოითხოვა სულ 135 ლარის გადახდა და საბოლოო ანგარიშსწორების თანხა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით ჯ. გ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ჯ. გ-მემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით ჯ. გ-ძის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად, რომელიც მან გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის განჩინებით ჯ. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

ჯ. გ-მემ 2008 წლის 12 სექტემბერს განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინებით ჯ. გ-ძის განცხადება დარჩა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ჯ. გ-ძის მიერ მითითებული გარემოება მისთვის ცნობილი იყო სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინების კერძო საჩივრით გასაჩივრების დროსაც. კერძო საჩივრით ჯ. გ-მე გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველად ასახელებდა სახალხო ფოსტის მიერ გაცემულ ცნობას - სააპელაციო სასამართლოს ხარვეზის განჩინების ჯ. გ-ძისათვის 2008 წლის 27 მარტს ჩაბარების თაობაზე და აღნიშნული გარემოება იყო საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაუშვებლად ცნო ჯ. გ-ძის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ჯ. გ-მემ. მან მიუთითა, რომ 2008 წლის 29 თებერვლის განჩინებით მიეცა 7 - დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. მას აღნიშნული განჩინება ჩაჰბარდა 2008 წლის 27 მარტს. მან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში შეავსო ხარვეზი, კერძოდ, 2008 წლის 1 აპრილს. ვინაიდან განჩინების ჩაბარების თარიღად, ფოსტის მუშაკმა შეცდომით დააფიქსირა 15, ნაცვლად 27 მარტისა, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით, მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი.

2008 წლის 10 სექტემბერს მან განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ. ამ მოთხოვნას საფუძვლად დაედო საქართველოს სახალხო ფოსტის საფოსტო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი მოკვლევა, რომლის შედეგად დადასტურდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 12 მარტის საფოსტო გზავნილი შეკვეთით, ოპერატორის მეშვეობით ჩაჰბარდა 2008 წლის 27 მარტს და არა 15 მარტს, როგორც ეს თავდაპირველად შეცდომით იყო დაფიქსირებული ფოსტის თანამშრომლის მიერ. სააპელაციო სასამართლოს მითითება იმაზე, რომ მისთვის ადრე იყო ცნობილი აღნიშნული გარემოება, არასწორია. მის მიერ ოფიციალურად მოპოვებული მტკიცებულების დადასტურდა იმის საწინააღმდეგო, რასაც საკასაციო და სააპელაციო პალატები ამტკიცებდნენ, ე.ი. დადასტურდა, რომ ხარვეზის შესწორების შესახებ განჩინება ჩაჰბარდა არა 15, არამედ 27 მარტს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ჯ. გ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგინდია, რომ ჯ. გ-ძეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 29 თებერვლის განჩინებით მიეცა 7-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად. განჩინება მას ჩაჰბარდა 2008 წლის 15 მარტს, ვინაიდან ჯ. გ-ძემ სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში არ შეავსო ხარვეზი, მისი სააპელაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინებით დარჩა განუხილველად. აღნიშნულ განჩინებაზე მან შეიტანა კერძო საჩივარი იმ საფუძველით, რომ მას ხარვეზის განჩინება ჩაჰბარდა არა 2008 წლის 15 მარტს, არამედ 2008 წლის 27 მარტს. ჯ. გ-ძემ წარმოადგინა სახალხო ფოსტის ოპერატორ ი. ნ-ძის მიერ გაცემული ცნობა, რითაც იგი ადასტურებს, რომ აღნიშნული განჩინება ჯ. გ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 27 მარტს. უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 28 მაისის განჩინებით ჯ. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მან განცხადებით მიმართა სასამართლოს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ საფუძველით, რომ სახალხო ფოსტის საფოსტო ხელმძღვანელის მიერ ჩატარებულ იქნა სამსახურებრივი მოკვლევა, რომლის შედეგად დადასტურდა, რომ ხარვეზის განჩინება მას ჩაჰბარდა არა 2008 წლის 15 მარტს, არამედ, 27 მარტს. ვინაიდან წერილის მიღების დროს ოპერატორს გამოჩნა თარიღი, მან თვითნებურად, შეცდომით ჩაწერა 27 მარტის ნაცვლად 15 მარტი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მითითებას იმის შესახებ, რომ ჯ. გ-ძე ჯერ კიდევ თავის კერძო საჩივრით მოითხოვდა აღნიშნული საფუძველით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 2 აპრილის განჩინების გაუქმებას, რითაც მისი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად. მისთვის აღნიშნული გარემოება ცნობილი იყო კერძო საჩივრის შეტანის დროს და იგი არ წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა განუხილველად ჯ. გ-ძის განცხადება და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ჯ. გ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 ოქტომბრის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ას-181-508-09

22 აპრილი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),

ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით ყადაღის გამოყენება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. მ-მემ განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, კ. ჭ-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ აღძრული სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ქ. ზუგდიდში, ... ქ.#3-ის მესამე შესახვევსა და ... ქ.#40/2-ის ბინა #13-ში მდებარე აწ გარდაცვლილი ლ. ჰ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 3 აპრილის განჩინებით განცხადებას დაუდგინდა ხარვეზი და მ. მ-მეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის - 50 ლარის ჩარიცხვის ქვითრისა და დასაყადებელ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის წარმოდგენა. ამავე სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის განჩინებით კი განცხადება დარჩა განუხილველად ხარვეზის გამოუსწორებლობის გამო, რაზეც მ. მ-მემ შეიტანა საჩივარი.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის განჩინებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივლისის განჩინებით საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და მ. მ-მეს დაევალა სახელმწიფო ბაჟის, ასევე საჩივრის იმდენი ასლის წარმოდგენა, რამდენი მონაწილეცაა საქმეში, ხოლო ამავე პალატის 2008 წლის 29 აგვისტოს განჩინებით განმცხადებელს გაუგრძელდა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით მ.მ-მეს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე. ამავე სასამართლოს 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება გაუქმდა და საქმე განცხადების დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველად.

მ. მ-მემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, ასევე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის გამამართლებელი განაჩენი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინებით მ.მ-მის განცხადება დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ამავე სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით მ. მ-მეს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის განჩინებაზე შეტანილ საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაუვადდა დავის საბოლოო გადაწყვეტამდე, 2008 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით კი მ. მ-მის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული განჩინება გაუქმდა და საქმე მ. მ-მის საჩივრის დასაშვებობის სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. სააპელაციო პალატამ გამოარკვია, რომ 2008 წლის 7 ნოემბრის განცხადებით მ.მ-მემ მოითხოვა სახელმწიფო ბაჟისაგან გათავისუფლების შესახებ 2008 წლის 19 სექტემბრის წინმსწრები განჩინების გაუქმება. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 414-ე მუხლის პირველი ნაწილით, 419-ე მუხლის მესამე ნაწილით, 420-ე მუხლით და მიიჩნია, რომ, ვინაიდან სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით გამოტანილი წინმსწრები განჩინების ცალკე გასაჩივრება საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის, ასევე დაუშვებელია კერძო საჩივართან დაკავშირებით ზემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების გასაჩივრება, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მ. მ-მის განცხადება კერძო საჩივართან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ სააპელაციო პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის წინმსწრები განჩინების გაუქმების შესახებ დაუშვებელია და უნდა დარჩეს განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მ. მ-მემ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ 2008 წლის 19

სექტემბრის განჩინების მიღებისას სასამართლოს მ.მ-ძისათვის სახელმწიფო ბაჟის გადახდა კი არ უნდა გადაევადებინა, არამედ საერთოდ არ უნდა დაეკისრებინა, ვინაიდან, მხარის მიმართ უკანონო ბრალდების გამო, მოცემული დავა ეხება ზიანის ანაზღაურებას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის "გ" და "დ" ქვეპუნქტების შესაბამისად, ასეთ დროს მოსარჩელე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია. უსახსრობის გამო, მ. მ-მემ მოითხოვა სახაზინო ადვოკატის დანიშვნა, თუმცა მისი მოთხოვნები უგულვებელყოფილ იქნა. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ 2008 წლის 19 სექტემბრის წინმსწრები განჩინების გასაჩივრება დაუშვებელია.

მოცემული საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 2 მაისის განჩინებით მ. მ-ძის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დარჩა განუხილველად, რაზეც მ.მ-მემ შეიტანა საჩივარი. ამავე სასამართლოს 2008 წლის 17 ივნისის განჩინებით იგი არ დაკმაყოფილდა და საქმე განსახილველად გადაეგზავნა ზემდგომ სასამართლოს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებით მ. მ-ძეს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო საჩივრის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

სააპელაციო სასამართლომ საქმე მ. მ-ძის განცხადების დასაშვებობის სტადიიდან დააბრუნა ხელახლა განსახილველად და რაიონული სასამართლოს 2008 წლის 10 ნოემბრის განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველად.

მ. მ-მემ განცხადებით მიმართა სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინებების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წანამდღვრები. დასახელებული ნორმის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დასაშვებია კანონიერ ძალაში შესულ მხოლოდ ისეთ გადაწყვეტილებასა თუ განჩინებაზე, რომლითაც საქმის წარმოება არსებითად მთავრდება.

მოცემულ შემთხვევაში მ. მ-მემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეიტანა სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 19 სექტემბრის განჩინებაზე, რომლითაც საქმის წარმოება არ დამთავრებულა. აღნიშნული განჩინებით მხარეს გადაუვადდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა და დადგინდა მ. მ-ძის საჩივრის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მ. მ-ძის ზემოხსენებული განცხადება სავსებით სწორად დატოვა განუხილველად, ვინაიდან სასამართლო ხარჯებისა და საქმის განხილვის ფორმის განსაზღვრის თაობაზე განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით გასაჩივრების შესაძლებლობას მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მ. მ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 ნოემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

№ა-885-ა-13-09

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

განიხილა პ. თ-ძის (წარმომადგენელი ლ. მ-ნი) განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სარჩელი სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებისა და სამკვიდრო ქონების გაყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა მოპასუხე პ. თ-ძის წარმომადგენლის შუამდგომლობა წარმომადგენლის მომსახურეობის ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

საქალაქო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება მ. თ-ძემ და ნ. ძ-ურმა სააპელაციო წესით გაასაჩივრეს. აპელანტებმა მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის (პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამზადებელ სხდომაზე შემცირებული მოთხოვნის შესაბამისად) დაკმაყოფილება, კერძოდ, სამკვიდრო ქონების - წყნეთის სააგარაკე სახლის სამ თანაბარ წილად გაყოფა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება სამკვიდრო ქონების გაყოფისა და მემკვიდრეთათვის მიკუთვნების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა დაუსწრებელი გადაწყვეტილება: მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სარჩელი დაკმაყოფილდა, ისინი ცნობილ იქნენ წყნეთში, ... ქ. #36-ში მდებარე (დ. თ-ძის სამკვიდრო ქონებიდან) უძრავი ქონებიდან თითოეული 1/3-1/3-ის მესაკუთრედ.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა პ. თ-ძემ (წარმომადგენელი ლ. მ-ნი), რომელმაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილსა და 233-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" და "გ" ქვეპუნქტებზე დაყრდნობით მისი გაუქმება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 7 აპრილის განჩინებით პ. თ-ძის (წარმომადგენელი ლ. მ-ნი) საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 23 იანვრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა მოცემული საქმის წარმოება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ 2008 წლის 6 აგვისტოს მიღებულ იქნა განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. თ-ძისა და ნ. ძ-ურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა აღნიშნულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება სამკვიდრო ქონების გაყოფისა და მემკვიდრეთათვის მიკუთვნების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება: მ. თ-ძე და ნ. ძ-ური ცნობილ იქნენ წყნეთში, ... ქ. #36-ში მდებარე (დ. თ-ძის სამკვიდრო ქონებიდან) უძრავი ქონებიდან თითოეული 1/3-1/3-ის მესაკუთრედ.

სააპელაციო სასამართლოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა პ. თ-ძემ (წარმომადგენელმა ლ. მ-ნმა), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინებით პ. თ-ძის (წარმომადგენელი ლ. მ-ნი) საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

2009 წლის 29 აპრილს პ. თ-ძემ (წარმომადგენელი ლ. მ-ნი) განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ. განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სამედიცინო ცნობაში შეცდომით მითითებული ლ. მ-ნის სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის თარიღი (6 აგვისტოს ნაცვლად 6 ივლისი) მისთვის ცნობილი გახდა

უზენაესი სასამართლოს 9 მარტის განჩინებით, რომელიც 2009 წლის 1 აპრილს ჩაჰბარდა მას. განმცხადებელი მიუთითებს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მისთვის ცნობილი იქნებოდა აღნიშნული გარემოების შესახებ, იგი წარადგენდა შესაბამის მტკიცებულებებს, რაც მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას უზრუნველყოფდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, პ. თ-მის განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ აღნიშნული განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მიხედვით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ აღმოჩნდება, რომ დოკუმენტი, რომელსაც გადაწყვეტილება ემყარება, ყალბია. დადგენილია მოწმის ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, რასაც მოჰყვება უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების მიღება; დადგენილია ამ საქმეზე მხარეთა და მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი ქმედება ან მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედება; სასამართლო განაჩენი, გადაწყვეტილება, განჩინება ან სხვა ორგანოს დადგენილება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილებას, გაუქმდა; მხარე წარუდგენს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოტანილია იმავე სარჩელის მიმართ; მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

მოცემულ საქმეზე განმცხადებელი ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ საქმის მასალებში 2008 წლის 6 აგვისტოს გაცემული ცნობის ტექსტში ლ. მ-ნის სამედიცინო დაწესებულებაში მიმართვის თარიღი - 2008 წლის 6 ივლისი - არის მექანიკური შეცდომა და ამის დასადასტურებლად წარმოდგენილი აქვს ჯანმრთელობის ცნობა ფორმა IV-100/ა და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება არ წარმოადგენს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 9 მარტის განჩინების გაუქმების საფუძველს. აღნიშნული გარემოება წარმოადგენდა უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 9 მარტის განჩინების ერთ-ერთ და არა ერთადერთ საფუძველს, რის გამოც არ დაკმაყოფილდა პ. თ-მის საკასაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 6 აგვისტოს განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ამ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებაში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ავადმყოფობის ცნობა არ აკმაყოფილებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის მე-2 წინადადების პირობას, კერძოდ, იგი არ მიუთითებს პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილად განიხილავს მხოლოდ ისეთ გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რაც მხარისათვის გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გახდა ცნობილი. ზემომითითებული ავადმყოფობის ცნობის თარიღის უსწორობის შესახებ კი განმცხადებლის მიერ იმთავითვე იყო ცნობილი, რამდენადაც აღნიშნული ცნობა საქმეზე სწორედ მის მიერ იქნა წარმოდგენილი სააპელაციო სასამართლოში და იცნობდა მის შინაარსს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლით გათვალისწინებული ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები, რის გამოც პ. თ-მის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 423-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. პ. თ-მის (წარმომადგენელი ლ. მ-ნი) განცხადება არ დაკმაყოფილდეს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ას-311-632-09

5 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 18 თებერვლის განჩინებით ი. ა-შვილსა და მ. ა-შვილს შორის დამტკიცდა მორიგება შემდეგი პირობებით: "გარდაბნის რ-ნის სოფ. ... მდებარე ბინა თანაბარ წილად - 1/2 - 1/2 საკუთრების უფლებით აღირიცხოს მ. და ი. ა-შვილებზე, აღნიშნული ბინა იქნეს დაკეტილი; არცერთმა მხარემ არ ისარგებლოს. გაიყიდოს ერთობლივად და თანხა გაიყოს შუაზე".

2008 წლის 28 მარტს ი. ა-შვილმა განცხადებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, მორიგების შესახებ განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მ. ა-შვილი არ იყო ბიძამისის - შ. ა-შვილის ბიოლოგიური შვილი, რაც მისთვის საქმის განხილვის დროს ცნობილი არ ყოფილა.

განმცხადებლის განმარტებით, საქმის წარმოების მორიგებით დამთავრება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ იმ პერიოდში ი. ა-შვილს მ. ა-შვილი მიაჩნდა ბიძაშვილად, კერძოდ, მამის ძმის - შ. ა-შვილის ღვიძლ შვილად და მის კანონიერ მემკვიდრედ. აღნიშნულის საფუძველს აძლევდა საქმეზე წარმოდგენილი მ. ა-შვილის დაბადების მოწმობა და ვ. და შ. ა-შვილების განქორწინების მოწმობა. შესაბამისად, განმცხადებელმა მიიჩნია, რომ მ. ა-შვილს ჰქონდა როგორც კანონიერი, ასევე, ბიოლოგიური უფლება მიეღო თავისი მამის კუთვნილი ქონება. ი. ა-შვილმა აღნიშნა, რომ მ. ა-შვილმა სასამართლო შეიყვანა შეცდომაში, დამალა შვილად აყვანის ფაქტი და ყველა დააჯერა, რომ ის შ. ა-შვილის ბიოლოგიური შვილი იყო, რომელიც მას შეეძინა კანონიერი ქორწინების დროს.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ი. ა-შვილმა მოითხოვა მორიგების დამტკიცების შესახებ სასამართლოს 2005 წლის 18 თებერვლის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება, ვინაიდან განმცხადებლის განმარტებით, აღნიშნულის თაობაზე მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო, ის არ დათანხმდებოდა საქმის წარმოების მორიგებით დამთავრებაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სააპელაციო პალატის 2009 წლის 20 თებერვლის განჩინებით ი. ა-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება ვერ ჩაითვლებოდა ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით იგი უთითებდა საქმის არსებითი განხილვის დროს გარდაბნის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ა-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლების შესახებ მისი განცხადების ხელახლა არსებითი განხილვისათვის იმავე სასამართლოში დაბრუნება შემდეგი საფუძველით: მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მან მიუთითა, რომ დაბადების მოწმობაში ასახული პირები არ შეიძლებოდა მ. ა-შვილის მშობლები ყოფილიყვნენ, ვინაიდან მათ შვილი არ შესძენიათ, მაგრამ საქმის განხილვის დროს გამოთქმული მოსაზრება არ ემყარებოდა არანაირ მტკიცებულებას და ატარებდა ვარაუდის ხასიათს, აღნიშნულის დამადასტურებელი საბუთი კი მას არ გააჩნდა. მხოლოდ 2008 წლის 11 მარტს, როდესაც მას გადაეცა მოპასუხის მიერ სარჩელზე წარდგენილი შესაგებელი და თანდართული დოკუმენტები, აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩნდა, რომ 1994 წლით დათარიღებული შვილად აყვანის მოწმობაზე დასმული იყო "ბათუმის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს" წარწერიანი მრგვალი ბეჭედი, მაშინ როდესაც 1994 წლისათვის ამ სახელწოდებით საქართველოში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები უკვე აღარ არსებობდნენ და იგივე წარწერიანი მრგვალი ბეჭდით იყო დამოწმებული მ. ა-შვილის დაბადების მოწმობაც. 2005 წლის 18 თებერვლის სასამართლო სხდომაზე მისთვის ცნობილი რომ ყოფილიყო ეს გარემოება, ის არ დასთანხმდებოდა დავის მორიგებით დამთავრებაზე და სასამართლო გამოიტანდა მისთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას, ვინაიდან სამკვიდროს მიღებისათვის კანონით დადგენილი ექვსთვიანი ვადის აღდგენის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ ი. კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან გაჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამავე მუხლის მეხამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძვლებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ მხარის მიერ წარმოდგენილი ფაქტები და მტკიცებულებები არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და მხარემ არ იცოდა აღნიშნული ფაქტის თაობაზე. ამასთან, მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ი. ა-შვილის მიერ მითითებული გარემოება, ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, არ შეიძლება მიჩნეულიყო ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან აღნიშნულთან დაკავშირებით ი. ა-შვილი უთითებდა საქმის არსებითი განხილვის დროს გარდაბნის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელში, რასაც თავად კერძო საჩივრის ავტორიც არ უარყოფს. კერძოდ, მისთვის ცნობილი იყო შვილად აყვანის ფაქტის შესახებ და მიუხედავად ამისა, მხარეები მაინც მორიგდნენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ კერძო საჩივრის ავტორმა ვერ მიუთითა ისეთი გარემოებები და ვერ წარმოადგინა ისეთი მტკიცებულებები, რომელთა შესახებაც თავისი ბრალის გარეშე არ შეეძლო განჩინების მიღების დროს მიეთითებინა და რომლებიც ადრე რომ წარედგინა სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 თებერვლის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

- ი. ა-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 20 თებერვლის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

ა-885-ა-14-09

11 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლე რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ე. ბ-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

პალატამ გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 20 აპრილის განჩინებით განცხადების ავტორს დაევალა განჩინების ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

საკასაციო პალატის 2009 წლის 20 მაისის განჩინებით ე. ბ-ძეს გაუგრძელდა ხარვეზის გამოსწორების საპროცესო ვადა 5 დღით. აღნიშნული განჩინების ასლი განცხადების ავტორს მითითებულ მისამართზე გაეგზავნა დადგენილი წესის მიხედვით.

საკასაციო სასამართლოს 2009 წლის 20 მაისის განჩინება ე. ბარელძეს ჩაბარდა 2009 წლის 26 მაისს. სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაში განცხადების ავტორმა ხარვეზი არ გამოასწორა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

მოცემულ შემთხვევაში ე. ბ-ძემ არ წარმოადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი, რის გამოც საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განცხადება უნდა დარჩეს განუხილველად.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ე. ბ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 თებერვლის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, დარჩეს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ას-472-783-09

4 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი,
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 27 სექტემბერს გ. დ-ძესა და გ. მ-შვილს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლითაც იპოთეკით დაიტვირთა გ. მ-შვილის საკუთრებაში არსებული ბინა სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების - 15200 აშშ დოლარის უზრუნველსაყოფად. სესხის დაბრუნებისათვის გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ კრედიტორმა - გ. დ-ძემ მოითხოვა იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაცია. გ. მ-შვილმა თავის მხრივ შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და გ. დ-ძესთან დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვა.

შეგებულ სარჩელში მიეთითა, რომ 2000 წლის 27 სექტემბერის იპოთეკის ხელშეკრულების დადებაში მონაწილეობდა საშუამავლო ფორმის წარმომადგენელი ლ. ჟ-ენტი, რომელმაც გ. მ-შვილს მოტყუებით დაადებინა აღნიშნული ხელშეკრულება.

2002 წლის 12 ივნისს სააპელაციო პალატამ დააკმაყოფილა გ. დ-მის სარჩელი იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე, ხოლო გ. მ-შვილის უფლებამონაცვლებს: ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილებს უარი ეთქვათ იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე უსაფუძვლოდ გამო.

2007 წლის 1 ნოემბერს აწ გარდაცვლილი გ. მ-შვილის უფლებამონაცვლებმა: ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილებმა განცხადებით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინებით ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილების განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ ახალი გარემოება და მტკიცებულება მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, თუ იგი არსებობდა გადაწყვეტილების მიღებამდე და მხარემ არ იცოდა მისი არსებობის შესახებ. ამიტომ განმცხადებლის მიერ მითითებული გარემოება არ ჩაითვლება ახლად აღმოჩენილად, რადგან აპელანტები სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მიუთითებდნენ მასზე, თუმცა ვერ შეძლეს ამის დადასტურება. განმცხადებლების მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილი განაჩენი, რომლითაც ლ. ჟ-ენტი ცნობილ იქნა დამნაშავედ გ. მ-შვილის მიმართ თაღლითობაში, გამოტანილია 2006 წლის 23 თებერვალს, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ (2002 წლის 12 ივნისის შემდეგ) და ამიტომ ის ვერ იქნება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. ხოლო, განმცხადებლების მოსაზრება იპოთეკის ხელშეკრულების ყალბად ცნობის თაობაზე, პალატამ არ გაიზიარა, რადგან სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას აპელანტები სადავოდ ხდიდნენ მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი სესხის ოდენობას და არ უარყოფდნენ აღნიშნული ხელშეკრულების ნამდვილობას.

2009 წლის 11 მაისს ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილებმა კერძო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვეს.

კერძო საჩივარში მითითებულია, რომ იპოთეკის ხელშეკრულება გ. დ-მესა და გ. მ-შვილს შორის გაფორმდა ლ. ჟ-ენტის შუამავლობით, რომელმაც მოატყუა გ. მ-შვილი და თაღლითური გზით გააფორმებინა იპოთეკის ხელშეკრულება გ. დ-მესთან 15 200 აშშ დოლარზე, ხოლო რეალურად გ. მ-შვილს მისცა 7 000 აშშ დოლარი. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 4 სექტემბრის განაჩენით ლ. ჟ-ენტს სხვა დანაშაულებრივ ეპიზოდებთან ერთად ბრალად შეერაცხა გ. მ-შვილის მიმართ თაღლითობა. განაჩენით დადგენილია, რომ ლ. ჟ-ენტმა თაღლითურად გამოსძალა ფული გ. მ-შვილს ზემოხსენებული იპოთეკის ხელშეკრულების დადებისას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 12 ივნისის განჩინებით ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილების კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ საქმის ზეპირი განხილვის გარეშე შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის სამართლებრივი საფუძვლები და თვლის, რომ ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილების კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის თანახმად სასამართლოს განაჩენი შეიძლება გახდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველი მხოლოდ "ა"- "გ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძვლებით. ასეთი საფუძვლების არსებობაზე არც განცხადების ავტორი მიუთითებს და განაჩენიდანაც არ იკვეთება.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის ,,ვ" ქვეპუნქტის გამოყენებას, ამ ნორმის შესაბამისად სასამართლოს განაჩენი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი, როდესაც განაჩენით არის დადგენილი საქმისათვის მნიშვნელოვანი ახალი გარემოებები, რომელიც არსებობდა საქმის განხილვის დროს, რომელიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მხარის სასარგებლო გადაწყვეტილების გამოტანას და რომელთა შესახებ მხარემ არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა სამოქალაქო საქმის განხილვის დროს.

დადგენილია, რომ გ. მ-შვილსა და გ. დ-მეს შორის დაიდო იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც გამსესხებელმა გ. დ-მემ გ. მ-შვილს ასესხა 15200 აშშ დოლარი 6 თვის ვადით, ამ უკანასკნელმა კი სესხის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა თავის სახელზე რიცხული ბინა ...; გ. მ-შვილმა ვერ შეძლო სესხის დადგენილ ვადაში დაბრუნება, რის გამოც

სასამართლომ გადაწყვიტა მოეხდინა იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების აუქციონის წესით რეალიზაცია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 4 სექტემბრის განაჩენით დადგენილია, რომ ლ. ჟ-ენტმა მოაწყო გ. დ-მისა და გ. მ-შვილის შეხვედრა, რათა გაფორმებინათ იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო 15200 აშშ დოლარის სესხეზე, მაგრამ რეალური თანხა, რაც ლ. ჟ-ენტმა გ. დ-მეს გამოართვა, იყო 9500 აშშ დოლარი, საიდანაც მხოლოდ 7000 აშშ დოლარი გადასცა გ. მ-შვილს, რომელსაც 6 თვის განმავლობაში დარიცხული პროცენტებით უნდა შეედგინა 15200 აშშ დოლარი. აქვე მითითებულია, რომ ლ. ჟ-ენტმა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის 2500 აშშ დოლარი გამოართვა გ. მ-შვილს, რისი დაბრუნებაც ვედარ შეძლო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ჟ-ენტი ცნობილ იქნა დამნაშავედ თაღლითობაში და დაეკისრა 8200 აშშ დოლარის გადახდა გ. მ-შვილის უფლებამონაცვლის - ლ. მ-შვილის სასარგებლოდ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში გ. მ-შვილის მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელიდან ირკვევა, რომ მან იპოთეკის ხელშეკრულების დადებამდე მოვალე - გ. მ-შვილი წინასწარ იყო ინფორმირებული, რომ 2000 წლის 27 სექტემბერს დადებულ იპოთეკის ხელშეკრულებაში მითითებული და მისთვის გადაცემული თანხები სხვადასხვა იქნებოდა. მიუხედავად ამისა, იგი დათანხმდა იპოთეკით დატვირთა მისი კუთვნილი ბინა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულების მხარეებს, კრედიტორსა და მოვალეს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ ვალდებულებები, რომლებიც უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების ძალით, რომელიც წარმოიშობა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებით, კრედიტორი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება ან მისგან თავის შეკავება. მოვალე თავის მხრივ ვალდებულია, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კრედიტორის მოთხოვნა. მოცემულ შემთხვევაში, იპოთეკის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ გ. დ-მე და გ. მ-შვილი, რომელთაც ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ის გარემოება, რომ ლ. ჟ-ენტმა მოატყუა მოვალე - გ. მ-შვილი და თაღლითური გზით გამოსძალა ფული, არ გამოირიცხავს კრედიტორის უფლებას მოითხოვოს შესრულება და მოვალის ვალდებულებას - შეასრულოს კრედიტორის მოთხოვნა. ლ. ჟ-ენტი არ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს, ამიტომ ხელშეკრულების შესრულება ვერ იქნება დამოკიდებული მის თაღლითურ ქმედებებზე. ის ფაქტი, რომ ლ. ჟ-ენტს ბრალად შეერაცხა გ. მ-შვილის მიმართ თაღლითობა, ამ უკანასკნელს უფლებას აძლევს, მოითხოვოს თაღლითობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მაგრამ არა გ. დ-მესთან დადებული იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად არ დააკმაყოფილა ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილების განცხადება და არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ი., ლ., ნ. და ჰ. მ-შვილების კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 24 მარტის განჩინება;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

#ას-740-1038-09

22 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: სამკვიდრო მოწმობის გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 26 აგვისტოს ქობულეთის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართა მ. კ-მემ მოპასუხეების - დ. ო-ძისა და ნოტარიუს მ. კ-ძის მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა 2003 წლის 24 აპრილს დ. ო-ძის სახელზე გაცემული #2-138 კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობის გაუქმება და ნოტარიუს მ. კ-ძისათვის მისი, როგორც თ. ო-ძის მეუღლისა და პირველი რიგის მემკვიდრის სახელზე, ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე უძრავ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 1994 წლის 1 ნოემბრიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა აწ გარდაცვლილ თ. რ. ძე ო-ძესთან. იგი მეუღლესთან და მეუღლის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე სახლში, რომელიც წარმოადგენდა მამამთილის - რ. ო-ძის საკუთრებას. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდგომ საცხოვრებელი სახლი ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობით მიიღო თ. ო-ძემ, თუმცა ოფიციალურად თავის სახელზე არ გაუფორმებია. 2002 წლის 1 აგვისტოს მოსარჩელის მეუღლე გარდაიცვალა ისე, რომ მის სახელზე სახლის დარეგისტრირება ვერ მოასწრო. ამით ისარგებლა დ. ო-ძემ, რომელიც იყო თ. ო-ძის ბიძაშვილი და გაურკვეველი საფუძვლით სახლთმფლობელობა თავის საკუთრებაში აღრიცხა.

მოსარჩელის განმარტებით, მან 6-თვიან ვადაში მიმართა ნოტარიუსს თ. ო-ძის დანაშთი ქონების მემკვიდრეობით მიღების თაობაზე, მაგრამ ნოტარიუსმა უარი უთხრა, ხოლო მოგვიანებით გაიგო, რომ აღნიშნული სახლი საკუთრებაში აღურიცხავს დ. ო-ძეს.

სასარჩელო განცხადებაში აღნიშნულია, რომ მ. კ-მე სადავო სახლში ცხოვრებას აგრძელებს დღესაც. მან და მისმა მეუღლემ მემკვიდრეობა მიიღეს ფაქტობრივი ფლობით. შესაბამისად, მოთხოვნა ამავე ქონებაზე დ. ო-ძის სახელზე გაცემული სამკვიდრო მოწმობის გაუქმებისა და სამკვიდრო მოწმობის მის სახელზე გაცემის შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილება.

მოპასუხე დ. ო-ძემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მან მიიღო ბიძის - რ. ო-ძის სამკვიდრო, რომელსაც იმ დროს სხვა მემკვიდრე არ ჰყავდა. იგი მიუთითებდა მ. კ-ძის მიერ წარდგენილი ქორწინების მოწმობის სიყალბეზე, ასევე, თ. ო-ძის მიერ მამის - რ. ო-ძის სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიუღებლობაზე, ხოლო მისი მიღების ვადის აღდგენის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების საქმეში არარსებობაზე. ყოველივე აღნიშნული, მოპასუხის აზრით, სარჩელის მოთხოვნების დაკმაყოფილებას გამოიწვევდა.

სარჩელი არ ცნო, აგრეთვე, ნოტარიუსმა მ. კ-მემ. მისი განმარტებით, მართალია, მ. კ-მემ მეუღლის გარდაცვალების შემდგომ მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, მაგრამ იმის გამო, რომ იმ დროს ვერ წარადგინა ქორწინების მოწმობა, ნოტარიუსმა მოსარჩელეს უარი უთხრა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე. ამასთან, ვინაიდან ამავე ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის მისაღებად ნოტარიუსს მიმართა დ. ოქრიპირიძემაც, რომელმაც საამისოდ წარადგინა სათანადო საბუთები, სამკვიდრო მოწმობა ამ უკანასკნელის სახელზე გაიცა.

პირველი ინსტანციით საქმის განმხილველი მოსამართლის მიერ თვითაცილების შესახებ განჩინების მიღების შემდგომ მოცემული საქმე განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილებით მ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ გაცემული სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც დ. ო-ძემ მემკვიდრეობით მიიღო ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე უძრავი ქონება; ნოტარიუს მ. კ-ძეს დაევა მ. კ-ძის სახელზე გაეცა კანონისმიერი სამკვიდრო მოწმობა ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე მის მიერ ფაქტობრივი ფლობით მიღებულ უძრავ ქონებაზე.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი წარმოადგენდა რ. ო-ძის საკუთრებას, რომელიც გარდაიცვალა 1997 წლის 27 აგვისტოს. ამ უკანასკნელის ერთადერთ მემკვიდრეს წარმოადგენდა მისი შვილი თ. ო-ძე, რომელიც გარდაცვალებამდე მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ სახლში. საქმეში არსებული ქორწინების მოწმობის თანახმად, თ. ო-ძე და მ. კ-ძე რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდნენ 1994 წლის 1 ნოემბრიდან და აღნიშნული დროიდან მ. კ-ძე ცხოვრობდა ქობულეთში, ... ქ. #5-ში. თ. ო-ძის გარდაცვალების შემდეგ მითითებული საცხოვრებელი სახლი ნოტარიუს მ. კ-ძის მიერ 2003 წლის 24 აპრილს გაცემული სამკვიდრო მოწმობის თანახმად, მემკვიდრეობით მიიღო დ. ო-ძემ, რომელიც იყო თ. ო-ძის ბიძაშვილი, ანუ, მეხუთე რიგის მემკვიდრე.

საქმეში არსებული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მეუღლე (თ. ო-ძე) წარმოადგენდა რ. ო-ძის ერთადერთ კანონისმიერ პირველი რიგის მემკვიდრეს და 1997 წელს მამის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნული საცხოვრებელი სახლი ფაქტობრივი ფლობით მემკვიდრეობით მიიღო სწორედ მან მეუღლესთან - მ. კ-ძესთან ერთად.

სასამართლო სხდომაზე ნოტარიუს მ. კ-ძის განმარტებით ირკვეოდა, რომ მას მ. კ-ძემაც და დათო ო-ძემაც მიმართეს თ. ო-ძის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში, მაგრამ, ვინაიდან მ. კ-ძემ ვერ წარუდგინა ქორწინების მოწმობა, სამკვიდრო მოწმობა გასცა დ. ო-ძეზე. საქმეზე კი დგინდებოდა, რომ თ. ო-ძე გარდაიცვალა 2002 წლის 1 აგვისტოს, სამკვიდრო მოწმობაც კი გაიცა 2003 წლის 24 აპრილს დ. ო-ძეზე, როგორც რ. ო-ძის მემკვიდრეზე, მაშინ როდესაც რ. ო-ძე გარდაცვლილი იყო 1997 წელს.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მტკიცება იმასთან დაკავშირებით, რომ, ვინაიდან თ. ო-მე მამის გარდაცვალების დროს იხდიდა სასჯელს და იმყოფებოდა სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, ამიტომ მის მიერ გაშვებული იყო სამკვიდროს მიღების ექსთვიანი ვადა და ის ვერ მიიღებდა რ. ო-მის ქონებას მემკვიდრეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ როგორც საქმის მასალებით და მოწმეთა ჩვენებებით დგინდებოდა, თ. ო-მე ოჯახთან ერთად დაბადებიდან მის გარდაცვალებამდე, მათ შორის, 1997 წელს მამის გარდაცვალების დროსაც ცხოვრობდა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ სახლში. იგი ესწრებოდა მამის გარდაცვალებას და მას სხვა საცხოვრებელი ადგილი არ გააჩნდა.

საქალაქო სასამართლომ ასევე არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება მოსარჩელისა და თ. ო-მის ქორწინების მოწმობის სიყალბის თაობაზე. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ შეამოწმა ქორწინების მოწმობის ნამდვილობა და გამოითხოვა დამატებითი მტკიცებულებები, კერძოდ, 1994 წლის 1 ნოემბერს მ. კ-მესა და თ. ო-მეს შორის ქორწინების რეგისტრაციის სააქტო ჩანაწერი და მათი განცხადებების ქსეროასლები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ 1994 წლის 1 ნოემბერს თბილისში, გლდან-ნაძალადევის რაიონის მმარის განყოფილებაში შედგა მ. კ-მისა და თ. ო-მის ქორწინების რეგისტრაცია.

სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სამკვიდროს გახსნის ადგილის სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ-მის შემთხვევაში დაცული იყო სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლით გათვალისწინებული ორივე პირობა. შესაბამისად, სარჩელი დაკმაყოფილებას ექვემდებარებოდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. ო-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა. იმავდროულად, აპელანტმა იშუამდგომლა ქორწინების მოწმობაში ხელმოწერების ნამდვილობისა და მისი შედგენის ზუსტი დროის დადგენის მიზნით საქმეზე ექსპერტიზის დანიშვნა.

აპელანტი აღნიშნავდა, რომ სადავო უძრავი ქონების მესაკუთრე რ. ო-მე გარდაიცვალა 1997 წლის 27 აგვისტოს, რა დროსაც მის სამკვიდრო ქონებაზე გაიხსნა მემკვიდრეობა. მემკვიდრეობის ერთადერთი მემკვიდრე - აწ გარდაცვლილი თ. ო-მე (მ. კ-მის მეუღლე) სამკვიდრო ქონებას არ დაუფლდება, რამდენადაც იგი სამკვიდროს გახსნის მომენტში სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს. ამასთან, სადავო სამკვიდრო მოწმობის გაცემის დღიდან გასულია ორი წელი და ოთხი თვე, ანუ სამკვიდროს მიღებაზე შედავების კანონით დადგენილი ვადა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებით აღნიშნულ საქმეზე დაინიშნა ექსპერტიზა. ექსპერტის წინაშე გამოსაკვლევადა დაისვა შემდეგი საკითხი: 1994 წლის 1 ნოემბრის ქორწინების რეგისტრაციის #439 აქტზე შესრულებულია თუ არა ხელმოწერა თ. ო-მის მიერ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 5.03.2007წ. #848/01 დასკვნის თანახმად, გამოსაკვლევი ხელმოწერა შესრულებულია არა თ. ო-მის, არამედ, სხვა პირის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დ. ო-მისა და მისი წარმომადგენლის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა, დ. ო-მის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება, მ. კ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მართალია, მ. კ-მემ აცნობა სასამართლოს გამოუცხადებლობის მიზეზებზე, მაგრამ რამდენადაც განცხადებას არ ახლდა სამოქალაქო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი ისეთი დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობა ვერ ჩაითვლებოდა საპატიოდ და მისი შუამდგომლობა სასამართლო სხდომის გადადების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

იმის გათვალისწინებით, რომ მ. კ-მე და მისი წარმომადგენელი არ გამოცხადდნენ სასამართლო სხდომაზე, რომელთაც სხდომის დღისა და გამოუცხადებლობის სამართლებრივი შედეგების შესახებ ეცნობათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე-78-ე მუხლებით დადგენილი წესით და არ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 233-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისა და სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ ექვემდებარებოდა დაკმაყოფილებას, რამდენადაც აპელანტის მოთხოვნა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სამოქალაქო კოდექსის 1421-ე და 1336-ე მუხლების შესაბამისად იურიდიულად გამართლებული იყო.

დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე საჩივარი შეიტანა მ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

საჩივრის ავტორის განმარტებით, 2007 წლის 30 მაისს, სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე მისი გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო ავადმყოფობით, რომლის თაობაზეც წინასწარ აცნობა სასამართლოს. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 20 ივნისის განჩინებით მ. კ-მის საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 იანვრის განჩინებით მ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 20 ივნისის განჩინება.

2009 წლის 16 ივნისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მიმართა მ. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ამავე სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე წარმოების განახლება. იმავდროულად, განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ქობულეთში, ... ქ. #5-ში მდებარე დ. ო-მის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადება და დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე მოპასუხისათვის აღნიშნული ქონების გასხვისების, ან სხვაგვარი უფლებით დატვირთვის აკრძალვა.

განმცხადებლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ დ. ო-მემ საჩივრით მიმართა გენერალურ პროკურატურას, რის საფუძველზეც შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის გლდან-ნაძალადევის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება ქორწინების სააქტო ჩანაწერში თ. ო-მის ხელმოწერის სავარაუდო გაყალბების ფაქტზე. შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის 2008 წლის 5 აგვისტოს დასკვნით, ამავე სამმართველოსა და იუსტიციის სამინისტროს ექსპერტის ეროვნული ბიუროს ექსპერტების 2008 წლის 15 ოქტომბრის, ასევე იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 22 აპრილის ექსპერტიზის დასკვნებით გამოიკვეთა საქმეში მანამდე არსებული, 2007 წლის 5 მარტის ექსპერტიზის დასკვნის მცდარობა, კერძოდ, მათ საფუძველზე დადგინდა, რომ ქორწინების ჩანაწერის აქტში და განცხადებაში თ. ო-მის ხელმოწერები შესრულებულია უშუალოდ მის მიერ. თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის 2009 წლის 8 ივნისის დადგენილებით დადგინდა, რომ მ. კ-მისა და თ. ო-მის ქორწინების სააქტო ჩანაწერში თ. ო-მის ხელმოწერა გაყალბებული არ არის და სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო თ. ო-მის ხელმოწერის სავარაუდო გაყალბების ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა წინასწარი გამოძიება.

იმაზე მითითებით, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების დასრულებამდე შესაძლებელი იყო მოპასუხეს გაესხვისებინა ან სხვაგვარად დაეტვირთა სადავო უძრავი ქონება, რაც შეუძლებელს გახდიდა მის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულებას, მ. კ-მემ მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის სხდომაზე დაზუსტდა განმცხადებლის მოთხოვნა: ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განჩინებით მ. კ-მის განცხადება, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებისა და ქობულეთში, ... ქ. #5-ში, დ. ო-მის სახელზე რიცხულ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ზემომითითებული განჩინება უცვლელი დარჩა ამავე სასამართლოს 2009 წლის 13 ივლისის, ისევე, როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინებით მ. კ-მის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" პუნქტზე, რომლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ

მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, რამდენადაც კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რაც მოწინააღმდეგე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო იქნა გამოტანილი და სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა საქმეში განთავსებული მტკიცებულებების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ სააპელაციო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იურიდიულად გამართლებული იყო, შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე განცხადების ავტორს უნდა დაემტკიცებინა, რომ ახლად გამოვლინდა ისეთი გარემოება, რომელიც მიუთითებდა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის სამართლებრივი წანამდგვრების საფუძველების არარსებობაზე, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლი და რაზეც განცხადების ავტორს არ მიუთითებია.

სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს მიერ მ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა არა იმიტომ, რომ სასამართლო დაეყრდნო აპელანტის მიერ მითითებულ მტკიცებულებებს, კერძოდ, 2007 წლის 5 მარტის #848/01 ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც დადგენილი იყო, რომ ქორწინების სააქტო ჩანაწერში მამკვიდრებლის - თ. ო-ძის ხელმოწერა არ არსებობდა, არამედ იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აპელანტის მიერ მითითებული გარემოებები სასამართლომ დამტკიცებულად ჩათვალა.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის მითითება მისთვის საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებული ისეთი გარემოებებისა და მტკიცებულებების შეტყობის თაობაზე, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას, უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მ. კ-ძის მიერ ახალ გარემოებად მითითებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ექსპერტის 2008 წლის 5 აგვისტოს დასკვნა კიდევ რომ არსებულიყო საქმეში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოს მიერ შეფასებული არ იქნებოდა და მხარის არასაპატიოდ გამოუცხადებლობის გამო აპელანტის მოთხოვნა, რომელიც იურიდიულად გამართლებული იყო, დაკმაყოფილებოდა.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების დაუკმაყოფილებლობა სააპელაციო სასამართლომ იმით დაასაბუთა, რომ ახალ გარემოებად დასახელებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამმართველოს 2008 წლის 5 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნა საქმეში მისი არსებობის შემთხვევაშიც, დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას, სასამართლოს მიერ შეფასებული არ იქნებოდა და მხარის არასაპატიოდ გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აპელანტის მოთხოვნა, რომელიც იურიდიულად გამართლებული იყო, დაკმაყოფილებოდა. სააპელაციო სასამართლოს მოცემული მსჯელობა იურიდიულად დაუსაბუთებელია. მართალია, სასამართლო დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას მხარის დაუსწრებლად იღებს გადაწყვეტილებას, მაგრამ ამავე დროს სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად უნდა ამართლებდეს სასარჩელო მოთხოვნას. აქედან გამომდინარე, მარტოდენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითება არ არის საკმარისი. სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, სარჩელში აღნიშნული გარემოებები რა ნაწილში ამართლებს იურიდიულად სასარჩელო მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანისას პრიორიტეტი მიანიჭა მხარის გამოუცხადებლობას და არა ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით იურიდიულად გამართულ მოთხოვნას, რაც ეწინააღმდეგება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის კანონით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად განმცხადებელ მ. კ-ძის საბოლოო მოთხოვნას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში წარმოადგენდა ამავე სასამართლოს 2007 წლის 30 მაისის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება. აღნიშნული მოთხოვნის საფუძველად იგი მიუთითებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს 2008 წლის 5 აგვისტოს ექსპერტის დასკვნაზე, ამავე სამმართველოსა და იუსტიციის სამინისტროს

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტების 2008 წლის 15 ოქტომბრის, ასევე იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის 22 აპრილის ექსპერტიზის დასკვნებზე, რომელთა თანახმად ქორწინების ჩანაწერის აქტში და განცხადებაში თ. ო-ძის ხელმოწერები შესრულებულია უშუალოდ მის მიერ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიერ დასახელებული ზემოაღნიშნული საფუძველი შეესაბამება არა ბათილად ცნობის, არამედ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების განახლების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს. მიუხედავად ამისა, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი განცხადება უსაფუძველოა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეზე წარმოების განახლების წინაპირობების არსებობის თვალსაზრისითაც.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 387-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების მიხედვით, თუ სააპელაციო საჩივრის აღმძვრელი პირი არ გამოცხადდება საქმის ზეპირ განხილვაზე, მოწინააღმდეგე მხარის თხოვნით სააპელაციო სასამართლო გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომელიც შეიძლება დაემყაროს მომჩივანის ახსნა-განმარტებას. ამ დროს გამოიყენება ნორმები პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230.1 მუხლის თანახმად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში კანონიერ ძალაში შესული ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 30 მაისის გადაწყვეტილების გამოტანას საფუძველად დაედო და ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო სასამართლო სხდომაზე მ. კ-ძის გამოუცხადებლობა, რა დროსაც სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა არა საქმეში არსებული მტკიცებულებების, მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 5.03.2007წ. #848/01 დასკვნის შეფასების საფუძველზე, არამედ იმის გამო, რომ აპელანტის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ჩაითვა. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის საპროცესო თავისებურებებიდან გამომდინარე, ამ დროს საქმე არსებითი არ განხილულა და 5.03.2007წ. ექსპერტიზის დასკვნის გამოკვლევა. აღნიშნულის გამო საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში დასახელებული ექსპერტთა დასკვნები, რომლებიც კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით 5.03.2007წ. ექსპერტიზის დასკვნას აქარწყლებს, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის წარმოების ბედზე გავლენას ვერ მოახდენდა თავის დროზე მათი წარდგენის შემთხვევაშიც და ისინი მოცემულ საქმეზე წარმოების განახლების საფუძველი ვერ იქნება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. მ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 13 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

#ას-618-927-09

8 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

თ. ო-მემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ა. ა-ოვას მიმართ. მან მიუთითა, რომ ... ქ. #3 საკუთრების უფლებით ირიცხება ა. ა-ოვას სახელზე. აღნიშნული ბინის შეძენის დროისათვის იქ ცხოვრობდნენ თ. ო-ძის, ე. კ-ოვასა და ნ. ბ-შვილის ოჯახები. 1966 წელს ერთ-ერთი მობინადრის გასასტუმრებლად მან გადაიხადა 5 ათასი მანეთი და იგი შევიდა გამონთავისუფლებული სახლის ორ ოთახში. ისინი შეთანხმდნენ, რომ ფულის დაბრუნების შემთხვევაში ბინას გამოიყენებდა საცხოვრებლად, აგრეთვე, თუ ის მოითხოვდა ბინის დაცლას, შესაბამისი კომპენსაციის გადახდის შემდეგ გამოათავისუფლებდა. ა. ა-ოვას არ დაუბრუნებია გადახდილი თანხა. აღნიშნულ ბინაში იგი ცხოვრობს 1966 წლიდან. აქედან გამომდინარე, მან მოითხოვა, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, აღნიშნული ბინის მესაკუთრედ ცნობა.

ა. ა-ოვამ შეგებებული სარჩელი შეიტანა სასამართლოში. მან მიუთითა, რომ მის საკუთრებაში არსებული სახლის ერთ ოთახში, ჩაწერის გარეშე, ქირით ცხოვრობს თ. ო-ძე. მიუხედავად არაერთი გაფრთხილებისა, იგი არ ათავისუფლებს ბინას, რის გამოც მოითხოვა თ. ო-ძის ბინიდან გამოსახლება.

თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 13 მაისის გადაწყვეტილებით შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა, სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. ო-ძე ცნობილ იქნა თბილისში, ... შესახვევ #3-ში მდებარე სახლის 19/46-ის მესაკუთრედ, რომელიც ირიცხება ა. ა-ოვას სახელზე.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. ა-ოვამ.

თბილისის საოლქო სასამართლოს 1999 წლის 23 აგვისტოს განჩინებით ა. ა-ოვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა მთაწმინდის რაიონის სასამართლოს 1999 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით თ. ო-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ა. ა-ოვას შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, - თ. ო-ძე გამოსახლებულ იქნა ა. ა-ოვას სახელზე რიცხული სახლიდან.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა თ. ო-ძემ.

თბილისის საოლქო სასამართლოს 2003 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით თ. ო-ძის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა - გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი. თ. ო-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, არ დაკმაყოფილდა ა. ა-ოვას შეგებებული სარჩელი.

2008 წლის 26 დეკემბერს ვ. ა-ევმა და გ. რ-მემ განცხადება შეიტანეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმისწარმოების განახლება.

განმცხადებლებმა მიუთითეს, რომ ისინი არიან ა. ა-ოვას შვილები. მათ სამკვიდრო მიიღეს 2008 წლის 7 ოქტომბერს. 1958 წლის 22 აპრილს კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო განაჩენი, რომლის თანახმად, ა. ა-ოვას სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მოპასუხე თამარ ო-ძეს, რომელიც სადავო საცხოვრებელი სახლის მდგმური იყო, დაეკისრა ბინის ქირის - 260 მანეთისა და 96 კაპიკი დავალიანების გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. 1962 წლის 21 ივნისს კალინინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის მიმართვის საფუძველზე ა. ა-ოვას ეცნობა, რომ ყოველგვარი მშენებლობები ეწარმოებინა მისი ეზოს მხრიდან და ეს სამუშაოები დაემთავრებინა 1962 წლის 15 ივლისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმასკომი ნებას დართავდა ა. ა-ოვას მდგმურებს, აწარმოონ შეკეთებითი სამუშაოები ბინის ქირის ანგარიშში სასამართლოს მეშვეობით. აღნიშნული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თ. ო-ძე, რომლის უფლებამონაცვლეს წარმოადგენს თ. ო-ძე, არის სადავო საცხოვრებელი ოთახების მოქირავნე და არა "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" კანონით გათვალისწინებული მოსარგებლე. აღნიშნული დოკუმენტების სასამართლოში წარდგენის შემთხვევაში საოლქო სასამართლო მათთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას მიიღებდა. განმცხადებლებმა მოითხოვეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმისწარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნული განცხადება მიიღო წარმოებაში და დაინიშნა სასამართლო სხდომა აღნიშნულთან დაკავშირებით.

2009 წლის 26 მარტს ვ. ა-ევმა და გ. რ-მემ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიმართეს ახალი განცხადებით და მოითხოვეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმისწარმოების განახლება.

განმცხადებლების მითითებით, ახლად აღმოჩენილი დოკუმენტი, სადაც თ. ო-ძე დასახელებულია როგორც მდგმური და არა საცხოვრებელი ფართით მოსარგებლე, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ა-ოვასა და თ. ო-ძეს შორის იყო ქირავნობის ურთიერთობა. აღნიშნული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო მიიღებდა მათთვის ხელსაყრელ გადაწყვეტილებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 19 მაისის განჩინებით ვ. ა-ეკისა და გ. რ-ძის უფლებამონაცვლე ა. რ-ძის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ, არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. რ-ძემ. მან მიუთითა, რომ სასამართლომ ახლად აღმოჩენილ გარემოებად არ ჩათვალა 1958 წლის გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილებიდან ირკვევა, რომ ო-ძეები ქირით ცხოვრობდნენ მასთან. გარდა ამისა, დადგინდა წერილის სიყალბე და ისიც, რომ საოლქო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია ა. ა-ოვასა და თ. ო-ძეს შორის დადებული ქირაფნობის ხელშეკრულებაზე.

ვ. ა-ეკმა კერძო საჩივარი შეიტანა და მიუთითა, რომ მათ განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმისწარმოების განახლების შესახებ შეიტანეს კანონით დადგენილ ვადაში. სააპელაციო სასამართლოში 26 მარტს მათ შეიტანეს დაზუსტებული განცხადება. სააპელაციო სასამართლომ კი აღნიშნული განცხადება დატოვა განუხილველად ვადის გაშვების მოტივით, რაც არასწორია. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ ა. რ-ძის კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში.

2008 წლის 26 დეკემბერს ვ. ა-ეკმა და გ. რ-ძემ განცხადება შეიტანეს თბილისის სააპელაციო სასამართლოში და მოითხოვეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება.

2009 წლის 26 მარტს ვ. ა-ეკმა და გ. რ-ძემ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას მიმართეს დაზუსტებული განცხადებით და მოითხოვეს, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმისწარმოების განახლება.

მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა განუხილველად ვ. ა-ეკისა და გ. რ-ძის 2009 წლის 26 მარტის განცხადება. აღნიშნული არის არა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ ახალი განცხადება, არამედ დაზუსტებული განცხადება. მხარემ აღნიშნული განცხადებით დააზუსტა თავისი მოთხოვნა, რომელიც 2008 წლის 26 დეკემბერს თავისი თავდაპირველი განცხადებით დააყენა. ორივე განცხადებაში აღნიშნულია ერთი და იგივე მოთხოვნა და საფუძველი. ორივე განცხადებაში ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიიჩნევეს განმცხადებელი 1958 წლის 22 აპრილის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენსა და კალინინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის მიმართვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს, ვადის დარღვევის მოტივით, არ უნდა დაეტოვებინა აღნიშნული განცხადება განუხილველად.

კონკრეტულ შემთხვევაში დადგინდა, რომ კერძო საჩივრის ავტორი ა. რ-ძე წარმოადგენს ვ. ა-ეკისა და გ. რ-ძის უფლებამონაცვლეს. ვ. ა-ეკი და გ. რ-ძე ა. ა-ოვას შვილები არიან. შესაბამისად, ა. რ-ძე ა. ა-ოვას უფლებამონაცვლეა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს იმაზე, რომ სადავო ურთიერთობასთან დაკავშირებული უფლება, ვალდებულებები, რაც გააჩნდა ა. ა-ოვას, ვრცელდება ასევე ა. რ-ძეზე.

კერძო საჩივრის ავტორ ა. რ-ძის მითითებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებას წარმოადგენს 1958 წლის 22 აპრილის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი (გადაწყვეტილება) ა. ა-ოვას სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ, რომლითაც მოპასუხე თ. ო-ძეს, რომელიც საცხოვრებელი სადგომის მდგმურია, დაეკისრა ბინის ქირის - 260 მანეთისა და 96 კაპიკის დავალიანების გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ. ასევე, კალინინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის მიმართვის საფუძველზე ა. ა-ოვას ეცნობა, რომ ყოველგვარი შეკეთებითი სამუშაოები ეწარმოებინა მისი ეზოს მხრიდან და ეს სამუშაოები დაემთავრებინა 1962 წლის 15 ივლისამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში აღმასკომი ა. ა-ოვას მდგმურებს მისცემდა უფლებას, ქირის სანაცვლოდ ჩაეტარებინათ სამშენებლო სამუშაოები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

საკასაციო პალატას დაუსაბუთებლად მიაჩნია მოთხოვნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ნორმით კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ საქმის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმებისას, ე.ი. სასარჩელო მოთხოვნისა და შესაგებელის კანონიერების დადგენისათვის, ამასთან, კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები, უნდა არსებობდნენ საქმის განხილვის დროს (გადაწყვეტილების გამოტანამდე) და არა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ; საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული გარემოებები და მტკიცებულებები ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას; ამასთან, კანონმდებლის მოთხოვნაა, რომ მხარისათვის ცნობილი უნდა გახდეს ამ გარემოებებისა და მტკიცებულებების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ და ბოლოს, მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარემ უნდა დაადასტუროს მის მიერ ახალ გარემოებებისა და მტკიცებულებების წარმოდგენლობაში ბრალის არ არსებობის ფაქტი. ამრიგად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ ფაქტი უნდა არსებობდეს გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ამის შესახებ მხარისათვის ცნობილი არ იყო. ამასთან, თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

კონკრეტულ შემთხვევაში არ დასტურდება, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ 2003 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით განხილულ საქმეში მონაწილე მხარისათვის - ა. ა-ოვასათვის არ იყო ცნობილი 1958 წლის 22 აპრილის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენის (გადაწყვეტილების) შესახებ, რომელიც არ არის მითითება, რომ გამოტანილია მის დაუსწრებლად, შესაბამისად, ა. ა-ოვამ იცოდა ამ პროცესუალური დოკუმენტის შესახებ და ასევე არ დასტურდება გარემოება იმის შესახებ, რომ ა. ა-ოვამ არ იცოდა კალინინის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის მიმართვის შესახებ, რომლის უშუალო ადრესატს იგი წარმოადგენდა. ამრიგად, კონკრეტული დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა ენიჭება არა იმას, თუ როდის გახდა ცნობილი ამ გარემოებების შესახებ ა. ა-ოვას უფლებამონაცვლებისათვის და რა საპატიო მიზეზი გააჩნიათ მათ, არამედ, იმას, თუ რა მტკიცებულებები მიუთითებს იმაზე, რომ ა. ა-ოვამ არ იცოდა მითითებული გარემოებების შესახებ, რაც არ დასტურდება (მაგ. რამ განაპირობა, რომ ა. ა-ოვამ არ მიაკითხა სასამართლოს მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების მისაღებად, თუ ესეთ ფაქტს ჰქონდა ადგილი).

ამასთან ერთად საკასაციო პალატა არ იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ 1958 წლის 22 აპრილის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენი (გადაწყვეტილება), რომლითაც განისაზღვრა მდგმურის სტატუსი, მიუთითებს ქირავნობის ხელშეკრულებაზე.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ტერმინები: "მდგმური", "დამქირავებელი", "მოსარგებლე" ზოგადად უთითებს ნივთით სარგებლობაზე, მაგრამ იურიდიული კვლევის საგანს ამ შემთხვევაში წარმოადგენს ის სამართლებრივი წინაპირობები, რომლებიც განსაზღვრავს ამ ტერმინთა მნიშვნელობას. "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომობილი ურთიერთობის შესახებ" კანონის პირველი მუხლის თანახმად, ეს კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1921 წლის 25 თებერვლიდან 1996 წლის 27 ივნისამდე წარმომობილი იმ ურთიერთობებს, რომლებიც სპეციალურ სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ამ კანონმა მოაწესრიგა ურთიერთობა, რომელიც, ფაქტობრივად, არსებობდა საზოგადოებაში და ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად განსაზღვრა ტერმინთა მნიშვნელობა, კერძოდ, "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომობილი ურთიერთობის შესახებ" საქართველოს კანონის 1¹ მუხლის თანახმად, კანონში გამოყენებულ იმ ტერმინებს აქვს მნიშვნელობა, რომელიც გამოიყენება ამ კანონის მიზნებისათვის. კონკრეტულ შემთხვევაში ტერმინი "მოსარგებლის" განმარტება დაუშვებელია იმ კონტექსტის გათვალისწინების გარეშე, რაც მოცემულია "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმომობილი ურთიერთობის შესახებ" საქართველოს კანონის 1¹ მუხლის "ა" ქვეპუნქტში. აღნიშნული ნორმა მოიცავს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს ამ კანონის მიზნებისათვის გამოყენებულ ტერმინ "მოსარგებლეს", რასაც არ იცნობდა ამ კანონის გამოცემამდე (1998 წლის 25 ივნისი) მოქმედი კანონმდებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1958 წლის 22 აპრილის კალინინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს განაჩენში (გადაწყვეტილებაში) მითითებული ტერმინი "მდგმური" არ შეიძლება გახდეს

იმ ფაქტობრივი გარემოებების გამომრიცხავი ელემენტი, რომლებიც გათვალისწინებულია ტერმინში "მოსარგებლე" "საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ" საქართველოს კანონის 1¹ მუხლის "ა" ქვეპუნქტის თანახმად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟის ოდენობა კერძო საჩივარზე შეადგენს 50 ლარს.

მოცემულ შემთხვევაში, ა. რ-მის წარმომადგენელმა კ. ც-ელმა კერძო საჩივარზე გადაიხადა 300 ლარი, საკასაციო პალატას მიაჩნია, ვინაიდან კერძო საჩივარზე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია სახელმწიფო ბაჟი 50 ლარი, მას უნდა დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი 300 ლარიდან 250 ლარი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. რ-მის კერძო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 მარტის განჩინება;
3. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 19 მაისის განჩინება;
4. ა. რ-მის წარმომადგენელ კ. ც-ელს დაუბრუნდეს მის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი - 250 ლარი;
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველები

განჩინება

#ა-2441-ა-30-08

9 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ა. ჭ-მისა და დ. ჭ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ამ საქმეზე თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 21 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ე. ს-ულის, ა. ჭ-მისა და დ. ჭ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა: აღიარებულ იქნა, ერთი მხრივ, ა. ჭ-მის, ე. ს-ულის, დ. ჭ-მისა და მეორე მხრივ - ამხანაგობა "ჭ-მე-37^ბ-ს შორის სახელმწიფო ურთიერთობის (ნარდობის) არსებობა. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე, აღიარებულ იქნა მოსარჩელეთა უფლება, ამხანაგობა "ჭ-მე-37^ბ-ს" სახელზე რიცხული ქ. თბილისში, ... გამოირის 37^ბ-ში მდებარე მშენებარე საცხოვრებელი სახლის დამთავრებისა და ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ საკუთრებაში მიიღონ მხარეთა შორის დადებული 2000 წლის 10 ოქტომბრის, 2001 წლის 10 იანვრის ხელშეკრულებით განსაზღვრული შემდეგი ფართი:

1. ა. ჭ-მემ - ... გამზ. 37^ბ-ში, მდებარე საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე 110კვ.მ, მე-6 სართულზე - 380კვ.მ, მე-7 სართულზე - 190კვ.მ, მე-10 სართულზე - 440კვ.მ და 12 ავტოსადგომი.

2. ე. ს-ულმა - იგივე მისამართზე, ამავე სახლში მე-8 სართულზე 390კვ.მ და 4 ავტოსადგომი. მე-6 სართულზე - 300კვ.მ 3 ავტოსადგომი.

3. დ. ჭ-მემ - იმავე სახლში მე-7 სართულზე 480კვ.მ და 5 ავტოსადგომი.

2008 წლის 24 დეკემბერს ი. ა-ელმა განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის საფუძველზე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა საკასაციო პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

განმცხადებლის განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება დაემყარა იმ გარემოებას, რომ ე. ს-ულმა, ა. ჭ-ძემ და დ. ჭ-ძემ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე გადაიხადეს შეთანხმებული თანხა, რაც იმას ნიშნავდა, რომ სამუშაო შესრულდა შემკვეთის საშუალებით. განმცხადებლის მითითებით, გადაწყვეტილების გამოტანისას არ ყოფილა ცნობილი, რომ ა. ჭ-ძეს, დ. ჭ-ძესა და ე. ს-ულს ხელშეკრულებებში განსაზღვრული ფართის სანაცვლოდ თანხა არ გადაუხდიათ (თანხა გადაიხადა სხვა პირმა, აწ გარდაცვლილმა ზ. ჭ-ძემ - ა. და დ. ჭ-ძეების მამამ) და გარდა ამისა, თანხა გადაცემულ იქნა არა ამხანაგობისათვის, არამედ სხვა პირისათვის - გურამ სიხარულიძისათვის, რომელსაც ამხანაგობისათვის თანხა არ გადაუცია. აღნიშნული დასტურდება სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის 2005 წლის 21 აპრილს გამოტანილი დადგენილებით. განმცხადებლის მოსაზრებით, თუკი სასამართლოსათვის ცნობილი იქნებოდა ის გარემოება, რომ ამხანაგობასთან ე. ს-ულის, ა. ჭ-ძისა და დ. ჭ-ძის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ფიქტიური იყო, ვინაიდან მათ თანხა არ გადაუხდიათ, მაშინ საქმეზე არ გამოიტანდა ამგვარ გადაწყვეტილებას. შესაბამისად, ი. ა-ელმა, როგორც საქმის განხილვაში მონაწილე მესამე პირმა, რომელიც წარმოადგენს ამხანაგობა "ჭ-ძე-37^ა-ს" წევრს და რომლის განმარტებითაც, აღნიშნული გადაწყვეტილებით მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, განცხადების საფუძველები, მოისმინა მხარეთა განმარტებები და თვლის, რომ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ე"-ს "ვ" ქვეპუნქტებში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს წარმოედგინა კანონიერ ძალაში შესული და იმავე სარჩელზე გამოტანილი გადაწყვეტილება, ან მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების თანახმად, 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში მითითებული საფუძველები კიდევ რომ დადასტურდეს, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ორი პირობის არსებობისას: პირველი, ფაქტი არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე, მაგრამ ცნობილი არ იყო მანამდე და, მეორე, მხარემ არ იცოდა ამ ფაქტის თაობაზე, ამასთან, თავის ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

საკასაციო სასამართლო, მოცემულ შემთხვევაში თვლის, რომ ი. ა-ელის მიერ წარმოდგენილი ნ. ო-ძის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით აღძრული სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის საგამოძიებო სამმართველოს გამომძიებლის მიერ 2005 წლის 21 აპრილს გამოტანილი დადგენილებით დადგენილი გარემოებები ვერ ჩათვლება ახლად აღმოჩენილ გარემოებად, ვინაიდან საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვის დროს ი. ა-ელი მონაწილეობას ღებულობდა როგორც მესამე პირი, ამასთან, იყო ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა "ჭ-ძე 37^ა-ს" ერთ-ერთი დამფუძნებელი და სასამართლოს წინაშე არც მას და არც ამხანაგობის თავმჯდომარეს,

თანხის გადახდის ნამდვილობა სადავოდ არ გაუხდიათ. განმცხადებელმა ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა იმ გარემოებებზე, რომ ამხანაგობისათვის თანხა გადახდილი არ ყოფილა და წარმოედგინა შესაბამისი მტკიცებულებები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 430-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ი. ა-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2003 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

განჩინება

#ას-801-1088-09

16 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ჯ. ც-შვილის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ჯ. ც-შვილის სარჩელი დაკმაყოფილდა - გაუქმდა ნოტარიუს მ. ფარჯიკიას მიერ 1999 წლის 17 მარტს თბილისში, სადგურის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ლიტ "ა"-სავაჭრო-სასარგებლო ფართიდან (2635 კვ.მ-დან) არასაცხოვრებელ 700 კვ.მ-ზე ჯ. ც-შვილსა და დ. ქ-ვას შორის შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მითითებული ფართი საჯარო რეესტრში აღირიცხა ჯ. ც-შვილის საკუთრებად; თბილისში, სადგურის მოედნის მიწისქვეშა გადასასვლელში მდებარე ლიტ "ა" სავაჭრო-სასარგებლო ფართიდან (2635 კვ.მ-დან) არასაცხოვრებელ 700 კვ.მ გამოთხოვილ იქნა დ. ქ-ვას მფლობელობიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 თებერვლის განჩინებით დ. ქ-ვას საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2009 წლის 6 აპრილს დ. ქ-ვას წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლით:

განმცხადებლის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ დ. ქ-ვას ჯ. ც-შვილისათვის არ ჰქონდა გადახდილი 1999 წლის 17 მარტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა. საქმის განხილვისას, დ. ქ-ვამ ვერ შეძლო, წარმოედგინა მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მას ჯ. ც-შვილისათვის არათუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, არამედ გაცილებით მეტი თანხა ჰქონდა გამოგზავნილი, ვინაიდან იგი არ ცხოვრობდა საქართველოში, არ გააჩნდა ჯ. ც-შვილისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ხელწერილები, რადგან თანხის გადახდას ახორციელებდა მისი ძმა - რ. ქ-ვა, რომელსაც თანხის გადახდის დამადასტურებელი ხელწერილები ჰქონდა დაკარგული და, შესაბამისად, ვერ დაადასტურა თანხის გადახდის ფაქტი. 2009 წლის მარტში, ნაპოვნი იქნა რ. ქ-ვას კუთვნილი საქალაქო, სადავო

მოთავსებული იყო ის ხელწერილები, რომლითაც დასტურდებოდა ჯ. ც-შვილისათვის და მისი კრედიტორებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე გაცილებით მეტი თანხის გადახდის ფაქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, მოითხოვა ახალად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინებით დ. ქ-ვას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და განახლდა ჯ. ც-შვილის სააპელაციო საჩივარზე საქმის წარმოება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებაზე.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველად მიუთითა ის გარემოება, რომ დ. ქ-ვამ ვერ შეძლო, წარმოედგინა მისი მხრიდან ხელშეკრულების ჯეროვნად შესრულების დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ახალი მტკიცებულებებით დადგენილ იქნა, რომ მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებული ჰქონდა, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, განცხადება უნდა დაკმაყოფილებულიყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ჯ. ც-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება იმ საფუძველით, რომ დ. ქ-ვას მიერ მითითებული ახლად აღმოჩენილი გარემოებაც რომ ყოფილიყო წარმოდგენილი თავის დროზე სასამართლო პროცესზე, ეს მაინც ვერ მოახდენდა გავლენას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ვინაიდან აღნიშნულით ვერ მტკიცდებოდა ის ფაქტები და გარემოებები, რომლებზეც აპელირებდა დ. ქ-ვა სასამართლო დავის განხილვის დროს, კერძოდ, მისი მტკიცებით ნასყიდობის ფასი გადახდილი ჰქონდა ხელშეკრულების დადებამდე, რაც მითითებული გადახდის ხელწერილებით არ დასტურდებოდა, რადგან აღნიშნული ხელწერილებიდან გამომდინარე, თანხის გადახდა განხორციელდა ხელშეკრულების დადების შემდგომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ჯ. ც-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტში აღნიშნული საფუძველებით საქმის განახლება დასაშვებია, თუ მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისას მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

მითითებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, საქმის წარმოების განახლება დასაშვებია ისეთ შემთხვევაში, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოების ან მტკიცებულების შესახებ, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ახალი გარემოება ან მტკიცებულება, მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საქმის წარმოების განახლების საფუძველი, თუ მტკიცებულება არსებობდა გადაწყვეტილების მიღებამდე, მხარემ არ იცოდა მისი არსებობის შესახებ და მას თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მიეთითებინა ახალ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე.

განსახილველ შემთხვევაში, დ. ქ-ვა საქმის არსებითად განხილვის დროს უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებული იყო, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა მან ვერ შეძლო, ვინაიდან არ იცოდა მათი არსებობის შესახებ, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები (თანხის გადახდის ხელწერილები)

არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანამდე და მოძიებულ იქნა მას შემდგომ, რაც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, სწორად განაახლა საქმის წარმოება, ვინაიდან აღნიშნული მტკიცებულებები ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას.

რაც შეეხება ჯ. ც-შვილის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ წარმოდგენილ მტკიცებულებებს არ შეიძლებოდა ჰქონოდა მნიშვნელობა საქმის წარმოების განხლებისათვის, ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის დროს მოპასუხე უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ მის მიერ ვალდებულება შესრულებული იყო ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებებით კი ირკვევა, რომ ვალდებულება მოპასუხემ შეასრულა ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული დროის შემდგომ, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, ვინაიდან საქმის არსებითად განხილვის დროს სადავოდ არ გამხდარა ვალდებულების ჯეროვნად, ვადაში შესრულება, არამედ მოსარჩელის მხრიდან სადავოდ იყო გამხდარი მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. შესაბამისად, სასამართლოს არ გამოუკვლევია ვალდებულების ვადაში შესრულების ფაქტი და ამდენად, დავის საგნიდან გამომდინარე, მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა მისი მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურება და არა ამ ვალდებულების ვადაში შესრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ჯ. ც-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ივნისის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლები განჩინება

#ას-871-1157-09 9 ნოემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 4 მაისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა ა. ა-ძემ.

განმცხადებელმა მიუთითა, რომ 2008 წლის 31 ოქტომბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება და მოსარჩელების: მ. ჭ-შვილის უფლებამონაცვლე გ., დ. და ე. ჭ-შვილების, გ. ნ-ძის, ზ. გ-ძის, მ. ყ-შვილის და ე. ნ-ძის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - სს "ტრესტი ქუთმშენს" დაევალა აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა დღის წესრიგით: "სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ა. ა-ძის სამეთვალყურეო საბჭოს შეამადგენლობაში დატოვების მიზანშეწონილობის მიზნით." აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 23 მარტის განჩინებით დარჩა უცვლელად. საქმის წარმოების განახლების მოთხოვნის საფუძვლად განმცხადებელი მიუთითებდა შემდეგ გარემოებებზე: სს "ტრესტი ქუთმშენს" აქციონერთა კრების 2003 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით სააქციო საზოგადოება გაიყო ორ

ნაწილად, რომელთაგან ერთს ეწოდა სს "ტრესტი ქუთმშენი", ხოლო მეორეს - "ქუთმშენი - 2004". სს "ტრესტი ქუთმშენი" დარეგისტრირდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში 2005 წლის 22 ივნისს. შესაბამისი ცვლილება შევიდა როგორც საწესდებო კაპიტალში, ასევე, აქციონერთა სიაში. განმცხადებლის განმარტებით, სს "ტრესტი ქუთმშენის" გაყოფამდე შპს "კომპანია ცენტრთან" დადებული იყო #208 ხელშეკრულება, რომლითაც ხორციელდებოდა აქციათა რეესტრის წარმოება. აღნიშნული ორგანიზაცია შეისყიდა შპს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელმა რეესტრატორმა", რომელსაც ეცნობა ხელშეკრულების გაუქმების შესახებ, თუმცა კვლავ განაგრძობდა "ტრესტი ქუთმშენის" აქციათა რეესტრიდან ამონაწერების გაცემას. განმცხადებელი მიუთითებს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 31 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე #208 ხელშეკრულება 2003 წლის 16 სექტემბრიდან გაუქმებულად იქნა აღიარებული, რაც ადასტურებს, რომ მ. ჭ-შვილის უფლებამონაცვლე გულინა, დ. და ე. ჭ-შვილები, გ. ნ-ძე, ზ. გ-ძე, მ. ყ-შვილი და ე. ნ-ძე არ წარმოადგენენ ახლად შექმნილი სს "ტრესტი ქუთმშენის" აქციონერებს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განჩინებით სს "ტრესტი ქუთმშენის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ა. ა-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და თბილისის საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მონაწილეობას არ იღებდნენ ერთი და იგივე მხარეები, აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის დაუსწრებელ გადაწყვეტილებას, რომლითაც სს "ტრესტი ქუთმშენსა" და შპს "კომპანია ცენტრს" შორის 2001 წლის ოქტომბერში დადებული #208 ხელშეკრულება აღიარებულ იქნა გაუქმებულად 2003 წლის 16 სექტემბრიდან, ვერ მიენიჭება პრეიუდიციული ძალა და, შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები. სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული ფაქტები მტკიცებულებითი ძალის მინიჭების შემთხვევაშიც ვერ იქნება ახლად აღმოჩენილი გარემოება, რადგან დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ 2003 წლის 16 სექტემბრიდან გაუქმებულად იქნა აღიარებული სს "ტრესტი ქუთმშენსა" და შპს "კომპანია ცენტრს" შორის 2001 წლის #208 ხელშეკრულება, ხოლო მითითებული ფაქტობრივი გარემოების თაობაზე საქმის არსებითად განხილვისას ა. ა-ძეს არ მიუთითებია.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 17 ივნისის განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ კერძო საჩივრით გასაჩივრა ა. ა-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. კერძო საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მის მიერ წარდგენილ განცხადებაში ზედმიწევნით, ნათლად და გასაგებად იქნა მითითებული ფაქტობრივ გარემოებებზე; სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები და იურიდიულად ვერ დაასაბუთა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტის გამოყენების მიზანშეუწონლობა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო წარმოდგენილი კერძო საჩივრისა და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ა-ძის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორი (განმცხადებელი) ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამდგარ შედეგზე, რომლითაც სს "ტრესტი ქუთმშენსა" და შპს "კომპანია ცენტრს" შორის 2001 წლის ოქტომბერში დადებული ხელშეკრულება აღიარებულ იქნა გაუქმებულად 2003 წლის 16 სექტემბრიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველად ითვალისწინებს მხარის მიერ მხოლოდ ისეთი გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ შეტყობას, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. კერძო საჩივრის ავტორის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებად მითითებული თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილების წარდგენა იმ საქმის განხილვის დროს, რომელზე წარმოების განახლებასაც განმცხადებელი ითხოვს, ვერ იმოქმედებდა მოცემულ შემთხვევაში საქმის შედეგზე, რამდენადაც აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები ვერ იქნებოდა გაზიარებული სასამართლოს მიერ როგორც უდავო ფაქტები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, რომლის თანახმად, დამტკიცებას არ საჭიროებენ ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით განხილულ საქმეზე მხარეები იყვნენ, ერთი მხრივ, ა. ა-ძე და, მეორე მხრივ, მ. ჭ-შვილის უფლებამონაცვლე გულინა, დ. და ე. ჭ-შვილები, გ. ნ-ძე, ზ. გ-ძე, მ. ყ-შვილი, ე. ნ-ძე, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმეზე მხარეები არიან ა. ა-ძე და შპს "საქართველოს ფასიანი ქაღალდების გაერთიანებული რეესტრატორი".

ამდენად, ამ შემთხვევაში 106-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული აუცილებელი პირობა - მხარეთა შემადგენლობის იგივეობა სახეზე არ არის.

გარდა ამისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის მე-3 ნაწილი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განმცხადებლის მოთხოვნას დასაშვებად მიიჩნევს, თუკი მხარეს თავისი ბრალის გარეშე არ ჰქონდა შესაძლებლობა, საქმის განხილვისას და გადაწყვეტილების მიღების დროს მითითებინა ახლად აღმოჩენილ გარემოებებსა და მტკიცებულებებზე. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილად ჩაითვალა მოსარჩელე ა. ა-ძის მიერ მითითებული ფაქტები შპს "კომპანია ცენტრის" მიერ სს "ტრესტი ქუთმშენის" აქციათა რეესტრიდან ამონაწერების არასწორად გაცემის შესახებ. აღნიშნულ გარემოებებზე მითითება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დამთავრებულ საქმეზე ა. ა-ძეს სავსებით შეეძლო და ნაწილ გარემოებებზე უთითებდა კიდევ. თავის მხრივ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ ა. ა-ძე ვერ ასაბუთებდა საზოგადოების გაყოფის შემდეგ ახალი საზოგადოების აქციონერებად აპელანტების რეგისტრაციას. ამდენად, ამ შემთხვევაში არც 2009 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტების ა. ა-ძის მიერ მითითების შესაძლებლობა არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის განხილვისას.

ამდენად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე-420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ა-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 17 ივნისის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ვ-876-ა-27-08

20 ოქტომბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლე: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ნ. ხ-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ხ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა, სს კ/ზ "ლიბერტს" დაევალა მოსარჩელე ნ. ხ-ძის სასარგებლოდ მისი კუთვნილი 51313 აშშ დოლარისა და 29 ცენტიდან 10500 აშშ დოლარის დაბრუნება, ხოლო დანარჩენი თანხის დაბრუნების გადახდა სს კ/ზ "ლიბერტის" ანგარიშზე გასესხებული თანხების შემოსვლის შემდეგ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს კ/ზ "ლიბერტმა", მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, შეწყდა სს კ/ზ "ლიბერტის" ლიკვიდატორის მიმართ ნ. ხ-ძის სარჩელთან დაკავშირებული საქმის წარმოება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ნ. ხ-ძის წარმომადგენელმა ვ. ხ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინებით ნ. ხ-ძის წარმომადგენელ ვ. ხ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

2008 წლის 2 ივნისს ნ. ხ-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო პალატამ შეამოწმა ნ. ხ-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხი და თვლის, რომ იგი დაუშვებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მოცემულ შემთხვევაში დადგინდა, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებით გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილება, შეწყდა სს კ/ზ "ლიბერტის" ლიკვიდატორის მიმართ ნ. ხ-ძის სარჩელთან დაკავშირებული საქმის წარმოება, ხოლო უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინებით ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, განჩინების გამომტანი სასამართლოა ქუთაისის სააპელაციო სასამართლო, შესაბამისად განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ნ. ხ-ძის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, უნდა დარჩეს განუხილველად დაუშვებლობის გამო.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ნ. ხ-ძის განცხადება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 დეკემბრის განჩინებისა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 2 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, დარჩეს განუხილველად;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ას-647-977-07

14 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
მ. ცისკაძე (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ლ-შვილმა და ვ. შ-შვილმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს მოპასუხე სს "ეი-ი-ეს თელასის" მიმართ და მოითხოვეს სს "ეი-ი-ეს თელასის" 2001 წლის 1 ნოემბრის #კ-734 ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩლეების - ვ. შ-შვილისა და ა. ლ-შვილის სასარჩელო განცხადება მოპასუხე სს "ეი-ი-ეს თელასის" მიმართ 2001 წლის 1 ნოემბრის #კ-734 ბრძანების გაუქმების, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. ეს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. შ-შვილმა და ა. ლ-შვილმა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 იანვრის განჩინებით ა. ლ-შვილის და ვ. შ-შვილის სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა. ამ საქმეზე უცვლელი დარჩა ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ ა. ლ-შვილმა 2006 წლის ნოემბერში განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული, ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებისა და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 იანვრის განჩინების ბათილად ცნობა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. განმცხადებელმა განცხადების დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი. ა. ლ-შვილის მითითებით, იგი 2002 წლის 17 ივნისის #კ-372 ბრძანების საფუძველზე რეორგანიზაციის მოტივით განთავისუფლდა სამუშაოდან. მან სამუშაოდან დათხოვის შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში მიმართა სასამართლოს. მისი მოსაზრებით, რადგან მისი სამუშაოზე აღდგენის შესახებ სარჩელის განხილვა შეუძლებელი იყო ადმინისტრაციული საქმის განხილვამდე, კერძოდ, 2001 წლის 1 ნოემბრის #კ-734 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაუქმების საკითხის გადაწყვეტამდე და არ დადგინდებოდა ზემოთ მითითებული ბრძანების ნამდვილობა და კანონიერება, პირველი ინსტანციის სასამართლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის "დ" პუნქტის შესაბამისად, უნდა შეეჩერებინა სამოქალაქო საქმის განხილვა ადმინისტრაციული საქმის გადაწყვეტამდე. ა. ლ-შვილის მოსაზრებით, არაუფლებამოსილმა სასამართლომ უკანონოდ თავად შეაფასა #კ-734 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რის გამოც აღნიშნული ბრძანება ბათილია. განმცხადებლის მოსაზრებით, მისი სარჩელის განხილვა უნდა მომხდარიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და ამის შემდგომ სამოქალაქო წესით უნდა განხილულიყო სარჩელი სამუშაოზე აღდგენასთან დაკავშირებით. სასამართლოს მიერ ასევე დაირღვა მისი უფლება და არ დაკმაყოფილდა მისი შუამდგომლობა მტკიცებულებების, კერძოდ, სხვა სამუშაოზე მისი გადაყვანის შესახებ ბრძანებების გამოთხოვის თაობაზე. საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვიან ვადასთან დაკავშირებით ა. ლ-შვილმა მიუთითა, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე ეხება სასამართლოს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას და მოსარჩელის მიერ ყოველგვარი ვადების შესრულებაზე საუბარი ზედმეტია.

განმცხადებელმა ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ არაგანსჯადი ადმინისტრაციული საქმის განხილვა იწვევს საქმის განმხილველი სასამართლოს არაკანონიერ შემადგენლობას, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის "ა" პუნქტის თანახმად, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 თებერვლის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და

გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 იანვრის განჩინების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. ა. ლ-შვილის განცხადება თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობის შესაბამისად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მაისის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი.

ზემოაღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის ა. ლ-შვილის მითითებით, 2007 წლის 25 ივნისის განჩინებით ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამ საქმეზე უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მაისის განჩინება.

ა. ლ-შვილმა 2007 წლის 6 ივლისს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამ სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმება. მან საქმის წარმოების განახლება მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის და მესამე ნაწილის "ე" და "ვ" ქვეპუნქტების საფუძველზე. კერძოდ, საქმის წარმოების განახლების განცხადებაში მიუთითა, რომ მისი შრომითი დავა განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, აღნიშნული დავა განიხილა არაუფლებამოსილმა სასამართლომ. განმცხადებელმა ასევე აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში მისი შუამდგომლობების მიუხედავად, მოწინააღმდეგე მხარემ არ წარმოადგინა სხვა სამუშაოზე გადაყვანის დოკუმენტები, რომელიც წარმოდგენილი იქნა მხოლოდ სააპელაციო სასამართლოში. განმცხადებელმა განმარტა, რომ მას არ მიეცა საშუალება სასამართლოში სარჩელის საფუძვლის შეცვლისა, რაც მიანიჭებდა მოპასუხისაგან მტკიცებულებების გამოთხოვის უფლებას. განმცხადებლის მოსაზრებით, დოკუმენტები ხელმოწერილია არაუფლებამოსილი პირის, თარჯიმან ქ. რ-ძის მიერ, არ არსებობდა მისი თანხმობა შესაბამისად, ყალბია აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი. ბრძანების დედნებზე ორი ხელმოწერა არის ქსეროასლი. ბრძანების სიყალბე დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სისხლის სამართლის საქმის მასალებით. ა. ლ-შვილის მითითებით, მისთვის ცნობილი გახდა ისეთი მტკიცებულების და გარემოებების შესახებ, რაც საქმის განხილვის დროს რომ ყოფილიყო სასამართლოში წარდგენილი, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელ შედეგს. სხვა სამუშაოზე გადაყვანის #კ-263 და #კ-265 ბრძანებების არსებობის შესახებ მისთვის ცნობილი არ ყოფილა, რადგან ისინი სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი იქნა 2003 წლის 17 იანვრის სხდომაზე. ა. ლ-შვილი აღნიშნავს, რომ მას არ უნახავს აღნიშნული დოკუმენტები და მას, თავისი ბრალის გარეშე, არ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა აღნიშნულ დოკუმენტებს, ვინაიდან, მისთვის უცნობი იყო რა საფუძველით არ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული დოკუმენტები პირველი ინსტანციის სასამართლოში. ამასთან, განმცხადებელი აღნიშნავს, რომ სს „თელასის“ კადრების განყოფილებაში მას არწმუნებდნენ, რომ მისი შემოსავლების დეპარტამენტში გადაყვანის შესახებ, არავითარი ბრძანებები არ არსებობდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებლობის გამო დარჩა განუხილველი. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტსა და 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმებას, რომლითაც უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მაისის განჩინება ა. ლ-შვილის განცხადების ხარვეზის შეუცვებლობის გამო განუხილველად დატოვების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებელმა მოითხოვა იმ განჩინების გაუქმება, რომელიც ეხება საქმის განხილვასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხის გადაწყვეტას და არა საქმის წარმოების დამთავრების თაობაზე არსებითი გადაწყვეტილების (განჩინების) გამოტანას. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ განცხადება სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმების და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლობის გამო უნდა დარჩეს განუხილველი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მისი განცხადების განსახილველად მიღება. კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, იგი კერძო საჩივრით ასაჩივრებს, აგრეთვე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებას მოსამართლე ხ. ა-ძის საქმის განხილვისაგან აცილების შესახებ, ასევე, იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლომ არ მოახდინა მის 2007 წლის 20 ივლისის განცხადებაზე რეაგირება, რომლითაც საქმიდან მოსამართლე ხ. ა-ძის აცილებას ითხოვდა. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განჩინება განეკუთვნება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე

მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ განჩინებას და მან სწორად მიმართა სააპელაციო სასამართლოს ამავე სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განჩინების გაუქმების მოთხოვნით. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განჩინებით დამთავრებულია საქმის წარმოება, მოცემული განჩინების გამოცემით უცვლელად იქნა დატოვებული და კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 2 მაისის განჩინება მისი განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე და ამდენად, 2007 წლის 25 ივნისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება წარმოადგენს საქმის წარმოების დამთავრების თაობაზე არსებით გადაწყვეტილებას (განჩინებას) და სწორედ იგი არის გაუქმების ობიექტი. ა.ლ-შვილმა ასევე მიუთითა, რომ სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 ივლისის განჩინების გამოცემისას დარღვეული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე და 429-ე მუხლებით დადგენილი საქმის განხილვის წესი. მისი განცხადების დასაშვებობის შემოწმებისას სააპელაციო სასამართლოს უნდა დაეცვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე, 426-ე და 427-ე მუხლების მოთხოვნები და ამის შემდეგ მიეღო განჩინება მისი განცხადების წარმოებაში მიღების თუ მიღებაზე უარის თქმის შესახებ. მისი მოსაზრებით, განჩინების სარეზოლუციო ნაწილში მითითებული, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე, 424-ე, 429-ე და 390-ე მუხლების ნაცვლად მითითებული უნდა იყოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე, ასევე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე და 390-ე მუხლებზე. კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებით, საკასაციო სასამართლოს მიერ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 25 ივნისის განჩინება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, კერძო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს; მოცემულ საქმეზე უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განჩინება შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მაისის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი. ეს განჩინება ა. ლ-შვილმა გაასაჩივრა კერძო საჩივრით, რომელიც თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინებით არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მაისის განჩინება. ა. ლ-შვილმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინებაზე შეიტანა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე; საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში მითითებული საფუძვლებით ა. ლ-შვილი ითხოვს მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სასამართლოს გადაწყვეტილებების გაუქმებას, რადგან ისინი სამოქალაქო სამართალწარმოების ნაცვლად უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით; ა. ლ-შვილის 2007 წლის 6 ივლისის განცხადების შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი სადავოდ ხდის საქმის განუხილველად დატოვების განჩინებას და ითხოვს მისი განცხადების არსებით განხილვას იმ საფუძვლით, რომ იგი არ არის ვალდებული, მიუთითოს, თუ როდის გახდა მისთვის ცნობილი საქმისწარმოების განახლების შესახებ საფუძვლის არსებობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი თავის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებას მოითხოვენ. ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების უცვლელად (ძალაში) დატოვების შესახებ არსებობს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს განჩინებები, არ ცვლის განსჯადობას. განცხადება, მიუხედავად ამისა, უნდა განიხილოს გადაწყვეტილების გამომტანმა და არა იმ სასამართლომ, რომელმაც უცვლელად (ძალაში) დატოვა იგი. სხვა საკითხია, როდესაც სააპელაციო (საკასაციო) სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და თვითონ გამოაქვს ახალი გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევაში განცხადება საქმის განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს სააპელაციო (საკასაციო) სასამართლოში.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 25 ივნისის განჩინებით არ დამთავრებულა საქმის წარმოება. ამ განჩინებით კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 2 მაისის განჩინება, რომელიც ეხებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განუხილველად დატოვებას; აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოთ მითითებული ნორმის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეტანილი იქნა არაგანსჯად სასამართლოში.

კერძო საჩივრის ავტორი ასაჩივრებს ასევე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებას მოსამართლე ხ. ა-ძის საქმიდან აცილების შესახებ უარის თქმის თაობაზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ამ ნორმის თანახმად, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანი შეიძლება იყოს აგრეთვე, სასამართლოს ის განჩინებები, რომლებიც წინ უსწრებს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებას, იმისგან დამოუკიდებლად, დასაშვებია თუ არა მათ მიმართ კერძო საჩივრის შეტანა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ა. ღ-შვილმა თავისი განცხადების (ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 17 იანვრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ) განხილვისას მოითხოვა მოსამართლე ხ. ა-ძის აცილება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 14 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ღ-შვილის შუამდგომლობა საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვისგან მოსამართლე ხ. ა-ძის აცილების შესახებ. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში სწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლი და მიუთითა, რომ ა. ღ-შვილი მოსამართლე ხ. ა-ძის აცილების საფუძველად არ უთითებს ამ ნორმით გათვალისწინებულ არც ერთ გარემოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ღ-შვილის კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ღ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელი დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ივლისის განჩინება.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ას-871-1085-08

11 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

მ. თ-შვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს "ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის" მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების შესახებ.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ იგი აღნიშნულ უნივერსიტეტში მუშაობდა ინგლისური ენის უფროს მასწავლებლად. 2004 წლის 10 ნოემბრის ბრძანებით ადმინისტრაციის ინიციატივით უკანონოდ იქნა დათხოვნილი სამუშაოდან.

მოსარჩელემ ასევე მიუთითა, რომ 2003 წლის 26 დეკემბერს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა, გადაწყვიტა, სადისერტაციო თემაზე ემუშავა და ამავე დროს თბილისის რომელიმე კომერციულ უნივერსიტეტში

წავიკითხა ლექციები, რის შესახებაც განცხადებით მიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წერილით მიმართა ი. ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის რექტორ ა. მ-შვილს, სადაც მ. თ-შვილის დასაქმების შესახებ იყო აღნიშნული. მოსარჩელე 27 სექტემბერს დაიბარეს მოპასუხე ორგანიზაციაში და მისცეს თვეში 48 საათი, ხოლო მეორე დღეს, ანუ 28 სექტემბერს დააწერინეს განცხადება რექტორის სახელზე სამუშაოზე მიღებასთან დაკავშირებით. მან 2004 წლის 28 სექტემბერს დაიწყო ლექციების კითხვა. მოსარჩელემ მოპასუხეს არაერთხელ მიმართა თხოვნით, გაეცნო მისთვის სამუშაოზე მიღების დოკუმენტი, რაზეც მიიღო უარი. 2004 წლის 10 დეკემბერს შეწყდა სწავლა და დეკემბრის ბოლომდე ჩატარდა გამოცდები. ამით 2004-2005 სასწავლო წლის პირველი სემესტრი ამოიწურა. ამის შემდეგ, 2005 წლის იანვრის ბოლოს, მოსარჩელეს სახლში დაურეკა კადრების უფროსმა და შეატყობინა, რომ გაეტანა საბუთები უნივერსიტეტიდან და 2004-2005 სასწავლო წლის II სემესტრში აღარ იმუშავებდა.

მოსარჩელემ მეორე დღესვე გააგზავნა უნივერსიტეტში ოჯახის წევრი - თავისი ძმა (ა. თ-შვილი), რომელმაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან მოითხოვა, მისთვის ხელზე მიეცათ შრომის წიგნაკი, გასასვლელი დახმარება, სამუშაოზე მიღებისა და განთავისუფლების ბრძანებები. აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ა. თ-შვილს მოსარჩელის სამუშაოზე მიღებისა და სამუშაოდან განთავისუფლების ბრძანება გადაეცა 2005 წლის 22 თებერვალს. რაც შეეხება შრომის წიგნაკს და გასასვლელ დახმარებას, უნივერსიტეტის პრორექტორმა მოითხოვა, თავად მ. თ-შვილი მისულიყო უნივერსიტეტში, რომელსაც ხელს მოაწერინებდნენ ბრძანების დედნებზე, მისცემდნენ შრომის წიგნაკს და გასასვლელ დახმარებასაც. მოსარჩელე უნივერსიტეტში წავიდა მეორე დღესვე, მაგრამ მას არაფერი გადასცეს და გამოუძახეს საპატრულო პოლიციას.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 42² მუხლის საფუძველზე მუშაკს პერსონალურად უნდა ეცნობოს მოსალოდნელი განთავისუფლების შესახებ ორი თვით ადრე მინც, აღნიშნული შეტყობინება კი მუშაკმა უნდა დაადასტუროს ხელმოწერით, რაც მას არ მიუღია.

მოსარჩელის მითითებით, #29 2004 წლის 20 სექტემბრის ბრძანებას, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, უნდა ჰქონდეს საფუძველი, ანუ ადმინისტრაციულ აქტში მითითებული უნდა იყოს ნორმატიულ აქტზე, მის შესაბამის ნორმაზე ან ფაქტობრივ გარემოებაზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას. ადმინისტრაციულ აქტში არ ფიქსირდება სამუშაოზე მიღების ვადა. ბრძანებაში არ არის მითითებული თარიღი, ანუ კონკრეტულად რომელი რიცხვიდან გაათავისუფლეს მოსარჩელე; ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, ბრძანების ტექსტში არ არის მითითება ნორმატიულ აქტზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამ აქტის გამოცემისას, ასევე გაუგებარია ბრძანების შინაარსი.

მოსარჩელის მითითებით, უნივერსიტეტში არსებობს პროფკავშირი და დაუშვებელი იყო ადმინისტრაციის ინიციატივით შრომის ხელშეკრულების შეწყვეტა პროფკავშირის თანხმობის გარეშე, ანუ დაირღვა საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 37-ე მუხლის მოთხოვნები.

მოსარჩელის წარმომადგენლის მიერ სარჩელი არაერთხელ იქნა დაზუსტებული. მოსარჩელემ საბოლოო დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მოითხოვა, აღდგენილ იქნეს სამუშაოზე დაუყოვნებლივ, როგორც უკანონოდ დათხოვნილი, ხოლო მოპასუხე მხარეს - შპს „ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტი“ დაეკისროს განაცდური ხელფასის გადახდა განთავისუფლების დღიდან, ე.ი. 2004 წლის 10 ნოემბრიდან 4269 ლარისა და 36 თეთრის ოდენობით; მოპასუხეს დაევალოს მოსარჩელის სასარგებლოდ იძულებით გაცდენილი მთელი დროისათვის საშუალო ხელფასის, კერძოდ, 2004 წლის 10 ნოემბრიდან დღემდე 6048 ლარისა და 26 თეთრის ოდენობით ანაზღაურება; მოსარჩელის წარმომადგენლის - ა. თ-შვილის პირად ანგარიშზე გადახდილ იქნეს დავის საგნის ღირებულების 4%, რაც დაახლოებით შეადგენს 412 ლარსა და 70 თეთრს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 აპრილის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2008 წლის 1 მაისს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩინებით მ. თ-შვილის სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. თ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინებით მ. თ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა - უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

2008 წლის 20 აგვისტოს მ. თ-შვილმა მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს განცხადებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 21 აგვისტოს განჩინებით მ. თ-შვილის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ საქმის წარმოების განახლების თაობაზე მოთხოვნით და მხოლოდ

სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით. საკასაციო ან სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება. შესაბამისად, ზემდგომ სასამართლოში განჩინების გაუქმების მოთხოვნით განცხადების შეტანა დაუშვებელია.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. თ-შვილმა და აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი განცხადება განუხილველად და იგი უნდა გაუქმდეს. მან მიუთითა, რომ საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ ისეთ საქმეებზე, რომელთა წარმოება დამთავრებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით. ასეთ განჩინებას განეკუთვნება განჩინებები საქმის წარმოების შეწყვეტისა და სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 1 მაისის განჩინებით საქმე დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო, მან აღნიშნული განჩინება გაასაჩივრა კერძო საჩივრით და სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინებით გასაჩივრებული განჩინება დარჩა ძალაში. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინებით დამთავრდა საქმის წარმოება. აქედან გამომდინარე, მან განსჯადობის წესების დაცვით შეიტანა განცხადება სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ კი არასწორად დატოვა მისი განცხადება განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. თ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩინებით მ. თ-შვილის სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად სასამართლოს მთავარ სხდომაზე მხარეთა გამოუცხადებლობის გამო. აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. თ-შვილმა და მოითხოვა მისი გაუქმება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინებით მ. თ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 1 მაისის განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. მ. თ-შვილმა კი მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს, რა შემთხვევაშია შესაძლებელი აღნიშნული მოთხოვნით სასამართლოსადმი მიმართვა. მოცემულ შემთხვევაში მ. თ-შვილმა განცხადება შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინებაზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 აგვისტოს განჩინება წარმოადგენს კერძო საჩივარზე ზემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებას, რომელიც არ საჩივრდება. მ. თ-შვილი საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადებით ითხოვს კერძო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მოცემულ შემთხვევაში მ. თ-შვილს აღნიშნული მოთხოვნით უნდა მიემართა არა სააპელაციო სასამართლოსთვის, არამედ – საქალაქო სასამართლოსთვის, ვინაიდან იგი ითხოვს საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გაუქმებას. სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის კერძო საჩივარზე მიღებული განჩინება, რომლითაც უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს განჩინება. განცხადება შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში და არა იმ სასამართლოში, რომელმაც უცვლელად დატოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილება (განჩინება).

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ განცხადებაზე ვერ იმსჯელებდა სააპელაციო სასამართლო, ვინაიდან განცხადება საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. თ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 აგვისტოს განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ას-37-322-08

2 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 28 თებერვალს მ. ლ-შვილმა სარჩელით მიმართა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე შპს "ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის" მიმართ სამუშაოზე აღდგენისა და განაცდური ხელფასის ანაზღაურების თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებით მ. ლ-შვილის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. ლ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

ყთბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინებით მ. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და ძალაში დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინებაზე მ. ლ-შვილმა შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 7 მარტის განჩინებით დარჩა განუხილველად, შესაბამისად, კანონიერ ძალაში შევიდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება.

2007 წლის 15 ოქტომბერს მ. ლ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ მისი სარჩელის ნაწილი ადამინისტრაციული სასამართლოს განსჯად საქმეს წარმოადგენდა, შესაბამისად, სასამართლო ვალდებული იყო, შეეჩერებინა სამოქალაქო საქმის წარმოება და საქმე გადაეგზავნა ადმინისტრაციულ სასამართლოში, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ საქმის გადაწყვეტამდე შეუძლებელი იყო სამოქალაქო საქმის განხილვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინებით მ. ლ-შვილის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 26 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობის თაობაზე დარჩა განუხილველად განცხადების არაგანსჯად სასამართლოში წარდგენის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. ლ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და განცხადების დასაშვებობის საკითხის განსახილველად საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის დაბრუნება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადააგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძვლები და თვლის, რომ მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი თავის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მითითებული ნორმის თანახმად, განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს იმ სასამართლოში, რომლის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების (განჩინების) ბათილად ცნობას ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებას მოითხოვენ. ის გარემოება, რომ ამ გადაწყვეტილების უცვლელად (ძალაში) დატოვების შესახებ არსებობს სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს განჩინებები, არ ცვლის განსჯადობას. განცხადება, მიუხედავად ამისა, უნდა განიხილოს გადაწყვეტილების გამომტანმა და არ იმ სასამართლომ, რომელმაც უცვლელად (ძალაში) დატოვა იგი.

განსახილველ შემთხვევაში, მ. ლ-შვილი მოითხოვს საქმის წარმოების განახლებას თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინების გაუქმებით. მითითებული მუხლის თანახმად, კერძო საჩივრის ავტორს განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე უნდა შეეტანა არა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში, არამედ - საქმეზე არსებითად გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მ. ლ-შვილის განცხადება სწორად დატოვა განუხილველად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი სამართლებრივად უსაფუძვლო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების იურიდიული საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- მ. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 12 ნოემბრის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ას-335-655-09

1 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),
ნ. კვანტალიანი**

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით ა. ლ-შვილის სარჩელი სამუშაოზე აღდგენისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 6 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი სამუშაოზე აღდგენის ნაწილში დარჩა განუხილველი, ხოლო იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში მიღებულ იქნა განსახილველად. ამავე პალატის 2008 წლის 23 მაისის განჩინებით ა. ლ-შვილის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი, როგორც დაუშვებელი.

2009 წლის 16 მარტს ა. ლ-შვილმა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომლითაც მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინების გაუქმება იძულებით გაცდენილი დროის საშუალო ხელფასის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინებით განცხადება დარჩა განუხილველი, როგორც დაუშვებელი. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინება, საქმის წარმოების განახლების მიზნით, არ წარმოადგენდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმების ობიექტს. მოცემულ შემთხვევაში გაუქმების ობიექტი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და განცხადების დაბრუნება სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, არსებობს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გასაჩივრებული განჩინების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი, რადგან მითითებულ განჩინებას ხელს აწერს ერთი მოსამართლე, შესაბამისად, სააპელაციო საჩივარი განხილული არ ყოფილა კოლეგიურად სამი მოსამართლის შემადგენლობით, როგორც ამას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს.

კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ გასაჩივრებულ განჩინებაზე დაუშვებელი იყო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და აღნიშნული განცხადების შეტანა დაიშვებოდა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე. კერძო საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი სასარჩელო მოთხოვნა არსებითად იქნა განხილული როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოს, ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ. შესაბამისად, ორივე სასამართლოს მიერ გამოტანილ სასამართლო აქტზე დაიშვება განცხადების შეტანა. რაც შეეხება საკასაციო სასამართლოს, მან საკასაციო საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია და არსებითად არ

განიხილა, შესაბამისად, მის მიერ გამოტანილ განჩინებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნა არ დაიშვება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით ა. ლ-შვილის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების წანამდვრები. ამავე კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

ა. ლ-შვილის მიერ გასაჩივრებული სააპელაციო სასამართლოს განჩინება წარმოადგენს საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ განჩინებას, ხოლო განმცხადებელს პრეტენზია აქვს საქმის არსებით მხარეზე, რის გამოც სააპელაციო სასამართლოს მიერ განცხადება სწორად იქნა დატოვებული განუხილველად. ამასთან, გასაჩივრებული განჩინების მომხსენებელი მოსამართლის მიერ ხელმოწერა სავსებით შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლისა და 373-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს. შესაბამისად, არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 30 მარტის განჩინება;
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ას-326-646-09

25 ივნისი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობა, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა და უკანონო ხელშემშლის აღკვეთა

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ა-მემ სარჩელით მიმართა სასამართლოს სსიპ "საქართველოს ეროვნული მუზეუმის" წინააღმდეგ უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის შესახებ. მან მიუთითა, რომ 1988 წელს მან და გ. ჩ-იას სახელობის საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრების სახელმწიფო მუზეუმის ორმა თანამშრომელმა მუზეუმის ტერიტორიაზე დააფუძნეს კოოპერატივი "ჩარდახი". კოოპერატივის მიერ აღნაგობის უფლების განხორციელებისათვის გაიცა წერილობითი თანხმობა 100 კვ.მ-ის კოოპერატივისათვის გადაცემის შესახებ. ვინაიდან მუზეუმის მხრიდან ხელშეშლის შედეგად არ მიეცათ საშუალება დამტკიცებული პროექტის მიხედვით აეშენებინათ კაპიტალური საწარმო, იძულებული გახდნენ ამორტიზებულ სასაუზმე პავილიონში ჩატარებინათ სხვადასხვა სამუშაოები. მიუხედავად 1990 წელს დადებული ორმხრივი ხელშეკრულებისა, კოოპერატივს მუზეუმის მხრიდან შეეზღუდა არა მხოლოდ აღნაგობის, არამედ საქმიანობის უფლებაც. 1990 წლის 5 სექტემბრიდან სასაუზმე-პავილიონი გადავიდა კოოპერატივის საკუთრებაში. მუზეუმი კოოპერატივის შექმნის დღიდან ახორციელებს კოოპერატივზე ზეწოლას. კოოპერატივმა 1995 წლის 20 მარტს გაიარა მხოლოდ ხელახალი საგადასახადო რეგისტრაცია, რადგანაც ვერ შეძლო სახელმწიფო რეგისტრაციის განხორციელება მუზეუმის მხრიდან საწარმოს ადგილმდებარეობის ცნობის გაუცემლობის გამო. საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ სასაუზმე-პავილიონის ქვეშ არსებული 100 კვ.მ მიწა გამოცხადდა მუზეუმის მფლობელობაში, ხოლო 2006 წელს აღნიშნული ფართი გატარდა საჯარო რეესტრში სახელმწიფო საკუთრებად. 2007 წელს ეროვნულ მუზეუმს გადაეცა უზურფრუქტის წესით. 2007 წლის 18 აპრილს შეიტყვეს, რომ მოპასუხე თვითნებურად შეიჭრა კოოპერატივში, რის გამოც მოსარჩელემ მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით მ. ა-მის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდა, მ. ა-მის სამოქალაქო საქმე დარჩა განუხილველად და მოსარჩელეს დაუბრუნდა სარჩელი და თანდართული დოკუმენტები.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ა-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მ. ა-მის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. ა-მემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მ. ა-მის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

2009 წლის 4 თებერვალს მ. ა-მემ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ა-მის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა (გაუქმების) და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. ამავე განჩინებით მ. ა-მის განცხადებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით ბათილად ცნობის (გაუქმების) და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუდგინდა ხარვეზი და განმცხადებელს დაევალა ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხარვეზის შეცვლა.

2009 წლის 16 მარტს მ. ა-მემ კერძო საჩივარი შეიტანა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებაზე. მან აღნიშნა, რომ 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებაში სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა, რომ 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება წარდგენილია არაგანსჯად სასამართლოში. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, თუ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, განცხადება ეხება ერთსა და იმავე საქმეზე მიღებულ რამდენიმე ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებას, მაშინ განცხადება შეტანილ იქნება ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში. მისი განცხადება ეხებოდა როგორც პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ განჩინებას, ასევე, მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას. აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორმა მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. ა-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის შესახებ, რომ მან განსჯად სასამართლოში შეიტანა განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ. მისი განცხადება ეხებოდა როგორც პირველი ინსტანციის, ასევე მეორე ინსტანციის

სასამართლოს მიერ მიღებულ განჩინებას და სააპელაციო სასამართლომ არასწორად ჩათვალა მისი განცხადება დაუშვებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინებით მ. ა-ძის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა (გაუქმების) და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო. ამავე განჩინებით მ. ა-ძის განცხადებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით ბათილად ცნობისა (გაუქმების) და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუდგინდა ხარვეზი და განმცხადებელს დაევალა ამ განჩინების ასლის გადაცემიდან 10 დღის ვადაში ხარვეზის შევსება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ განცხადება, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ ეხება ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას (განჩინებას), მაშინ იგი შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

აღნიშნული ნორმის თანახმად, განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ სასამართლოს განსჯადია, რომლის მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობას ან, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, გაუქმებას მოითხოვს დაინტერესებული პირი. დაინტერესებულ პირს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეიტანოს განცხადება ზემდგომ სასამართლოში, თუ ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება მოთხოვნილი. ამ შემთხვევაში განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს მათ შორის ყველაზე ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ერთსა და იმავე საქმეზე რამდენიმე სასამართლო ინსტანციის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც ზემდგომი ინსტანციის სასამართლო მხოლოდ ნაწილობრივ ცვლის გასაჩივრებულ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, ხოლო ნაწილობრივ ძალაში ტოვებს ამავე სასამართლოს გადაწყვეტილებას. ასეთ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი მოითხოვს როგორც ქვემდგომი, ასევე, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობას (გაუქმებას) და საქმის წარმოების განახლებას მთლიანად, მაშინ ეს განცხადება უნდა განიხილოს ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ.

მოცემულ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინებით, დაუშვებლობის გამო, განუხილველად იქნა დატოვებული მ. ა-ძის კერძო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინებაზე. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს ამ საქმეზე გასაჩივრებული განჩინების მთლიანად ან ნაწილობრივ შეცვლით ახალი გადაწყვეტილება არ მიუღია, შესაბამისად, მ. ა-ძის განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა (გაუქმების) და საქმის წარმოების განახლების შესახებ წარმოდგენილია არაგანსჯად სასამართლოში, რის გამოც აღნიშნული განცხადება განუხილველად დარჩა.

რაც შეეხება მ. ა-ძის განცხადებას თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 11 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობისა (გაუქმების) და საქმის წარმოების განახლების შესახებ, იგი, მართალია, წარმოდგენილია განსჯად სასამართლოში, მაგრამ განმცხადებელს ხარვეზის შესავსებად დაენიშნა ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია და არ არსებობს კერძო საჩივრის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი :

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

მ. ა-მის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
 უცვლელად დარჩეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 26 თებერვლის განჩინება;
 საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ა-1786-ა-21-09 6 აგვისტო, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი

განხილა ლ. ს-მის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით ლ. ს-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებაზე მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

2009 წლის 4 აგვისტოს ლ. ს-მემ განცხადებით მომართა საკასაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით დამთავრებულ საქმეზე წარმოების განახლება მოითხოვა.

თავის მოთხოვნას განმცხადებელი აფუძნებს იმ გარემოებას, რომ ნოტარიუს გ. გ-შვილის მიერ 2009 წლის 21 ივლისს გაიცა სამკვიდრო მოწმობა, რომლითაც მან, როგორც ა. ს-მის (ქორწინებამდე უ-მის) პირველი რიგის მემკვიდრემ, მემკვიდრეობით მიიღო, ა. ს-მის (ქორწინებამდე უ-მის) დედის - ა. ამილახვარის აქტივებისა და პასივების წარმომადგენლობითი მეორე რიგის მემკვიდრეობითი უფლებით სამკვიდროს მიღების უფლება. განმცხადებლის აზრით, დასახელებული მტკიცებულების გათვალისწინების შემთხვევაში საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობდა მის საკასაციო საჩივარს და დააკმაყოფილებდა მას.

განცხადების შეტანის ვადასთან დაკავშირებით განმცხადებელმა აღნიშნა, რომ იმ გარემოების შესახებ, რომელსაც იგი საქმეზე წარმოების განახლებას უკავშირებდა (სამკვიდრო მოწმობა) მისთვის ცნობილი გახდა 2009 წლის 21 ივლისს, რასაც ცხადყოფდა თავად სამკვიდრო მოწმობის გაცემის თარიღი. შესაბამისად, საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადა მის მიერ დაცული იყო.

განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოდ განმცხადებელმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მიიჩნია. აღნიშნული მსჯელობა ლ. ს-მემ იმით დაასაბუთა, რომ საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით სააპელაციო სასამართლომ კანონის ნორმები მართებულად განმარტა, ხოლო ფაქტობრივი გარემოებები სწორად დაადგინა. ამასთან, განცხადებაზე თანდართული სამკვიდრო მოწმობის გათვალისწინების შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო დასაშვებად ცნობდა ლ. ს-მის საკასაციო საჩივარს, გააუქმებდა გასაჩივრებულ განჩინებას და საქმეს დაბრუნებდა ხელახლა განსახილველად.

საკასაციო სასამართლო ლ. ს-მის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განუხილველად დატოვებას ექვემდებარება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლი ადგენს საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების განხილვაზე განსჯად სასამართლოს. კანონის აღნიშნული ნორმის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას

განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მოცემულ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების განცხადება არ ეხება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 20 ივნისის განჩინებით საქმე არსებითად არ განუხილავს და ვერც ახალ ფაქტებს მიიღებდა მხედველობაში, რისი კომპეტენცია საპროცესო კანონმდებლობით არ გააჩნია. აღნიშნული განჩინებით საქმე განსახილველად არ იქნა დაშვებული, რის შედეგადაც უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს - მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილება ამ საქმეზე. რამდენადაც საქმეზე გადაწყვეტილება გამოტანილია მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ, მოცემულ შემთხვევაში განმცხადებლის მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადებით შეიძლება სწორედ ის იყოს გასაჩივრებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. ს-მის განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილვას არ ექვემდებარება და იგი განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 429-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლ. ს-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 ივნისის განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დატოვებულ იქნეს განუხილველად.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ას-1486-ა-17-09

21 სექტემბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

რ. ნადირიანი,

თ. თოდრია

ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ლ. ს-მის განცხადების განუხილველად დატოვების საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებაზე

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 17 აგვისტოს მცხეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრა ც. ც-შვილმა ლ. ს-მის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 2007 წლის 10 მარტს ლ. ს-მესა და ც. ც-შვილს შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილობრივ ბათილად ცნობა და აღნიშნული ხელშეკრულებით ლ. ს-მისათვის გაცემული ა. ზ. და ა. ნ. ა-ახვრებისა და ე. ე. კ-ევას სამეკვიდრო ნივთების უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვა.

ლ. ს-მემ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში ც. ც-შვილის მიმართ, რომლითაც მოითხოვა 1928 წელს გარდაცვლილი ა. ა-ახვრების და 1931 წელს გარდაცვლილი ე. კ-ევას სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადის საპატიოდ ცნობა, სამკვიდროს მისაღებად გაშვებული ვადის აღდგენა, 1928 წელს გარდაცვლილი ა. ა-ახვრისა და 1931 წელს გარდაცვლილი ე. კ-ევას სამკვიდრო ქონებაზე და უფლებებზე სადაც უნდა იყოს და რაშიც უნდა გამოიხატებოდეს მესაკუთრედ ცნობა, მათ შორის, ც. ც-შვილისაგან 2007 წლის 10 მარტის აქტით გადაცემულ სამკვიდროს მოძრავი ნივთების ნაწილზე, ა. ა-ახვრის მე-2 რიგის მემკვიდრედ და მის სამკვიდრო ქონებაზე და უფლებებზე მესაკუთრედ ცნობა,

ე. კ-ევას მე-5 რიგის მემკვიდრედ და მის სამკვიდრო ქონებაზე და უფლებებზე სადაც უნდა იყოს და რაშიც უნდა გამოიხატებოდეს მესაკუთრედ ცნობა, 1918 წელს გარდაცვლილი ა. ა-ახვრის სამკვიდროს მიღების გაშვებული ვადის საპატიოდ ცნობა, სამკვიდროს მიღების ვადის აღდგენა და ა. ა-ახვრის პირველი რიგის მემკვიდრედ და მის სამკვიდრო ქონებაზე და უფლებებზე სადაც უნდა იყოს და რაშიც უნდა გამოიხატებოდეს მესაკუთრედ ცნობა, მათ შორის, 2007 წლის 10 მარტის აქტით გადაცემულ სამკვიდრო ნივთებზე მესაკუთრედ ცნობა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ც. ც-შვილის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ც. ც-შვილსა და ლ. ს-ძეს შორის 2007 წლის 10 მარტს დადებული ხელშეკრულება. ლ. ს-ძეს უარი ეთქვა შეგებულ სარჩელზე ც. ც-შვილის მიმართ ა. და ა. ა-ახვრებისა და ე. კ-ევას სამემკვიდრეო ქონებაზე და უფლებებზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ლ. ს-ძის წარმომადგენელმა მ. კ-შვილმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინებით ლ. ს-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. ს-ძემ, ც. ც-შვილმა და მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმეში წარმოდგენილი პირობებით მას და ც. ც-შვილს შორის მორიგების აქტის დამტკიცება.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ივნისის განჩინებით ც. ც-შვილის საკასაციო საჩივარი განუხილველად იქნა დატოვებული.

საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 23 დეკემბრის განჩინებით ლ. ს-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელი დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 26 მარტის განჩინება.

ამრიგად მოგვმულ საქმეზე კანონიერ ძალაში შევიდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.

მიმდინარე წლის 6 ივლისს ლ. ს-ძემ და ც. ც-შვილმა განცხადებით მომართეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

თავის მოთხოვნას განმცხადებლები აფუძნებენ იმ გარემოებას, რომ 2009 წლის 6 ივნისს ნოტარიუს გ. გაბარაშვილის მიერ ლ. ს-ძეზე გაიცა წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის უფლების სამკვიდრო მოწმობა, რომლის არსებობის და მტკიცებულების სახით გათვალისწინების შემთხვევაში საკასაციო სასამართლო დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნას და დაამტკიცებდა მხარეებს შორის გაფორმებულ მორიგების აქტს.

განცხადების განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოდ განმცხადებელმა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა მიიჩნია, ვინაიდან ლ. ს-ძესა და ც. ც-შვილს შორის მორიგების დამტკიცებაზე უარის თქმის განჩინება გამოიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით განცხადების ავტორებმა მოითხოვეს საქმის წარმოების განახლება და საქმეში არსებული მორიგების აქტის დამტკიცება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოდგენილი განცხადების და საქმის მასალების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ს-ძისა და ც. ც-შვილის განცხადება, განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა მოსარჩელე ც. ც-შვილის სარჩელი, ბათილად იქნა ცნობილი ც. ც-შვილსა და მოპასუხე ლ. ს-ძეს შორის 2007 წლის 10 მარტს დადებული ხელშეკრულება. ლ. ს-ძეს უარი ეთქვა შეგებულ სარჩელზე ც. ც-შვილის მიმართ ა. და ა. ა-ახვრებისა და ე. კ-ევას სამემკვიდრეო ქონებაზე და უფლებებზე მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის შესახებ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 მარტის განჩინებით უცვლელად იქნა დატოვებული, ზემოხსენებული გადაწყვეტილება, ხოლო საქართველოს უზენაეს სასამართლოს 2008 წლის 23 დეკემბრი განჩინებით კი თავის მხრივ ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინება. შესაბამისად კანონიერ ძალაში შევიდა მცხეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილება.

საქართველო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

კონკრეტულ შემთხვევაში, ვინაიდან არც სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლოს არსებითად ახალი გადაწყვეტილება არ მიუღია საქმეზე, შესაბამისად, საქმის განმხილველ განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლო, რომლის 2007 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებაც შევიდა კანონიერ ძალაში და სწორედ იგია უფლებამოსილი განიხილოს აღნიშნულ დავაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოდგენილი განცხადება.

გარდა ამისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელიც ამავე კოდექსის 425, 399-ე მუხლების საფუძველზე ასევე გამოიყენება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განხილვისას და განმარტავს, რომ, თუ სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველი გამოვლინდება ამ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, მაშინ იმის მიხედვით, თუ როგორია ეს საფუძველი, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას ან სარჩელს განუხილველად დატოვებს. კანონის დასახელებული ნორმის დანაწესიდან გამომდინარე, განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველის არსებობისას, სასამართლო უფლებამოსილია საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დატოვოს განცხადება განუხილველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ლ. ს-მის და ც. ც-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 429-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ლ. ს-მის და ც. ც-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩეს განუხილველი;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ა-1730-ა-25-09

1 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

გ. ა-მემ სარჩელით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მოპასუხე „ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ მიმართ სამოსახლო მიწის ნაკვეთის, მასში არსებული ქონების საკომპენსაციო თანხისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ რუსთავსა და თბილისს შორის (ქალაქ რუსთავის შემოსასვლელში) მდებარე 900 კვ.მ მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრის მონაცემებით საკუთრების უფლებით აღრიცხულია მის სახელზე, მან მიწის ნაკვეთზე ჩაატარა სხვადასხვა სახის სამუშაოები, რისთვისაც გასწია მნიშვნელოვანი ხარჯი, კერძოდ, შეიყვანა ნაკვეთამდე მისასვლელი სამანქანო გზა, დარგო მრავალწლიანი ნარგავები (კაკალი, ვაშლი, მსხალი და სხვა); ყოველწლიურად ამუშავებდა ნაკვეთს და მოჰყავდა მოსავალი, ამის გარდა, დაამზადებინა ორსართულიანი სახლის პროექტი თავისი ხარჯთაღრიცხვით. მოსარჩელის განცხადებით, იგი აპირებდა სახლის სამშენებლო სამუშაოების დაწყებას, მაგრამ ამ დროს მისთვის ცნობილი გახდა, რომ მიწის ნაკვეთს კვეთდა მილსადენი, რის შესახებაც შეტყობინება „ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“ გაუგზავნა, კომპანიის მიერ ასევე გაგზავნა შეთავაზება ქონებრივი დანაკარგის საკომპენსაციო თანხის თაობაზე, რასაც მოსარჩელე არ დაეთანხმა იმ მოსაზრებით, რომ მიწის ნაკვეთისა და მასში არსებული ქონების შეფასება არარეალური იყო. მოსარჩელემ ასევე, განმარტა, რომ უშედეგო აღმოჩნდა მას და კომპანიას შორის მოლაპარაკებების შემდგომი ეტაპები. მოსარჩელე მხარე რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 მარტის ადგილობრივი დათვალიერების ოქმზე, სოფლის მეურნეობის აკადემიის სპეციალისტ-ექსპერტთა 2004

წლის 31 მარტისა და კომპანიის სპეციალური კომისიის 2004 წლის 23 აპრილის დასკვნებზე მითითებით, აღნიშნავდა, რომ ნაკვეთში 27 ძირი (ექვსი, რვა და ათწლიანი) კაკლის ხის არსებობა დადასტურებული იყო. მხარის განცხადებით, მან მრავალჯერ მისწერა კომპანიას და აცნობა პირობების მიუღებლობის შემთხვევაში ნაკვეთის დათმობაზე უარის თქმის შესახებ. 2004 წლის 14 მაისს, ოფიციალურად მოპასუხემ მოსარჩელეს შესთავაზა მიწის ნაკვეთის საკომპენსაციო თანხა - 5.378.21 ლარის, მოსავლის, სხვა ქონების ზარალის ანაზღაურება 9.642.71 ლარის, სულ 15.021 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“ მიწის ნაკვეთზე აუცილებელი გზის უფლების დადასტურების თაობაზე, სარჩელით მიმართა სასამართლოს და სხვა პირებთან ერთად მოპასუხედ დაასახელა გ. ა-მცე. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ამავე სასამართლოს 2004 წლის 21 აპრილის განჩინებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ განცხადება აღნიშნული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ, დაკმაყოფილდა. გ. ა-მის განმარტებით, სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, კომპანიამ მის ნაკვეთში შეიყვანა ტრაქტორები და ბუღდოზიერები, გადათხარა და გაანადგურა ნაკვეთი, რის შედეგად მიაყენა მატერიალური და მორალური ზიანი.

მოსარჩელემ შემდგომში დააზუსტა სარჩელი და საბოლოოდ მოითხოვა, 900 კვ.მ მიწის ნაკვეთის გამოყენებლობის გამო, ზიანის - 7.560 ლარის, 27 ძირი ექვსი, რვა და ათწლიანი მსხმოიარე კაკლის ნარგავების განადგურებით მიყენებული ზიანის - 55.200 ლარის, ორსართულიანი სახლის პროექტის ღირებულების - 3.054 ლარის, მიწის ნაკვეთში სამანქანო გზის მოწყობის ხარჯის - 2.000 ლარის, მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე გაწეული ხარჯის - 500 ლარის, ექსპერტთა მომსახურების ხარჯის - 186 ლარისა და იურიდიული მომსახურებისათვის - 100 ლარის, ასევე, მორალური ზიანის - 50 000 ლარის, სულ 118.600 ლარის მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-მის სარჩელი სამოსახლო მიწის ნაკვეთის, მასში არსებული ქონების საკომპენსაციო თანხისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ გ. ა-მის სასარგებლოდ დაეკისრა მიწის ნაკვეთის დაკარგვით მიყენებული ზიანის - 5.378,21 ლარის ანაზღაურება, ასევე კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის სახით 40.800 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელის მოთხოვნები სახლის საპროექტო ხარჯის, მისასვლელი გზის მოხრეშვაზე გაწეული ხარჯის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხარჯის ანაზღაურებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ამავე გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯის ანაზღაურება 85 ლარის ოდენობით. სასამართლოს გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1154 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ წარმომადგენლებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაზე“ სახელმწიფო ბაჟის - 1154 ლარის დაკისრების ნაწილში, დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ“. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავრცელების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს 2003 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში; აუცილებელი გზის კომპენსაციის ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება - გ. ა-მის სარჩელი აუცილებელი გზის კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ გ. ა-მის სასარგებლოდ დაეკისრა 5.378 ლარისა და 21 თეთრის გადახდა; კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება გ. ა-მის სასარგებლოდ კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისთვის“ 40.800 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. ა-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის

გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი გ. ა-ძის სასარგებლოდ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის - 85 ლარის დაკისრების თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივარი შეიტანა გ. ა-ძემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 11 ივნისის განჩინებით გ. ა-ძის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი დარჩა განუხილველად.

გ. ა-ძემ განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე და 426-ე მუხლების საფუძველზე, აღნიშნული განჩინების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა საქმის მასალების განხილვის, განცხადების მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ გ. ა-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილისა და 11 ივნისის განჩინებების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველად უნდა იქნეს დატოვებული დაუშვებლობის გამო შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

გ. ა-ძის განცხადების შინაარსიდან ირკვევა, რომ იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილისა და 11 ივნისის განჩინებების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებას ითხოვს მისი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში.

დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილებით გ. ა-ძის სარჩელი სამოსახლო მიწის ნაკვეთის, მასში არსებული ქონების საკომპენსაციო თანხისა და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, მოპასუხე „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ გ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა მიწის ნაკვეთის დაკარგვით მიყენებული ზიანის - 5.378,21 ლარის ანაზღაურება, ასევე კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის სახით 40.800 ლარის ანაზღაურება. მოსარჩელის მოთხოვნები სახლის საპროექტო ხარჯის, მისასვლელი გზის მოხრეშვაზე გაწეული ხარჯის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის გამოყოფის ხარჯის ანაზღაურებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდა. ამავ გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა სასამართლო ხარჯის ანაზღაურება 85 ლარის ოდენობით. სასამართლოს გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდა 1154 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმდა „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიაზე“ სახელმწიფო ბაჟის - 1154 ლარის დაკისრების ნაწილში, დანარჩენ ნაწილში სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 22 აპრილის გადაწყვეტილებით „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილა; გაუქმდა სააპელაციო პალატის 2003 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში; აუცილებელი გზის კომპენსაციის ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ა-ძის სარჩელი აუცილებელი გზის კომპენსაციის მოთხოვნის ნაწილში დაკმაყოფილდა და „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას“ გ. ა-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 5 378 ლარისა და 21 თეთრის გადახდა, კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა და სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება გ. ა-ძის სასარგებლოდ კაკლის ნერგების განადგურებით მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიისთვის" 40.800 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. გ. ა-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 11 მაისის გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი გ. ა-ძის სასარგებლოდ "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" სასარგებლოდ სასამართლო ხარჯის - 85 ლარის დაკისრების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ გ. ა-ძის სარჩელის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებელი მოითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებების გაუქმებას, ეს არ ცვლის განსჯადობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადება არ არის საკასაციო სასამართლოს განსჯადი და შეტანილი უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან - თბილისის სააპელაციო სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ გ. ა-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ აკმაყოფილებს ამავე კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ განსჯადობის წესების დაცვით განცხადების შეტანის მოთხოვნებს, რაც აღნიშნული განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე, 429-ე, 284-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

განუხილველად იქნეს დატოვებული გ. ა-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 აპრილისა და 11 ივნისის განჩინებების, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლობის გამო;

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსჯადობა

განჩინება

#ა-2136-ა-26-09

16 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის მოსამართლე: რ. ნადირიანი

საქმის ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა თ. ჩ-ძის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ.

პალატამ გამოარკვია:

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილებით თ. ჩ-ძის სარჩელი მ. გ-ძის მიმართ მისთვის 30000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა თ. ჩ-ძემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივლისის სხდომაზე არ გამოცხადდნენ აპელანტი თ. ჩ-ძე და მისი მეუღლე შ. ქ-ძე; მ. გ-ძის წარმომადგენელ

რ. ხ-ამის შუამდგომლობა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის თაობაზე დაკმაყოფილდა - სასამართლომ გამოიტანა დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც თ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 5 დეკემბრის განჩინებით თ. ჩ-ძის საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 13 ივლისის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე დაკმაყოფილდა, გაუქმდა მითითებული გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილებით თ. ჩ-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 23 აპრილის გადაწყვეტილება. თ. ჩ-ძეს დაეკისრა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ბაჟის 823 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

აღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაასაჩივრა თ. ჩ-ძემ, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის განახლება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილებით თ. ჩ-ძის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ამ საქმეზე გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ჩ-ძე გათავისუფლდა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებისაგან, დანარჩენ ნაწილში განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

2009 წლის 8 ოქტომბერს თ. ჩ-ძემ განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და მოითხოვა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე-427-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში და ამ ნაწილში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა წარმოდგენილი განცხადება და მიაჩნია, რომ იგი განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს. ამავე კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების (განჩინების) გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს განცხადებას გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, თუ იგი მის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას ეხება.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი ითხოვს საკასაციო პალატის გადაწყვეტილების გაუქმებას იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 9 იანვრის განმეორებითი დაუსწრებელი გადაწყვეტილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, განცხადება არ არის საკასაციო სასამართლოს განსჯადი, ვინაიდან იგი არ ეხება უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, მითითებული მუხლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თ. ჩ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ აკმაყოფილებს ამავე კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ განსჯადობის წესების დაცვით განცხადების შეტანის მოთხოვნებს, რაც აღნიშნული განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე და 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

თ. ჩ-მის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2008 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ, დარჩეს განუხილველად; საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირი

განჩინება

#ას-974-1253-09

29 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

რ. ნადირიანი (მომხსენებელი),

თ. თოდრია

დავის საგანი: ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის პირველ მთავრულ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს აწ გარდაცვლილი რ. ბ-მის სახელით განცხადებით მიმართა გ. კ-მემ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 სექტემბრის განჩინებით რ. ბ-მის წარმომადგენელ გ. კ-მის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

სასამართლომ მიუთითა: ვინაიდან რ. ბ-მე გარდაცვლილია, შესაბამისად, შეუძლებელია მისი სახელით მისი უფლებების დაცვა წარმომადგენლის მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 11 სექტემბრის განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა რ. ბ-მის წარმომადგენელმა გ. კ-მემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მისი განცხადების დასაშვებად ცნობა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ გ. კ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია (სსსკ-ის თავი II, მუხლები 421-ე-432-ე) დადგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ამავე კოდექსის მესამე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

მითითებული მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში ნიშნავს მხარეთა თავისუფლებას განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

უფლების დასაცავად სასამართლოში მიმართვა თვით დაინტერესებული პირის ნება-სურვილზეა დამოკიდებული. მისი ნების გარეშე არავის აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს. მართალია, პირს შეუძლია აწარმოოს საქმე სასამართლოში პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, მაგრამ ეს არაფერს ცვლის: პირი თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, ადრას სარჩელი სასამართლოში, თუმცა საქმის წარმოება მას შეუძლია მიანდოს წარმომადგენელს (სსსკ-ის 93-ე მუხლის მეორე ნაწილი). საპროცესო

კანონმდებლობით წარმომადგენელი ის პირია, რომელიც მარწმუნებლის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად ასრულებს სასამართლოში ყველა იმ საპროცესო მოქმედებას, რაც გათვალისწინებულია კანონით და მარწმუნებლის მიერ გაცემული მინდობილობით.

სამოქალაქო კოდექსის 98-ე მუხლი შეიცავს იმ საპროცესო მოქმედებათა ჩამონათვალს, რომელთა შესრულების უფლებაც არა აქვს წარმომადგენელს სპეციალური მინდობილობის გარეშე, კერძოდ, მითითებული მუხლის შესაბამისად წარმომადგენელს მარწმუნებლის სახელით არ შეუძლია აღძრას სარჩელი სასამართლოში, ვინაიდან აღნიშნული მოქმედება უკავშირდება მარწმუნებლის მიერ მატერიალურ-სამართლებრივი უფლების განკარგვას (დისპოზიციურობის პრინციპი) და, შესაბამისად, თუ წარმომადგენელმა სპეციალური მინდობილობის გარეშე შეასრულა ასეთი საპროცესო მოქმედება, იგი არავითარ სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს და ასეთი საჩივარი ან განცხადება განუხილველად დარჩება.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ დაინტერესებულ პირს წარმოადგენდა გ. კ-ძის მარწმუნებელი რ. ბ-ძე, რომელიც გარდაიცვალა 2009 წლის პირველ მასის.

სამოქალაქო კოდექსის 109-ე მუხლის "დ" ქვეპუნქტის თანახმად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ქარწყლდება უფლებამოსილების გამცემი პირის გარდაცვალებით ან მისი ქმედუუნარობის დადგომით, თუკი შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, მითითებული მუხლების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გ. კ-ძეს, როგორც აწ გარდაცვლილი რ. ბ-ძის წარმომადგენელს, არ ჰქონდა უფლება გარდაცვლილი პირის სახელით მიემართა სასამართლოსათვის მისი უფლებების დასაცავად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული მუხლის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გ. კ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე, როგორც არაუფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი, სწორად დატოვა განუხილველად. შესაბამისად, კერძო საჩივარი უსაფუძვლოა და არ არსებობს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 სექტემბრის განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძვლები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

- გ. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 11 სექტემბრის განჩინება;
- განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა

განჩინება

#ას-902-1209-07

17 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),

ლ. ლაზარაშვილი (მომხსენებელი),

ნ. კვანტალიანი

კერძო საჩივრის დავის საგანი: საქმეზე წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2001 წლის 8 ნოემბერს გორის რაიონულ სასამართლოს სასარჩელო განცხადებით მიმართეს ზ. და ლ. კ-ძეებმა მოპასუხე ი. კ-ძის, მესამე პირების - შ. ბ-ურისა და ზ. ბ-ურის მიმართ სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის განსაზღვრისა და რეალურად გამოყოფის თაობაზე.

მოსარჩელეთა მითითებით, გორში, ... ქ. #114-ში მდებარე სახლი ირიცხება მ. ნ-ის ასულ ბ-ურის სახელზე, სახლის საცხოვრებელი ფართია 83.2 კვ.მ., დამხმარე - 23,50 კვ.მ, ასევე, სახლზე უკანონოდ მიშენებულია 68.75 კვ.მ-იანი ოთახები.

მ. ბ-შვილი გარდაიცვალა 1990 წლის 19 აპრილს, მას ჰყავდა სამი შვილი: შ., ნ. და ზ. ბ-ურები. მის სამკვიდროს ფაქტობრივად დაეუფლნენ თანმყოფი მემკვიდრეები - შ. და ნ. ბ-ურები. მართალია, ზ. ბ-შვილი სამკვიდროს არ დაუფლებია, მაგრამ შ. და ნ. ბ-ურები წინააღმდეგი არ იყვნენ სამკვიდროდან 1\3 მისთვის დაეთმოთ.

ნ. ბ-ური გარდაიცვალა 1994 წლის 30 დეკემბერს, რომელსაც დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: პირველი ქორწინებიდან შვილები (მოსარჩელები) - ლ. და ზ. კ-ძეები და მეუღლე - მოპასუხე ი. კ-ძე. ი. კ-ძე მთლიანად დაეუფლა ნ. ბ-ურის სამკვიდროს, ხოლო ლ. და ზ. კ-ძეებმა (მოსარჩელებმა) კანონით დადგენილ ვადაში მიმართეს ნოტარიუსს, მაგრამ სამკვიდროს მიღება ვერ განხორციელდა მოპასუხე ი. კ-ძის პრეტენზიის გამო.

ვინაიდან მ. ბ-შვილს დარჩა სამი პირველი რიგის მემკვიდრე, შ., ნ. და ზ. ბ-შვილები, რომლებიც დაეუფლნენ სამკვიდროს (თითოეულს 1\3-1\3), მოსარჩელებმა მოითხოვეს ნ. ბ-ურის კუთვნილი 1\3-ის სამ პირზე განაწილება - ლ. და ზ. კ-ძეებსა და ი. კ-ძისათვის 1\3-1\3-ის გამოყოფა.

აღნიშნულ სარჩელზე მოპასუხე ი. კ-ძემ რაიონულ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ ცნო და მიუთითა, რომ მისი დედამთილის - მ. ბ-შვილის სამკვიდროზე მემკვიდრეებად მიჩნეული უნდა იქნენ მხოლოდ შ. და ნ. ბ-ურები, ვინაიდან ზ. ბ-ურმა დედისაგან 1989 წელს მიიღო თავისი წილი - 5000 რუსული მანეთი. ამასთან, ზ. ბ-შვილს არასდროს გამოუთქვამს სამკვიდროზე პრეტენზია. მას გაშვებული აქვს სამკვიდროს მიღების ვადა და მემკვიდრედ აღარ უნდა ჩაითვალოს.

მ. ბ-შვილის სამკვიდროს მთლიანად დაეუფლნენ შ. და ნ. ბ-ურები, შესაბამისად, მოსარჩელებსა და მოპასუხეს შორის უნდა განაწილდეს ნ. ბ-შვილის კუთვნილი 1\2 (ანუ 3 პირზე). მას ბინაზე პრეტენზია არ ექნებოდა, თუ შეთანხმდებოდნენ და მოსარჩელები უყიდდნენ ერთობლივად ბინას გორში.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვის პერიოდში ი. კ-ძემ შეიტანა შეგებებული სარჩელი ზ. და ლ. კ-ძეების მიმართ სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის განსაზღვრისა და რეალურად გამოყოფის შესახებ. მოთხოვნის საფუძველად აღნიშნა, რომ ნ. ბ-ურთან რეგისტრირებულ ქორწინებაშია 1990 წლის 11 ნოემბრიდან, არის მეუღლის ქონების თანამესაკუთრე, შესაბამისად, ნ. ბ-ურის წილი უნდა გაიყოს შუაზე და ნახევარი მას უნდა მიეკუთვნოს, ხოლო დარჩენილი - განაწილდეს ნ. ბ-ურის მემკვიდრეებზე - ი., ზ. და ლ. კ-ძეებზე. ი. კ-ძემ ასევე მოითხოვა უკანონოდ მიშენებული 62,75კვ.მ-ის ზემოაღნიშნული წესით.

2002 წლის 17 ივნისს გორის რაიონულ სასამართლოს დამოუკიდებელი სარჩელით მიმართა მესამე პირმა ნ. კ-ძემ მოპასუხე ი. კ-ძის მიმართ და მიუთითა, რომ გორის სახალხო სასამართლოს 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებით სარგებლობის უფლებით გამოეყო გორში, ... ქ. #114-ში მდებარე სახლიდან #2 ოთახი დამხმარე სათავსებით და შესახლებულ იქნა ამ ბინაში. მან მოითხოვა მემკვიდრეებს შორის დავის გადაწყვეტისას გათვალისწინებულ იქნეს ეს გარემოებაც და #2 ოთახი დარჩეს მის სარგებლობაში.

2003 წლის 12 თებერვალს გორის რაიონულ სასამართლოს დამატებითი სარჩელით მიმართეს შ. და ზ. ბ-ურებმა, ლ. და ზ. კ-ძეებმა მოპასუხე ი. კ-ძის, მესამე პირების - ნ. კ-ძისა და გორის ნოტარიუს ლ. გ-შვილის მიმართ და მოითხოვეს სამკვიდრო ქონების მათ მიერ მიღებულად ცნობა, ამავე დროს სამკვიდროს განაწილება იდეალურად - 1\3-1\3 შ. და ზ. ბ-ურებზე, ხოლო 1\3 ნ. ბ-ურის შვილებზე - ლ. და ზ. კ-ძეებზე.

აღნიშნულ დამატებით სარჩელზე ი. კ-ძემ შეიტანა შეგებებული სარჩელი, რომელშიც მიუთითა, რომ შ. და ზ. ბ-ურები (ა-ძე) თავდაპირველ სარჩელში მითითებული არიან როგორც მესამე პირები, ამიტომ მათ უნდა წარედგინათ არა დამატებითი, არამედ დამოუკიდებელი სარჩელი, რის გამოც დარღვეულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 88-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები. გორში, ... ქ. #114-ში მდებარე სახლი არ ყოფილა მთლიანად მ. ბ-ურის საკუთრება, არამედ ეკუთვნოდა მის მეუღლესაც ნ. ბ-ურს და ითხოვა მათი წილების გამიჯვნა, ხოლო შემდეგ მემკვიდრეთა წილების განსაზღვრა.

რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვისას ი. კ-ძემ დააზუსტა თავისი მოთხოვნა და მოითხოვა ზ., ლ. კ-ძეების და ზ. ბ-შვილის სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და მისთვის ნ. ბ-ურის სამკვიდროს მიღებულად ჩათვლა.

გორის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბერის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ზ. ბ-ურის, ზ. და ლ. კ-ძეების სარჩელი ი. კ-ძის მიმართ, სამკვიდროს მიღებულად ცნობის, სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის განსაზღვრისა და რეალურად გამოყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მესამე პირის - ნ. კ-ძის დამოუკიდებელი სარჩელი ი. კ-ძის მიმართ ფართის მის სარგებლობაში დატოვების თაობაზე არ დაკმაყოფილდა მისი გამოუცხადებლობის გამო; ი. კ-ძის შეგებებული სარჩელი ზ. და ლ. კ-ძეების მიმართ (მესამე პირი - ზ. ბ-ური) სამკვიდრო ქონებიდან კუთვნილი წილის

განსაზღვრისა და რეალურად გამოყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა: ი. კ-ძეს მიღებულად ჩაეთვალა გორში, ... ქ. #114-ში მდებარე სახლის ძირითადი და დამხმარე ფართი ეზოთი.

ზ. ა-ძის, ლ. კ-ძის, ზ. კ-ძის, ნ. კ-ძისა და შ. ბ-ურის უფლებამონაცვლის - მ. ბ-ძის საჩივრის საფუძველზე დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და განახლდა საქმის არსებითი განხილვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 27 იანვრის მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, კვლავ მოსარჩელეთა გამოუცხადებლობის გამო, სადავო საკითხი გადაწყდა პირველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მსგავსად.

მოსარჩელეთა და მესამე პირის სააპელაციო საჩივრის საფუძველზე რაიონული სასამართლოს მეორე დაუსწრებელი გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 28.04.05 წლის განჩინებით გაუქმდა. შ. ბ-ურის გარდაცვალების გამო საქმეში მის უფლებამონაცვლედ ჩაება მისი მეუღლე ე. ბ-ური. ამავე პალატის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით შ. ბ-ურის უფლებამონაცვლის - მ. ბ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და იგი ცნობილ იქნა გორში, ... ქ. #114-ში მდებარე მ. ბ-ურის დანაშთი საცხოვრებელი სახლის იდეალური 1\2 მესაკუთრედ; ზ. და ლ. კ-ძეების სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ისინი ცნობილი იქნენ გორში, ... ქ. #114-ში მდებარე, მ. ბ-შვილის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის მესაკუთრედ თითოეული 1\6-ზე; ასევე ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ი. კ-ძის შეგებებული სარჩელი და იგი ცნობილ იქნა გორში, ... ქ. #114-ში მდებარე, მ. ბ-შვილის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის 1\6-ის მესაკუთრედ; ზ. ბ-ური-ა-ძის სარჩელი გორში, ... ქ. #114-ში მდებარე მ. ბ-ურის საცხოვრებელი სახლის 1\3-ის მესაკუთრედ ცნობაზე არ დაკმაყოფილდა ხანდაზმულობის გამო; ნ. კ-ძეს გორში, ... ქ. #114-ში მდებარე მ. ბ-ურის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის #2 ოთახის და დამხმარე სათავსის მოსარგებლედ ცნობაზე უარი ეთქვა უსაფუძვლობის გამო.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებას საფუძველად დაუდო შემდეგი გარემოებები:

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ მამკვიდრებელი მ. ბ-ური გარდაიცვალა 1990 წელს, რომელსაც დარჩა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლი, მდებარე ქ. გორში, ... ქ. #114-ში, რომელიც შედგებოდა 4 ოთახისაგან - საცხოვრებელი 83,20 კვ.მ, დამხმარე - 23,53 კვ.მ. აღნიშნულ სახლზე 68,75 კვ.მ უნებართვოდაა მიმენებული.

მამკვიდრებელ მ. ბ-ურს ჰყავდა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: შ. და ნ. ბ-ურები და ზ. ბ-ური-ა-ძე. შ. და ნ. ცხოვრობდნენ დედასთან თავიანთ ოჯახებთან ერთად, დედის გარდაცვალების შემდეგ ფაქტობრივად დაეუფლნენ სამკვიდროს და, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 556-ე მუხლის შესაბამისად, მათ სამკვიდრო მიღებულად ჩაეთვალა 1\2-1\2-ზე.

მ. ბ-ურის ერთ-ერთი მემკვიდრე ნ. ბ-ური გარდაიცვალა 1994 წლის 30 დეკემბერს და, სააპელაციო სასამართლოს აზრით, მისი სამკვიდრო გაიხსნა ქ. გორში, ... ქ. #114-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მის კუთვნილ 1\2-ზე. მას ჰყავდა სამი პირველი რიგის მემკვიდრე: მეუღლე ი. კ-ძე და შვილები პირველი ქორწინებიდან - ზ. და ლ. კ-ძეები.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ი. კ-ძის მოსაზრება, რომ ზ. და ლ. კ-ძეებმა გაუშვეს სამკვიდროს მიღების ვადა, ვინაიდან სასამართლო სხდომაზე სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის ქურნალის დათვალიერებით და ნოტარიუს ლ. გოგიაშვილის განმარტებით, სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია ის ფაქტი, რომ ნ. ბ-ურის გარდაცვალების შემდეგ, ზ. და ლ. კ-ძეებმა, შ. ბ-ურმა, ი. კ-ძემ და ზ. ა-ძემ სანოტარო ბიუროს მიმართეს განცხადებით სამკვიდროს მისაღებად 1995 წლის 12 მაისს, თუმცა მხარეთა თხოვნით, ერთმანეთში მორიგების მიზნით, ნოტარიუსმა რეგისტრაცია გააუქმა, ხოლო რადგან ისინი ვერ მორიგდნენ, განმეორებით მიმართეს იმავე წლის 4 ივლისს, რის გამოც მათ სამკვიდროს მიღების ვადა არ გაუშვიათ.

სასამართლომ ასევე არ გაიზიარა ი. კ-ძის მოსაზრება, რომ ლ. კ-ძე სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანისას არასრულწლოვანი იყო და განცხადებაზე ხელის მოწერის უფლება არ ჰქონდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ თვითონ ნოტარიუსს უნდა გამოესწონებინა ეს ხარვეზი და მოეთხოვა კანონიერი წარმომადგენლის შესაბამისი განცხადება. ამასთან, ლ. კ-ძის მოქმედება მოიწონა მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა ნ. კ-ძემ (დედამ), ხოლო მისი ნამდვილი ნება დადასტურდა სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ სარჩელის სასამართლოში შეტანით. სასამართლომ გაითვალისწინა ისიც, რომ ი. კ-ძე სარჩელის დაზუსტებამდე მოითხოვდა მ. ბ-ურის სამკვიდროს გაყოფას თანაბარ წილად შ. და ნ. ბ-ურებს შორის, ხოლო ნ. ბ-ურის 1\2-ის სამ მემკვიდრეს შორის გაყოფას, მათ შორის, ლ. კ-ძისათვისაც მიკუთვნებას.

რაც შეეხება ნ. კ-ძის დამოუკიდებელ სარჩელს #2 ოთახის მოსარგებლედ აღიარების შესახებ, სააპელაციო სასამართლოს მიერ ეს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ, მიუხედავად სასამართლოს 1986 წლის 17 ივლისის გადაწყვეტილებისა, მას ამ ოთახით არ უსარგებლია (ანუ გადაწყვეტილება არ აღსრულებულა) და შვილებთან ერთად ცხოვრობდა სხვაგან. მან მეუღლესთან განქორწინების შემდეგ შეწყვიტა ამ ბინის მფლობელობა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 156-ე მუხლის შესაბამისად, დაკარგა მასზე ფაქტობრივი ბატონობა, რადგან მას აღნიშნული უფლება 16 წლის განმავლობაში არ გამოუყენებია.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ი. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება ზ. და ლ. კ-ძეების სარჩელის დაკმაყოფილებისა და მისთვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2006 წლის 14 აპრილის განჩინებით ი. კ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

2006 წლის 17 მაისს ი. კ-მემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმების და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

განმცხადებელმა ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიუთითა, რომ ლ. და ზ. კ-ძეების და ზ. ა-ძის მიერ 1995 წლის 4 ივლისს სანოტარო კანტორაში წარდგენილი განცხადებები, რომლითაც ისინი ითხოვდნენ 1990 წელს გარდაცვლილი მ. ბ-ურის სამკვიდროს, ყალბია, რადგან ერთი პირის მიერაა შედგენილი და ხელმოწერილი. განმცხადებლის მოსაზრებით, ასევე ყალბია გორის ნოტარიუს მ. მ-შვილის მიერ 2002 წლის 11 თებერვალს გაცემული სანოტარო აქტი, რადგან მასში ლ. კ-ძის რეკვიზიტები არ არის სრულყოფილად მითითებული და არც მარწმუნებლის ხელმოწერაა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 25 მაისის განჩინებით, ი. კ-ძეს დაევალა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების ხარვეზების შევსება, კერძოდ, აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში განცხადების ვადაში შეტანის დადასტურება და სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ი. კ-მემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებაში არსებული ხარვეზი ნაწილობრივ გამოასწორა, კერძოდ, აღნიშნული ხარვეზის შევსების მიზნით 7.06.06წ. სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში მიუთითა, თუ როდის გახდა ცნობილი მისთვის ახლად აღმოჩენილი გარემოება, რისი გათვალისწინებითაც მას საქმეზე წარმოების განახლების შესახებ განცხადების გასაჩივრებისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადა დაცული ჰქონდა. ამასთან, განმცხადებელმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, რამდენადაც განცხადებაზე თანდართული გორის რაიონის გამგეობის ბუღალტერიის სამსახურის ცნობით დასტურდებოდა, რომ ი. კ-ძის ხელფასი თვეში მხოლოდ 60 ლარს შეადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 8 ივნისის განჩინებით ი. კ-ძის განცხადება ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ი. კ-ძეს გაუგრძელდა საპროცესო ვადა 10 დღით აღნიშნული განჩინების ჩაბარებიდან სასამართლოს მიერ დაწესებული ხარვეზის გამოსასწორებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 ივლისის განჩინებით ი. კ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლებაზე დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. კ-მემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების განსახილველად მიღება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განჩინებით გაუქმდა მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 4 სექტემბრის განჩინება, ი. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 ივლისის განჩინება.

2007 წლის 31 აგვისტოს ი. კ-მემ კვლავ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს.

განმცხადებლის მითითებით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ 2006 წლის 17 მაისის განცხადება, რომლითაც ითხოვდა თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმეზე წარმოების განახლებას, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 30 ივლისის განჩინებით სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო განუხილველი დარჩა.

განმცხადებელმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც ხანდაზმულობის ვადა არ შეწყვეტილა და ამავე კოდექსის 424-ე მუხლის თანახმად, განმეორებით წარადგინა განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, იმავე საფუძველით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით ი. კ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი მისი დაუშვებლობის გამო.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განჩინებით უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 ივლისის განჩინება, რომლითაც ი. კ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო. ი. კ-ძემ კი იმავე განცხადებით განმეორებით მომართა სასამართლოს 2007 წლის 31 აგვისტოს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განმცხადებელმა არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლის შინაარსი, რომლის მიხედვით, სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. ახალი განცხადება მხარის მიერ შეტანილ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით განსაზღვრული განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადის გასვლის - პირველი განცხადების შეტანიდან 15 თვის გასვლის შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენადაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ერთთვიანი ხანდაზმულობის ვადის გაგრძელება და აღდგენა არ შეიძლება, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ი. კ-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განუხილველი უნდა დარჩენილიყო.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ი. კ-ძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

კერძო საჩივრის ავტორის მითითებით, მან ერთხელ უკვე მიმართა სააპელაციო სასამართლოს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუმცა სასამართლომ მისი ეს განცხადება განუხილველად დატოვა სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის საფუძველით. განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 6 ივლისის განჩინებაზე ი. კ-ძემ კერძო საჩივარი შეიტანა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 30 აპრილის განჩინებით არ დაკმაყოფილდა და განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ 2006 წლის 6 ივლისის განჩინება უცვლელად დარჩა.

იმის გათვალისწინებით, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ წყდება, ი. კ-ძემ სააპელაციო სასამართლოში ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ ხელახალი განცხადება წარადგინა, რომლითაც ამავე სასამართლოს 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინების გაუქმება და განცხადების განხილვა მოითხოვა, რაც ხანდაზმული არ იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 2 ოქტომბრის განჩინება დატოვებულ იქნეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის პირველი ნაწილის "ვ" ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. ამავე კოდექსის 426-ე მუხლის მიხედვით, განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება, ხოლო ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. აღნიშნული ნორმის მოთხოვნიდან გამომდინარე, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ განცხადების დასაშვებად მიჩნევისათვის აუცილებელია განმცხადებლის მიერ აღნიშნული განცხადების კანონით დადგენილ ერთთვიან ვადაში წარდგენა.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ განცხადება დასაშვებია, რადგან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 6 ივლისის განჩინებით მისი ანალოგიური შინაარსის განცხადება განუხილველად არის დატოვებული, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 277-ე მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ წყდება. საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მსჯელობას არ ეთანხმება, რამდენადაც დასახელებული ნორმა ცალსახად მიუთითებს, რომ სარჩელის (განცხადების) განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ შეწყდება. ამასთან, ამ შემთხვევაში არ არსებობს არც სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების საფუძველი,

რამდენადაც აღნიშნული ნორმა არ ითვალისწინებს აღმკვეთი საპროცესო ვადების ხანდაზმულობის გაგრძელებას, როგორცაა წარმოადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შესახებ განცხადების შეტანის ერთთვის ვადა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილი იმპერატიულად მიუთითებს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადის აღდგენის დაუშვებლობაზე, კერძოდ, კანონის დასახელებული ნორმის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

მოცემული განცხადება, რომელიც სააპელაციო სასამართლოში შეტანილია 2007 წლის 31 აგვისტოს, წარმოადგენს ი. კ-ძის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარდგენილ მეორე განცხადებას ამავე სასამართლოს 2005 წლის 27 მაისის გადაწყვეტილებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით. პირველი ანალოგიური შინაარსის განცხადება ი. კ-ძის მიერ სააპელაციო სასამართლოში შეტანილია 2006 წლის 17 მაისს. შესაბამისად, ი. კ-ძის მოცემულ შემთხვევაში დარღვეული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვის ვადა, რაც დაუშვებლობის მოტივით მისი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და კერძო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 419-ე-420-ე მუხლებით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

1. ი. კ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 17 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა

განჩინება

#ას-846-1159-07

19 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),

თ. თოდრია (მომხსენებელი),

რ. ნადირიანი

კერძო საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოებაში მიღება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 10 აგვისტოს მ. თ-ძემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2006 წლის 2 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 15 აგვისტოს ხარვეზის შესახებ განჩინებით მ. თ-ძეს განემარტა განცხადების ხარვეზის შესახებ, კერძოდ, მას არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის ოდენობით და, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმის შესახებ, რომ მას დაცული ჰქონდა ამავე კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვის ვადა.

2007 წლის 7 სექტემბერს მ. თ-ძემ ხარვეზის შეცვების შესახებ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მიუთითა, რომ იგი არის ინვალიდი, რის გამოც გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან და წარმოადგინა საპენსიო მოწმობა (იგი საქართველოს უზენაესი

სასამართლოს 2006 წლის 14 სექტემბრის განჩინებით განთავისუფლებულ იქნა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან). მან ასევე მიუთითა, რომ საქმის წარმოების განახლების საფუძვლის შესახებ შეიტყო 2007 წლის 24 ივლისს, მაშინ, როდესაც ჩაჰბარდა ამავე სასამართლოს 2007 წლის 4 ივლისის განჩინება, სადაც განმარტებული იყო, რომ მას 2006 წლის 2 მაისის გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების მოთხოვნით შეემძლო მიემართა სასამართლოსათვის განცხადებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მ. თ-მის განცხადება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად.

აღნიშნულ განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა მ. თ-მემ. მან მიუთითა, რომ იგი თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, რაც არ გაითვალისწინა სასამართლომ, გარდა ამისა, მისი განცხადება შეესაბამებოდა კანონის მოთხოვნებს და არ ჰქონდა დარღვეული განცხადების შეტანისათვის დადგენილი ერთთვიანი ვადა. აქედან გამომდინარე, იგი თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დატოვა მისი განცხადება განუხილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო კერძო საჩივარს და მიაჩნია, რომ მ. თ-მის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით, იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ განცხადება არ აკმაყოფილებს მითითებულ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნებს, სასამართლო ავალეს განმცხადებელს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება. ამავე კოდექსის 429-ე მუხლის მიხედვით კი სასამართლო თავისი ინიციატივით ამოწმებს დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დასაშვებობის ესა თუ ის პირობა, სასამართლო თავისი განჩინებით განცხადებას ტოვებს განუხილველად.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მიერ სრულად არ იქნა გამოსწორებული ხარვეზის შესახებ განჩინებაში მითითებული მოთხოვნები, კერძოდ, მ. თ-მეს სახელმწიფო ბაჟი არ გადაუხდია.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ვინაიდან საპენსიო მოწმობაში, რომელიც მხარემ წარმოადგინა, მითითებულია, რომ მ. თ-მეს ინვალიდობის ვადა დადგენილი აქვს მხოლოდ 2007 წლის 1 იანვრამდე, შესაბამისად, მხარე ვერ გათავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება, ხოლო ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით კი ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეს გაშვებული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გასაჩივრების ერთთვიანი ვადა, ვინაიდან 2006 წლის 2 მაისის გადაწყვეტილების ბათილობის საფუძვლის არსებობის შესახებ მხარისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ 2006 წლის 14 სექტემბერს, როდესაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებით მხარე გათავისუფლებულ იქნა სახელმწიფო ბაჟისაგან, ამდენად, მ. თ-მეს მითითებული გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში უნდა მიემართა სასამართლოსათვის განცხადებით საქმის წარმოების განახლების შესახებ.

აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ვინაიდან არ არსებობდა განცხადების დასაშვებობის პირობა, სააპელაციო სასამართლომ სწორად დატოვა მისი განცხადება განუხილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მ. თ-ძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 24 სექტემბრის განჩინება;
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახალად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა

განჩინება

#ას-160-429-08 23 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე),
რ. ნადირიანი (მომხსენებელი),
თ. თოდრია

დავის საგანი: საქმის წარმოების განახლება

აღწერილობითი ნაწილი:

2000 წლის 6 ივლისს ვ. კ-ძემ სარჩელით მიმართა თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების - მ. კ-ძის, ნ. ზ-შვილის, შ. და ქ. კ-შვილების წინააღმდეგ და მოითხოვა უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა.

ქ. კ-შვილმა, თავის მხრივ, შეგებებული სარჩელით მოითხოვა 1999 წლის 23 ოქტომბრის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ვინაიდან მ. კ-ძესთან გააფორმა სამისდღეო რჩენისა და არა ჩუქების ხელშეკრულება, ასევე მოითხოვა მ. კ-ძესა და ვ. კ-ძეს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით ვ. კ-ძის სარჩელი ქ. და შ. კ-შვილების ქ. თბილისში, ... ქ.#1-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა, დაკმაყოფილდა ქ. კ-შვილის შეგებებული სარჩელი, \ - ბათილად იქნა ცნობილი ქ. კ-შვილსა და მ. კ-ძეს შორის 1999 წლის 23 ოქტომბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულება, ასევე, ბათილად იქნა ცნობილი მ. კ-ძესა და ვ. კ-ძეს შორის 2000 წლის 3 ივლისს დადებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება, ვ. კ-ძე ცნობილ იქნა სადავო ბინის არაკეთილსინდისიერ მფლობელად.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მ. კ-ძემ, ნ. ზ-შვილმა და ვ. კ-ძემ.

ქ. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ვ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეების - მ. კ-ძის, ქ. და შ. კ-შვილების მფლობელობიდან გამოთხოვილ იქნა ვ. კ-ძის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ... ქ. #1-ში მდებარე ბინა; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქ. და შ. კ-შვილების შეგებებული სარჩელი - ბათილად იქნა ცნობილი ქ. კ-შვილსა და მ. კ-ძეს შორის 1999 წლის 23 ოქტომბერს დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულება.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ქ. კ-შვილმა და მ. კ-ძემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 აპრილის განჩინებით, კასატორების მიერ საკასაციო საჩივრებზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება და თბილისის საოლქო სასამართლოს სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში.

2007 წლის 15 მაისს ქ. კ-შვილმა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით იმ საფუძველით, რომ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურატურის 2003 წლის 30 აპრილის დადგენილებით შეწყდა სისხლის სამართლის საქმე მ. კ-ძის მიმართ თვითნებობის ფაქტზე ხანდაზმულობის გამო.

ახლად აღმოჩენილ გარემოებად განმცხადებელმა მიუთითა პროკურატურის დადგენილებით დადგენილი, მ. კ-მის მხრიდან ჩადენილი თვითნებობის ფაქტი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 იანვრის განჩინებით ქ. კ-შვილის განცხადება, ახლად ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩა განუხილველად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის განახლების მოთხოვნის შესახებ განცხადების შეტანის კანონით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ქ. კ-შვილმა, მოითხოვა მისი გაუქმება და საქმის წარმოების განახლება იმ საფუძველით, რომ მას კანონით დადგენილი ვადა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, განცხადების შეტანის თაობაზე არ დაუარღვევია.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 417-ე მუხლის საფუძველზე, აღნიშნული კერძო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსახილველად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ, საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, შეისწავლა საქმის მასალები, კერძო საჩივრის საფუძველები და თვლის, რომ ქ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 265-ე მუხლის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც დადგენილია ამ კოდექსით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 425-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა და მისი განხილვა წარმოებს საერთო წესების დაცვით იმ გამონაკლისების გათვალისწინებით, რომლებიც ამ თავშია დადგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების თანახმად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველების არსებობა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანა დაუშვებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლის გასვლის შემდეგ.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ Yთბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომელიც საკასაციო წესით გაასაჩივრეს როგორც ქ. კ-შვილმა, ასევე - მ. კ-მემ.

ასევე დადგენილია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 22 აპრილის განჩინებით, კასატორების მიერ საკასაციო საჩივრებზე უარის თქმის გამო, შეწყდა საქმის წარმოება და თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2001 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის თარიღია 2002 წლის 22 აპრილი.

საქმის მასალების მიხედვით, ქ. კ-შვილმა, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით სასამართლოს განცხადებით მიმართა 2007 წლის 15 მაისს, თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 წლისა და 23 დღის შემდეგ ანუ კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია ქ. კ-შვილმა განცხადებით კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ მიმართა სასამართლოს, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ქ. კ-შვილის განცხადება სწორად დატოვა განუხილველად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, ხოლო კერძო საჩივარი უსაფუძველო და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების სამართლებრივი საფუძველები.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ქ. კ-შვილის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 იანვრის განჩინება;
განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახალად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა

განჩინება

გვ-1066-ბ-29-08 22 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის
მოსამართლე ნ. კვანტალიანი

დავის საგანი: უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

აღწერილობითი ნაწილი:

ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობამ სარჩელი აღძრა სასამართლოში თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს მიმართ უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის შესახებ შემდეგი საფუძვლებით: ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის პირველი სარდაფ-სართული ხელისუფლების სიტყვიერი განკარგულებით გადაეცა სახელმწიფო დაწესებულებებს, რითაც შეილახა კორპუსის მობინადრეთა უფლება, კერძოდ, მათ ვერ მიიღეს სარდაფები. სადავო ფართში წლების განმავლობაში განთავსებული იყო ხილბოსტანვაჭრობის სამმართველო, შავი ზღვის აუზის ტევზის სამმართველო და ბოლოს - ეკოლოგიის დაცვის პოლიცია. ამჟამად დასახელებული ფართი თავისუფალია და მიზანშეწონილია გადაეცეს ამხანაგობის წევრებისათვის გადაცემა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის პირველი სართულზე არსებული ფართი სახელმწიფოს საკუთრებაა და მოსარჩელეთათვის მისი გადაცემის საფუძველი არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 17 აპრილის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებანი და სამართლებრივი შეფასებები, კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი: მოსარჩელები არიან ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინების მესაკუთრეები, რომელთაც უსასყიდლოდ პრივატიზაციით გადაეცათ მათ სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ბინები. ზემოხსენებულ მისამართზე მდებარე კორპუსის პირველი სართულის ფართის პრივატიზაცია არ განხორციელებულა. სადავო სარდაფ-სართულს 1972 წლიდან ფლობდა ხილბოსტანვაჭრობის სამმართველო, 1992 წლიდან - შავი ზღვის აუზის ტევზის სამმართველო, 1997 წელს კი - ეკოლოგიის დაცვის პოლიცია. სადავო ფართი საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია სახელმწიფოს საკუთრების უფლებით. სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 5 აგვისტოს #520 დადგენილების "ბ" ქვეპუნქტით, 1992 წლის 11 აგვისტოს დადგენილების მე-5 პუნქტით და ჩათვალა, რომ სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, ვინაიდან პრივატიზების გზით ბინის მოსარგებლებს უსასყიდლოდ გადაეცემოდათ მხოლოდ სამეურნეო დანიშნულების დამხმარე სათავსები, რომლებიც პრივატიზაციამდე მათ სარგებლობაში იმყოფებოდა. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტთა მითითება, რომ სადავო ფართი სახელმწიფო ორგანიზაციებმა თვითნებურად დაიკავეს იქამდე, სანამ კორპუსის მობინადრეები კუთვნილ ბინებში შესახლდებოდნენ. სასამართლომ ასევე დაუსაბუთებლად ჩათვალა სააპელაციო საჩივრის არგუმენტი, რომ პრივატიზაციის გზით მოსარჩელებს უსასყიდლოდ უნდა გადაეცეთ მათთვის სამომავლოდ განკუთვნილი ფართი. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი ვერ გახდება მოსარჩელეთა მიერ მითითებული სამოქალაქო კოდექსის 149-ე-150-ე და 208-ე მუხლები, ვინაიდან აღნიშნული ნორმები განსაზღვრავს

უმრავი ნივთის, მისი არსებითი შემადგენელი ნაწილის, საკუთვებლის ცნებას და მრავალბინიან სახლში ინდივიდუალური საკუთრების საგნის შემენის საფუძვლებს, მაშინ, როდესაც სარჩელით მოსარჩელები მოითხოვენ სადავო ფართის საკუთრებაში გადაცემას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობამ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებულ განჩინებაში არასწორად მხოლოდ გრამატიკულად განმარტა ნორმატიული აქტები, როდესაც მიიჩნია, რომ ბინის მესაკუთრეებს გადაეცემოდათ საკუთრებაში ის სათავსები, რომლებსაც ისინი პრივატიზაციის მომენტისათვის მართლზომიერად ფლობდნენ. სასამართლომ არ შეაფასა, თუ რა იგულისხმებოდა სამეურნეო დანიშნულების ფართში. სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა, რომ 1992 წლიდან სადავო სარდაფ-სართული ყოველგვარი საფუძვლის გარეშე დაიკავეს სახელმწიფო დაწესებულებებმა. სასამართლოს ბათილად უნდა ეცნო 2004 წლის 29 ივლისის აქტი პრივატიზაციის სამმართველოს 2004 წლის 27 ოქტომბრის წერილის საფუძველზე დაკავებული სადავო სარდაფების საჯარო რეესტრში აღრიცხვის შესახებ, ვინაიდან იმ მომენტისათვის მოქმედი კანონმდებლობით დაყადაღებული ქონების რეესტრში აღრიცხვა დაუშვებელი იყო. ამდენად, სასამართლომ მიუთითა რა, რომ სადავო სარდაფების რეგისტრირებული მესაკუთრეა სახელმწიფო, ზემოხსენებული რეგისტრაციის ბათილად ცნობის საფუძველი არ გაითვალისწინა. სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 104-ე, 150-ე, მუხლები, ვინაიდან სარდაფი კასატორთა კუთვნილი კორპუსისა და მიწის ნაკვეთის განუყოფელი ნაწილია, ამასთან, სასამართლომ არ დაასაბუთა, რომელი კანონის საფუძველზეა სარდაფი აღიარებული ცალკე უფლების ობიექტად, ხომ არ განადგურებულა კორპუსი ან სარდაფს დანიშნულება ხომ არ დაუკარგავს. სასამართლომ საერთოდ არ იმსჯელა სარჩელში მითითებულ სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის მეორე ნაწილზე, რომლის მიხედვით სარდაფი კორპუსის საკუთვებელს წარმოადგენს. სასამართლომ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, რადგან სარდაფი მობინადრეთა საკუთრებად ითვლება. სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 373-ე მუხლი, ვინაიდან საქმე განიხილა მოსამზადებელი სხდომის ჩატარების გარეშე, რის გამოც კასატორმა ვერ განახორციელა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული მტკიცებულებათა გამოთხოვისა და მხარესთა მორიგების უფლებები. საქმე განხილულ იქნა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული არაკანონიერი სასამართლო შემადგენლობის მიერ, კერძოდ, მოსამართლე ხ.არევაძე გაფორმებულია არუსთავის საქალაქო სასამართლოში და უკანონოდაა მივლინებული სააპელაციო პალატაში. სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლი, ვინაიდან 2008 წლის 3 იანვრის განჩინებით უარი უთხრა კასატორს მოსამართლის აცილებაზე მოსამზადებელი სხდომის ჩატარების გარეშე, რაც დაუშვებელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავორტების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველი დაუშვებლობის გამო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად.

2008 წლის 26 ნოემბერს ქ.თბილისში, რაფიელ აგლადის ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელმა ი. ღ-შვილმა განცხადებით მიმართა საკასაციო სასამართლოს, მოითხოვა ამავე წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინება მხარეს ჩაჰბარდა 2008 წლის 20 ნოემბერს, საქმის განხილვიდან ერთი თვისა და ათი დღის შემდეგ. იგი არის დაუსაბუთებელი, რადგანაც სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა - სამოქალაქო კოდექსის 155-167-ე მუხლები, არ გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ისე განიხილა საქმე. საკასაციო სასამართლომ ასევე არ იმსჯელა სააპელაციო პალატის მიერ დაშვებულ საპროცესო დარღვევებზე, რაც მითითებული იყო საკასაციო საჩივარში, რომელიც ძირითადად ეყრდნობოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე და 394-ე მუხლებს. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე, ისე, რომ მხარეთათვის არ უცნობებიათ დასაშვებობის საკითხის განხილვის თარიღი. ასევე დარღვეულია განსჯადობის წესი, რადგანაც ადმინისტრაციული კატეგორის დავა განხილულ იქნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისში, ... ქ.#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელ ი. ღ-შვილის განცხადება უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადა განუხილველად უნდა დატოვოს. ამავე კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე და ამ ვადის გაგრძელებას კანონი არ ითვალისწინებს. დასახელებული ვადის დენა იწყება იმ დღიდან,

როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი თავად უთითებს, რომ გასაჩივრებული განჩინება ჩაბარდა 2008 წლის 20 ნოემბერს, ხოლო მან სასამართლოს მიმართა 2008 წლის 26 დეკემბერს, ანუ გასაჩივრებული განჩინების ჩაბარებიდან ერთი თვისა და ექვსი დღის შემდეგ, რის გამოც დარღვეულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა.

დასახელებული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. საჩივარი ან საბუთები, რომლებიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება. ამდენად, დასახელებული მუხლიდან გამომდინარე, მხარე კანონით ან სასამართლოს მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში ვალდებულია, განხორციელოს მასზე დაკისრებული მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვადის დაუცველად განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას იურიდიული შედეგი არ მოჰყვება და იგი განუხილველი დარჩება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე, 426-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ქ. თბილისში, ... ქ#26-ში მდებარე #1 კორპუსის ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენელი ი. ღ-შვილის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დარჩეს განუხილველი დაუშვებლობის გამო.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების შეტანის ვადა

განჩინება

#ა-1439-ა-23-08 29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის მოსამართლე ლ. ლაზარაშვილი

განიხილა ა. ი-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლების შესახებ. საკასაციო სასამართლომ

გამოარკვია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინებით ა. ი-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ნოემბრის განჩინებასა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2007 წლის 19 სექტემბრის დაუსწრებელ გადაწყვეტილებაზე განუხილველად იქნა დატოვებული.

2008 წლის 24 ივლისს ა. ი-ძემ ზემოაღნიშნული განჩინების გაუქმებისა და საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის მოთხოვნით მომართა საკასაციო სასამართლოს. მისი განმარტებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 19 თებერვლის განჩინება, რომლითაც მას დაევა საკასაციო საჩივარში არსებული ხარვეზის აღმოფხვრა, კერძოდ, 300 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრისა და კანონის შესაბამისად შედგენილი საკასაციო საჩივრის წარდგენა, ჩაჰბარდა 2008 წლის 26 თებერვალს. იძის მიუხედავად, რომ დადგენილ ვადაში ა. ი-ძემ ხარვეზის შესავსებად განსაზღვრული ვადის გაგრძელების შესახებ შუამდგომლობა წარადგინა, საკასაციო სასამართლომ აღნიშნულ შუამდგომლობაზე საერთოდ არ იმსჯელა და მისთვის პასუხის შეუტყობინებლად საკასაციო საჩივარი განუხილველი დატოვა, რაც არასწორია. შუამდგომლობის უსაფუძვლოდ მიჩნევის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს კასატორისათვის ხარვეზის შესავსებად დამატებითი ვადა უნდა განესაზღვრა და იგი განუხილველად მხოლოდ ამ ვადის გასვლის შემდეგ დაეტოვებინა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გავლერების საქმეთა პალატის 2008 წლის 20 მარტის განჩინების შესახებ ა. ი-ძემ

სასამართლო აღმასრულებლისაგან შეიტყო. აღნიშნულის შემდგომ მან ბათუმის საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების აღსრულების გადადების ან აღსრულების საშუალებებისა და წესის შეცვლის შესახებ განცხადება წარადგინა, რა დროსაც დასახელებული განჩინების ასლი გადაეცა.

საკასაციო სასამართლო ა. ი-ძის განცხადების დასაშვებობის საკითხის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ იგი დატოვებულ უნდა იქნეს განუხილველად, შემდეგ გარემოებათა გამო:

ა. ი-ძის განცხადება, მართალია, წარმოდგენილია კერძო საჩივრის საპროცესო ფორმით, მაგრამ შინაარსობრივად იგი წარმოადგენს განცხადებას საქმის წარმოების განახლების თაობაზე, რამდენადაც კერძო საჩივრით გასაჩივრებულია საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ საქართველოს უზენაესი სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განჩინება, რომელზეც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანას (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლი).

ამდენად, კერძო საჩივრის ფორმით წარმოდგენილი ა. ი-ძის განცხადება თავისი არსით მიჩნეულ უნდა იქნეს განცხადებად საქმის წარმოების განახლების შესახებ და მისი დასაშვებობა შემოწმდეს განცხადებისათვის დადგენილი საპროცესო ნორმების შესაბამისად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელს გაშვებული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა. განმცხადებელი საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინების გაუქმებას უკავშირებს მის შინაარსს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 20 მარტის განჩინება გაიგზავნა განმცხადებლის მიერ მითითებულ მისამართზე და ჩაჰბარდა მის შვილს 2008 წლის 3 აპრილს, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, ითვლება გზავნილის ჩაბარებად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა ამოიწურა 2008 წლის 5 მაისს (3 მაისი იყო არასამუშაო დღე - შაბათი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ა. ი-ძეს მოცემულ შემთხვევაში დარღვეული აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა, რაც დაუშვებლობის მოტივით მისი განცხადების განუხილველად დატოვების საფუძველია.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. ა. ი-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო დატოვებულ იქნეს განუხილველად.
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე განცხადების შეტანის ვადა განჩინება

#ას-1041-1233-08

26 იანვარი, 2009 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. გოგიშვილი (თავმჯდომარე),
ნ. კვანტალიანი (მომხსენებელი),
ლ. ლაზარაშვილი

დავის საგანი: ნივთზე მესაკუთრედ ცნობა სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულება

აღწერილობითი ნაწილი:

დ. ლ-კომ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნოტარიუს ნ. უ-ძის მიმართ გ. მ-ანის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალდებულების შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ლ-კოს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოწინააღმდეგე მხარის გამოუცხადებლობის გამო, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა - გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და სარჩელი დაკმაყოფილდა; ნოტარიუს ნ. უ-მეს დაევალა გ. მ-ანის დანაშთ ქონებაზე, კერძოდ, საბანკო ანგარიშსა და მამკვიდრების სხვა უფლება-მოვალეობებზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა.

სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა ა. ი-ვა-მ-ანმა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, სადაც მიუთითა, რომ გ. მ-ანის პირველი რიგის მემკვიდრეა. მამკვიდრების გარდაცვალების შემდეგ კანონით დადგენილ ვადაში მიმართა ნოტარიუსს სამკვიდროს მისაღებად, თუმცა ამ უკანასკნელმა ზეპირად უარი განუცხადა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მამკვიდრების სახელად მის პირადობის მოწმობაში მითითებული იყო გ. მ.-ის ძე მ-ანი, ხოლო ა. ი-ვა-მ-ანის დაბადების მოწმობაში მამად აღინიშნა გ. მ.-ის ძე მ-ანი. განმცხადებელმა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის თაობაზე განცხადება შეიტანა სასამართლოში, თუმცა მას განემარტა, რომ განცხადება რუსეთის ფედერაციის ქ. შახტის სასამართლოს განსჯადია. განმცხადებელი შეეცადა დასახელებული ხარვეზის გამოსწორებას, რისთვისაც გარკვეული დრო იყო საჭირო, თუმცა მოგვიანებით შეიტყო, რომ, მოპასუხე ნოტარიუსის გამოუცხადებლობის მოტივით, სასამართლომ დაადგინა გ. მ-ანის მეორე რიგის მემკვიდრე დ. ლ-კოს სახელზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა. ამდენად, განმცხადებელი, როგორც დაინტერესებული პირი, მოცემული საქმის განხილვაზე მიწვეული არ ყოფილა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2008 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით წარმოებაში მიიღო ა. ი-ვა-მ-ანის განცხადება შემდეგი დასაბუთებით: სასამართლომ დაადგინა, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება განმცხადებლის წარმომადგენელ ს. დ-მეს ჩაჰბარდა 2008 წლის 21 ივნისს, თუმცა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 440-ე მუხლიდან გამომდინარე, ეს უკანასკნელი არ იყო უფლებამოსილი, მონაწილეობა მიეღო სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოებაში, რის გამოც გადაწყვეტილება ჩაბარდა გასაჩივრების უფლების არმქონე პირს. პალატამ მიუთითა, რომ ა. ი-ვა-მ-ანის მიერ სადავო დაუსწრებელი გადაწყვეტილების ჩაბარების შესახებ მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა, ამდენად, საწინააღმდეგო არგუმენტის არქონის გამო, გაზიარებულ უნდა იქნეს თავად განმცხადებლის განმარტება მისი 2008 წლის 17 ივლისის ჩაბარების თაობაზე. სააპელაციო პალატამ სარწმუნოდ ჩათვალა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულება ინვალიდობის თაობაზე და "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის საფუძველზე იგი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გაათავისუფლა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინებით ა. ი-ვა-მ-ანის განცხადება დაკმაყოფილდა - გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმის წარმოება განახლდა შემდეგ გარემოებათა გამო: სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით დ. ლ-კოს უარი ეთქვა გ. მ-ანის სამკვიდროს მიკუთვნებაზე, ვინაიდან მოსარჩელე მარწმუნებლის მეორე რიგის მემკვიდრეა, ხოლო გ. მ-ანს ჰყავდა პირველი რიგის მემკვიდრე - შვილი ა. ი-ვა. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ა. ი-ვა-მ-ანის მიერ წარმოდგენილ 2004 წლის 31 ივლისის ჩუქების ხელშეკრულებაზე, რომლითაც ირკვევა, რომ განმცხადებელი გ. მ-ანის პირველი რიგის მემკვიდრეა. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1337-ე მუხლით და მიიჩნია, რომ განმცხადებელს შესაძლოა წარმოემუქას სადავო სამკვიდროს მიღების უპირატესი უფლება, თუ დადასტურდება, რომ იგი აწ გარდაცვლილი გ. მ-ანის პირველი რიგის მემკვიდრეა, ამდენად, არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლო განჩინებაზე დ. ლ-კომ შეიტანა კერძო საჩივარი და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიღო ა. ი-ვას განცხადება წარმოებაში, ვინაიდან იგი შეტანილ იქნა კანონით დადგენილი ერთთვიანი ვადის დარღვევით. გასაჩივრებული გადაწყვეტილება მხარეს ჩაჰბარდა 2008 წლის 21 ივნისს, შესაბამისად, მას უფლება ჰქონდა, განცხადება შეეტანა 21 ივლისის ჩათვლით, თუმცა ფაქტობრივად აღნიშნული მხოლოდ 24 ივლისს, 3 დღის გადაცილებით განახორციელა. ამასთან, ა. ი-ვას არ ჰქონდა გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, ხოლო მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ წარმოადგენდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველს. ასევე აღსანიშნავია, რომ ა. ი-ვამ სათანადო დოკუმენტით, დაბადების ან მშობელთა ქორწინების მოწმობით ვერ დაადასტურა, რომ გ. მ-ანის პირველი რიგის მემკვიდრეა, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადების შეტანაზე უფლებამოსილ პირს არ წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დ. ლ-კოს წარმომადგენლებმა: რ. ბ-მემ და თ. ჰ-მემ წარმოადგინეს #ა-215-09 განცხადება, რომელსაც ერთვოდა მასალა ერთ გვერდად, ხოლო ა. ი-ვა-მ-ანის წარმომადგენელმა ვ. ლ-იამ #ა-83-09 განცხადება თანდართული მასალებით 4 ფურცლად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა კერძო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაშვებობა და მიაჩნია, რომ დ. ლ-კოს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის განახლების შესახებ. დასახელებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ სასამართლო ვალდებულია, შეამოწმოს მხარის მიერ საქმის წარმოების განახლების თაობაზე განცხადების დასაშვებობის საკითხი, რა დროსაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მან უნდა იმსჯელოს, შეტანილ იქნა თუ არა განცხადება უფლებამოსილი პირის მიერ, კანონით დადგენილ ვადაში და გადახდილია თუ არა განცხადებაზე სახელმწიფო ბაჟი. ამავე კოდექსის 426-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს ერთი თვის განმავლობაში. ამ ვადის გაგრძელება არ დაიშვება. ვადის დენა იწყება იმ დღიდან, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებობა. მითითებული კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტით, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის განცხადებით შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ პირი, რომლის უფლებებსა და კანონით გათვალისწინებულ ინტერესებს უშუალოდ ეხება მიღებული გადაწყვეტილება, არ იყო მოწვეული საქმის განხილვაზე.

ზემოხსენებული კანონის დანაწესები მოწმობს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება შეიძლება შეიტანოს პირმა, რომელსაც ობიექტურად იურიდიული ინტერესი გააჩნია გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დარეგულირებული დავის მიმართ. ამასთან, პირმა განცხადება უნდა შეიტანოს ერთი თვის ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც შეიტყობს განცხადების აღძვრის საფუძველს, კერძოდ, მისი მონაწილეობის გარეშე ისეთი საქმის განხილვის შესახებ, რომლის სამართლებრივი შედეგი ზეგავლენას მოახდენს პირის უფლებებზე.

მოცემულ შემთხვევაში ა. ი-ვა-მ-ანმა განცხადებით მიმართა სასამართლოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ იმ საფუძველით, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხე ნოტარიუსს დაევალა გ. მ-ანის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მოწმობის გაცემა მამკვიდრებლის მეორე რიგის მემკვიდრის სასარგებლოდ, რა დროსაც დაირღვა განმცხადებლის, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრის უფლება, მონაწილეობა მიეღო მოცემული დავის განხილვაში და დაეცვა საკუთარი უფლებები სადავო სამკვიდროს მიმართებაში. ამდენად, ა. ი-ვა-მ-ანის იურიდიული ინტერესი მოცემული საქმის მიმართ აშკარაა და სააპელაციო სასამართლომ იგი სავსებით მართებულად ჩათვალა განცხადების შეტანის უფლების მქონე პირად.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 21 თებერვლის დაუსწრებელი გადაწყვეტილება ა. ი-ვა-მ-ანის წარმომადგენელ ს. დ-ძეს ჩაჰბარდა 2008 წლის 21 ივნისს, ხოლო სადავო განცხადება შეტანილ იქნა 24 ივლისს. აღნიშნულის მიუხედავად, ვერ იქნება გაზიარებული კერძო საჩივრის ავტორის მითითება, რომ განმცხადებელმა დაარღვია კანონით დადგენილი განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა.

სამართლებრივად დასაბუთებულია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ს. დ-ძეს არ გააჩნდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში მონაწილეობის უფლება, რის გამოც უნდა ჩაითვალოს, რომ გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება უფლებამოსილ პირს არ ჩაბარებია. თავად განმცხადებლის მითითებით, მას სადავო გადაწყვეტილება ჩაჰბარდა 2008 წლის 17 ივლისს. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში წარმოდგენილი არ არის, ამდენად, სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიერ კანონით გათვალისწინებული განცხადების შეტანის ერთთვიანი ვადა დაცულია.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, "სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის "მ" ქვეპუნქტის საფუძველზე ლ. ი-ვა-მ-ანის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, რომ განმცხადებელი ინვალიდია. აქვე აღსანიშნავია, რომ კერძო საჩივრის ავტორმა სათანადოდ ვერ დაასაბუთა, ზემოხსენებული მტკიცებულება, თუ რატომ არ უნდა იქნეს გაზიარებული.

დ. ლ-კოს წარმომადგენლებს რ. ბ-ძესა და თ. ჭ-ძეს უნდა დაუბრუნდეთ მათ მიერ #ა-215-09 განცხადებაზე დართული ერთი გვერდი ქსეროასლი, ხოლო ა. ი-ვა-მ-ანის წარმომადგენელ ვ. ლორიას #ა-83-09 განცხადებაზე თანდართული მასალებით 4 ფურცლად, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა

ოქმებში. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

დ. ლ-კოს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 30 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელი.
სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
დ. ლ-კოს წარმომადგენლებს რ. ბ-მესა და თ. ჭ-მეს დაუბრუნდეთ მათ მიერ #ა-215-09 განცხადებაზე დართული ერთი გვერდი ქსეროასლი, ხოლო ა. ი-ვა-მ-ანის წარმომადგენელ ვ. ლ-იას #ა-83-09 განცხადებაზე თანდართული მასალებით 4 ფურცლად.
საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**განჩინების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების შეტანის ვადა
განჩინება**

ვ-852-ა-23-09 19 ოქტომბერი, 2009 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის
მოსამართლე თ. თოდრია**

დავის საგანი: საწარმოო ტრავმის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინებით განცხადების ავტორს განესაზღვრა 5-დღიანი ვადა ხარვეზის შესავსებად, კერძოდ, დაევალა მითითება იმ საფუძვლებზე, რომელთა გამოც უნდა მოხდეს განჩინების ბათილად ცნობა და იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის 1-თვიანი საპროცესო ვადა.

2009 წლის 5 ოქტომბერს ც. მ-ელმა წარმოადგინა განცხადება, რომელშიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 12 თებერვლის განჩინების გაუქმების საფუძვლად მიუთითებს იმას, რომ განჩინება გამოტანილია საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, მის დაუსწრებლად, ხოლო 2004 წლის 15 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობას კი იმიტომ, რომ განჩინება გამოტანილ იქნა იმავე მოსამართლეების მიერ, რომლებიც საქმეს იხილავდნენ 2004 წლის 12 თებერვლის განჩინების მიღებისას. რაც შეეხება განცხადების ვადის დაცვით შეტანის თაობაზე განმცხადებელმა არაფერი აღნიშნა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო განცხადების დასაშვებობის საკითხის განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ც. მ-ელის განცხადება განუხილველად უნდა დარჩეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ თავისი ინიციატივით უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა განცხადება საქმის წარმოების განახლების შესახებ. თუ არ არსებობს განცხადების დაშვების ესა თუ ის პირობა, სასამართლომ თავისი განჩინებით განცხადება განუხილველად უნდა დატოვოს.

ამავე კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის ვადა და ამ გარემოებების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. ამავე კოდექსის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ განცხადება არ დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს, სასამართლო ავალებს განმცხადებელს, შეავსოს ხარვეზი, რისთვისაც უნიშნავს ვადას. თუ ამ ვადაში ხარვეზი არ შეივსება, განცხადება აღარ დაიშვება.

მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 სექტემბრის განჩინებით განცხადების ავტორს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 5-დღიანი ვადა, კერძოდ, დაევალა მითითება იმ საფუძვლებზე, რომელთა

გამოც უნდა მოხდეს განჩინების ბათილად ცნობა და იმ გარემოებებზე, რომლებიც მოწმობენ, რომ დაცულია განცხადების შეტანის 1-თვიანი საპროცესო ვადა.

განცხადების ავტორის მიერ ხარვეზი არ გამოსწორებულა, კერძოდ, მას არ წარმოუდგენია მტკიცებულება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 427-ე მუხლის პირველი ნაწილის "გ" ქვეპუნქტის მითხოვნათა შესაბამისად, რომ დაცულია განცხადების შეტანის 1-თვიანი საპროცესო ვადა. რაც შეეხება განმცხადებლის განმარტებას იმის თაობაზე, რომ იგი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 12 თებერვლის განჩინების გაუქმებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ განჩინება გამოტანილია საქმის ზეპირი განხილვის გარეშე, მის დაუსწრებლად, ხოლო 2004 წლის 15 დეკემბრის განჩინების ბათილად ცნობას კი იმიტომ, რომ განჩინება გამოტანილ იქნა იმავე მოსამართლეების მიერ, რომლებიც საქმეს იხილავდნენ 2004 წლის 12 თებერვლის განჩინების მიღებისას, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ გასულია ამ საფუძველით განჩინებების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადების შეტანის ვადა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ წარმოდგენილი განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 12 თებერვლისა და 15 დეკემბრის განჩინებების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლობის გამო განუხილველი უნდა დარჩეს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 429-ე, 426-ე, 427-ე, 284-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

ც. მ-ელის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2004 წლის 12 თებერვლისა და 15 დეკემბრის განჩინებების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე დაუშვებლობის გამო დარჩეს განუხილველად; განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.